

სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანსიებში

პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო
სამართლის საქმეების განმხილველი
მოსამართლეებისთვის

სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში

პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის
საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის

თბილისი, 2020

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ მხარდაჭერით. ტექსტში მოცემული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



ავტორები: მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, დიანა ბერეკაშვილი,
თამარ ხაჟოშია, მაია ბაქრაძე, თემურ თოდრია, სიმონ ჩხაიძე,
ნუნუ კვანტალიანი

პროექტის ხელმძღვანელი და ტექნიკური რედაქტორი: ეთერ ჩაჩანიძე

დაკაბადონება და დიზაინი: გვანცა მახათაძე

ISBN 978-9941-8-2195-0

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020
გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე
lawlibrary.info/ge

სარჩევი

A. თეორიული ნაწილი	5
I. შესავალი	6
II. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა	11
III. სასამართლო განჩინება	13
IV. სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი	15
1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი	16
1.1. მხარეთა პოზიციები	16
2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) აღწერილობითი ნაწილი	23
3. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი	28
3.1. შესავალი	28
3.2. სამართლებრივი დასკვნის სტილი და გადაწყვეტილების სტილი	29
3.3. სუბსუმცია და მისი გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილებაში	31
3.4. სამართლებრივი დასაბუთება	32
3.5. სამართლის ნორმის განმარტება:	33
3.6. ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება	35
3.7. უდავო და სადავო ფაქტები	35
3.8. მტკიცებულებათა შეფასების შედეგების დასაბუთება	38
3.9. მტკიცების ტვირთი	41
3.10. საპროცესო ხარჯები:	41
3.11. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხი	41
3.12. დამატებითი რეკომენდაციები სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით	42

4. გადანყვეტილების სარემოლუციო ნაწილი	48
4.1. შესავალი	48
სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების დასაბუთება	57
1. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება (განჩინება) და მისი სახეები.	57
2. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების სტრუქტურა და სამოტივაციო ნაწილის ადგილი ამ სტრუქტურაში	58
3. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების სტილი	60
B. პრაქტიკული ნაწილი	65
გადანყვეტილებები	66
თბილისის საქალაქო სასამართლო. გადანყვეტილება	66
თბილისის საქალაქო სასამართლო. გადანყვეტილება	74
თბილისის საქალაქო სასამართლო. გადანყვეტილება	80
ქუთაისის საქალაქო სასამართლო. გადანყვეტილება	88
ქუთაისის საქალაქო სასამართლო. გადანყვეტილება	94
მცხეთის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება	101
მცხეთის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება	115
თბილისის სააპელაციო სასამართლო. განჩინება	131
თბილისის სააპელაციო სასამართლო. გადანყვეტილება	147

A. თეორიული ნაწილი

I. შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტური ნიშანია. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში კპოვნებს გამოხატულებას.¹

სასამართლო გადაწყვეტილება – ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი², რომლითაც საქმე არსებითად წყდება³.

სასამართლო, როგორც ცნობილია, არ არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება განსხვავდება სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებისაგან იმით, რომ **ჯერ ერთი**, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს საქმის (დავის) განხილვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების ზუსტად და განუხრელად დაცვით. **მეორეც**, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს და დასაბუთებული უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მიზანშეწონილობას. თუ არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია. **მესამე** – არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების კანონმდებლობით გათვალისწინებული მწყობრი სისტემა (აპელაცია, კასაცია).

¹ შმიტი/რიპტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.

² ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, GIZ, 2003, 3.

³ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, 360.

მხოლოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შეუძლია დაარწმუნოს მხარეები იმაში, რომ საქმის გარემოებანი სასამართლომ შეაფასა არა თვითნებურად, არამედ კანონის საფუძველზე. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ საქმეში მონაწილე მხარეები ვერ დარწმუნდნენ გადაწყვეტილების კანონიერებასა და სისწორეში, ისინი მიმართავენ კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. „მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდია საჯარო ინტერესი სამოქალაქო დავის ცალკეულ შემთხვევებში, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. მხოლოდ დამაჯერებლად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აქვს შანსი, მიღებული იქნეს საზოგადოების მიერ და რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება არა ცალკეული მოსამართლის გამართლებას, არამედ ზოგადად ქმნის წარმოდგენას მართლმსაჯულებაზე“⁴.

სასამართლო გადაწყვეტილებათა სახეებად დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. **სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის** მიხედვით განასხვავებენ: ა) მიკუთვნებით (აღსრულებითი); ბ) აღიარებით და გ) გარდაქმნით გადაწყვეტილებებს.

იმის მიხედვით, თუ **რა მოცულობით არის გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა**, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განასხვავებს გადაწყვეტილებათა ისეთ სახეებს, როგორიცაა: 1. სრული (საბოლოო) გადაწყვეტილება; 2. ერთობლივი გადაწყვეტილება; 3. ნაწილობრივი გადაწყვეტილება; 4. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, 5. დამატებითი გადაწყვეტილება; 6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1. სრული (საბოლოო) გადაწყვეტილება ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მართალია, შესაძლოა ჯერ არ იყოს შესული კანონიერ ძალაში (მაშასადამე, დასაშვები იყოს მისი გასაჩივრება), მაგრამ მასში არსებითად ნამსჯელია და შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე, ანუ სასარჩელო მოთხოვნაზე მიღებულია არსებითი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 243-ე მუხლი).

⁴ ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები, GIZ, 2003, 70-77.

2. ერთობლივი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს პირგანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვის შედეგად, გარდა სსსკ-ის 245-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის შემთხვევებისა (სსსკ-ის 189-ე მუხლის 3-ე ნაწილი).
3. ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასამართლომ მხარეთა თხოვნით შეიძლება გამოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეული და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად. დაინტერესებული მხარის თხოვნით, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ან თავდაპირველი, ან შეგებებული სარჩელი (სსსკ-ის 245-ე მუხლი). მაშასადამე, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია სარჩელების ობიექტური გაერთიანების (სსსკ-ის 182-ე მუხლი), სუბიექტური გაერთიანების (სსსკ-ის 86-ე მუხლი) და შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში (სსსკ-ის 188-ე მუხლი).
4. თუ სადავო სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას **განსაზღვრავს** (სსსკ-ის 246-ე მუხლი).
5. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში (ამ ვადის გაგძელება დაუშვებელია), შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სა-

სამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი (სსსკ-ის 261-ე მუხლი).

- 6.** დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ ან შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ ემყარება სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთი მხარის (მოსარჩელე ან მოპასუხე) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას და შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობას. შესაბამისად, დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მართალია, სტრუქტურულად არ გააჩნია სამოტივაციო ნაწილი, მაგრამ ის მაინც შეიცავს მოკლე დასაბუთებას (დანვრილებით იხ. მოტივაციის ნაწილი). მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დაცული უნდა იქნეს სსსკ-ის 229-ე მუხლის, ხოლო მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას კი – სსსკ-ის 230-ე მუხლის მოთხოვნები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებია (სსსკ-ის 233-ე მუხლი): ა) გამოუცხადებელი მხარე კანონით დადგენილი წესით მონვეული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად; ბ) ადგილი არა აქვს დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და სარჩელი სწორად არის წარმოებაში მიღებული.

გამოუცხადებლად ითვლება აგრეთვე მხარე, რომელიც მართალია გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში (სსსკ-ის 232-ე მუხლი), ან რომელმაც მოსამართლის გაფრთხილების მიუხედავად, თვითნებურად მიატოვა სასამართლოს სხდომა (სსსკ-ის 212-ე მუხლის 2-ენაწილი).

სსსკ-ის 201-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადანაცვეტილების გამოტანისას დაცული უნდა იქნეს სსსკ-ის 232¹-ე მუხლის მოთხოვნები.

II. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

სასამართლო **გადაწყვეტილების კანონიერი ძალა** – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, რის შემდეგადაც ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია. ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალურ და მატერიალურ კანონიერ ძალას.

სასამართლო გადაწყვეტილების **ფორმალური კანონიერი ძალა** გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალის საკითხი გათვალისწინებულია **სსსკ-ის 264-ე მუხლით**.

სასამართლო გადაწყვეტილების **მატერიალური კანონიერი ძალა** გულისხმობს, რომ მხარეებს, (აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს), რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ეხებათ, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები (ე.წ. „პრეიუდიციული“ ფაქტები) და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსსკ-ის 266-ე მუხლი). გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული წესი, რომლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, ან თუ შეცდომით მიიღებს – შეწვევს საქმის წარმოებას, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით (სსსკ-ის 186-ე და 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი **ძალის ობიექტური ფარგლები** ვრცელდება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება ამ სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს.

სასამართლო გადაწყვეტილების **კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები** გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, რომლებზედაც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მხარეებზე, აგრეთვე მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ფაქტების დადგენის ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუ ის ჩაბმული იყო საქმის განხილვაში. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზეც სსსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან დათქმას იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ-ის 265-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელების ან აღდგენის შესაძლებლობას (სსსკ-ის 59-ე მუხლის 4-ე ნაწილი). შესაბამისად, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება შეწყდება საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში. ამას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (სსსკ-ის 421-ე მუხლი).

⁵ შენიშვნა: ზემოაღნიშნული წესები არ ვრცელდება უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

III. სასამართლო განჩინება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სასამართლო გადაწყვეტილებასა და სასამართლო განჩინებას. საქმის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ცალკეული საკითხების გადაწყვეტის შესახებ კი – განჩინება (სსსკ-ის 284-ე მუხლი).

სასამართლო განჩინება შეიძლება მიღებული იქნეს როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით, ისე ოქმში შეტანით (ე.წ. საოქმო განჩინება). **მიზანშეწონილია** ყველა იმ განჩინების ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით ჩამოყალიბება, რომლებზეც დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა, რაც ასევე შესაძლებელია სხდომის ოქმიდან ამონაწერის მომზადების გზით.

სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, სასამართლო განჩინების შინაარსიც კანონით განისაზღვრება (სსსკ-ის 285-ე მუხლი).

სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად („დისპოზიციურობის პრინციპი“), მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ (სსსკ-ის 218-ე მუხლი). თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგების შემთხვევაში ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი გავრცელდება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (სსსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლოში განსახილველად მიღებული საქმის წარმოების დამთავრების ტრადიციული და ყველაზე გავრცელებული ფორმაა საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც საქმის წარმოების დამთავრება ხდება გადაწყვეტილების გამო-

ტანის გარეშე, როგორიცაა საქმის წარმოების შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება.

გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრების ეს ორი ფორმა განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლებით, ისე სამართლებრივი შედეგებით.

საქმის წარმოების შეწყვეტა სასამართლოს შეუძლია როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე თავისი ინიციატივითაც სსსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. ამასთან ერთად, საქმის წარმოების შეწყვეტას უკავშირდება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება (სსსკ-ის 273ე, 274-ე მუხლები).

სასამართლომ როგორც მხარეთა განცხადებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით, სარჩელი შეიძლება განუხილველად დატოვოს სსსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც მთავრდება საქმის წარმოება. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსსკ-ის 276-ე მუხლი).

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით (სსსკ-ის 278-ე მუხლი).

IV. სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი

სამოქალაქო საქმეზე მიღებული სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების „მომხმარებლები“ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები არიან. სასამართლოს გადაწყვეტილება საინტერესო ადვოკატებისთვის, რომლებიც ეცნობიან მას სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის მიზნით და იყენებენ გადაწყვეტილებაში მითითებულ მოსაზრებებს საადვოკატო საქმიანობაში, გადაწყვეტილება საინტერესოა სტუდენტებისთვის, რომლებიც ადევნებენ თვალს სასამართლო პრაქტიკას, რათა გაიღრმავონ ცოდნა და სიღრმისეულად ჩანვდნენ სამართლის ნორმების არსს, გადაწყვეტილება ასევე საინტერესოა მეცნიერ-მკვლევართათვის და ზოგადად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის. მაგალითად, ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია საბანკო კრედიტებზე არსებული დავების განხილვისას გაკეთებული სასამართლო შეფასებები, გადამზიდავი კომპანიები და ტურისტული სააგენტოები თვალს ადევნებენ გადაზიდვის სამართალურთიერთობიდან გამომდინარე დავების მიმდინარეობას და პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კერძო სამართლის იურიდიულ პირთათვის საინტერესოა შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ურთიერთობების სასამართლოსეული დარეგულირება და რა თქმა უნდა გადაწყვეტილების მთავარი ადრესატები არიან მოდავე მხარეები, რომლებიც სასამართლოსგან ელოდნენ თითოეულ მათ პრეტენზიაზე დამაჯერებელი, არგუმენტირებული პასუხის გაცემას. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილება ისე უნდა დაინეროს, რომ არა მხოლოდ იურისტებს, არამედ სხვადასხვა პროფესიის, უმაღლესი განათლების მქონე, თუ არმქონე პირებს თავისუფლად შეეძლოთ მასში გადმოცემული მოსაზრებების გაგება.

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი ერთგვარი გზამკვლევაა დაინტერესებული მკითხველისთვის, ვინაიდან მისი წაკითხვით იგი იღებს სრულ ინფორმაციას სასარჩელო მოთხოვნასა და მის საფუძვლებზე, დავის არსზე, მხარეთა მიერ არჩეულ დაცვის სტრატეგიაზე, მხარეებს შორის არსებულ არასადაო გარემოებებსა და იმ ფაქტობრივი ვითარებაზე, რომელიც სახელმძღვანელოა სასამართლოსთვის და რომლის ფარგლების გაცდენა არ შეუძლია სასამართლოს, რადგან ის შეზღუდულია მხარეთა დისპოზიციური ნებით.

მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილების წერისას გამოყენებული იქნას მარტივი ენა, მოკლე, ლაკონური წინადადებები, თავი უნდა ავარიდოთ უცხო სამართლებრივი ტერმინების განმარტების გარეშე გამოყენებას და შინაარსი უნდა გადმოიცეს მეტად რაციონალურად, თანმიმდევრობით, რათა მკითხველს შეეძლოს მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვის აღქმა.

აღწერილობითი ნაწილი **არ უნდა წარმოადგენდეს** საქმის განხილვის მიმდინარეობის აღწერას, არამედ მასში გადმოცემული უნდა იყოს საქმის მიმდინარეობის შედეგად გამოკვეთილი მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც აუცილებელია დავის გადასაწყვეტად.

გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი, გარდა იმისა, რომ ობიექტურად ასახავს სარჩელის და შესაგებლის პოზიციებს, წარმოადგენს მოსამართლის მიერ დავის წარმართვის და მტკიცებულებათა შეგროვების შედეგად არსებული ვითარების აღწერას.

1.1. მხარეთა პოზიციები

1.1.2. რელევანტური და არარელევანტური ფაქტები

აღწერილობითი ნაწილი იწყება მოსარჩელის მოთხოვნის მითითებით. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების შესავალი ნაწილიდან მოსარჩელის შესახებ ინფორმაცია ცნობილია, აღწერილობით ნაწილში სასურველია კიდევ ერთხელ აღინიშნოს მოსარჩელის ვინაობა და მისი

მოთხოვნა დეტალურად. ეს განსაკუთრებით აქტუალურია აქტიური საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევებში. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს თითოეული მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ხოლო პასიური თანამონაწილეობის შემთხვევებში – მოსარჩელის მოთხოვნა თითოეული მოპასუხის მიმართ. მოთხოვნა ზუსტად და მკაფიოდ უნდა იქნას ჩამოყალიბებული. მოკლედ უნდა იქნას ასახული დავის არსი, ანუ სამართლებრივი მნიშვნელობის ის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებს მოსარჩელე. **სარჩელში აღნიშნულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე** მითითება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად შეუძლებელია დავის არსის გაგება (აქვე მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა არც იყოს სწორი).

იმის გათვალისწინებით, რომ აღწერილობითი ნაწილის მიზანია იმ ვითარების აღწერა, რაც ობიექტურად არსებობდა მოსამართლის მიერ საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, რამაც განაპირობა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნები, რაც მოგვიანებით სამოტივაციო ნაწილში აისახება, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. აღწერა მიმდინარეობს პრინციპით – ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

მოსარჩელე „ა“ ითხოვს მოპასუხე „ბ“-სგან შპს „გ“-ში მისი წილის დაბრუნებას

თავისთავად ცხადია, ეს ჩანაწერი არ გვაძლევს დავის სრულად აღქმის საფუძველს, თუმცა, საკმარისია იმის გასაგებად, რომ მხარეებს შორის სადავოა საწარმოში წილზე საკუთრების უფლება. ეს ზოგადი წარმოდგენა უნდა შევავსოთ საქმის სხვა ფაქტებით, რაც კიდევ უფრო დეტალურ წარმოდგენას მოგვცემს საქმეზე.

„ა“ წარმოადგენს 2016 წლის 5 იანვარს გარდაცვლილი „დ“ ს მეშვიდრეს, რომელმაც მიიღო მამის სამკვიდრო და აღირიცხა ქონების შესაკუთრედ. 2014 წელს მოსარჩელის მამასა და მოპასუხეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „გ“ ში „დ“ ს საკუთრებაში არსებული 40% წილის 1 000 000 ლარად გაყიდვის შესახებ.

მოპასუხეს ნასყიდობის თანხა არ აქვს გადახდილი, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას და წილის მის საკუთრებად აღრიცხვას.

ცხადია, ამ მცირე აღწერით, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თუ რა საფუძველს ემყარება სასარჩელო მოთხოვნა, რა რელევანტური ფაქტობრივი გარემოებებია ცნობილი სასამართლოსთვის და რა არის მოთხოვნის სამართლებრივი არსი (**ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა და გადაცემულის უკან დაბრუნება**). შეიძლება ითქვას, რომ მკითხველისთვის ამომწურავი ინფორმაციაა მიწოდებული სარჩელის შინაარსის შესახებ, რის გამოც, მოსარჩელის მიმართ კითხვები აღარ ჩნდება და დაინტერესება მოპასუხის მხარეს იხრება, თუ რითი ცდილობს ის სარჩელისგან თავდაცვას. სწორედ ამიტომ, გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი გრძელდება მოპასუხის პოზიციის გადმოცემით. სასურველია თავდაპირველად ზოგადად მივუთითოთ, თუ რა პროცესუალურ საშუალებას მიმართა მან სარჩელისგან თავის დასაცავად (აღძრა შეგებებული სარჩელი, რა სახის შესაგებელი გამოიყენა, ხომ არ მიმართა ორივე ამ საშუალებას ერთად).

მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის მიერ ნასყიდობის თანხა სრულად არის დაფარული (მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი).

აღნიშნული გარემოებების მითითებით, მკითხველისთვის უკვე ნათელია, თუ რა ფაქტებს და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება სარჩელი და მოპასუხის შესაგებელი, რა არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით გათვალისწინებული ჩარჩო სასამართლოსთვის, რომლის ფარგლებს გაცდენა დაუშვებელია.

მხარეთა პოზიციების გადმოცემისას მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი არ გადაიტვირთოს არასაჭირო, საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის არმქონე ფაქტების მითითებით. შესაძლოა, რელევანტური ფაქტების შემდეგ გაკეთდეს მინიშნება, რომ სხვა გარემოებები არ არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, განხილულ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არ უნდა მოხვდეს სარჩელის ან შესაგებლის ისეთი ფაქტები, როგორიცაა მაგალი-

თად, მოსარჩელის მამკვიდრებლის, როგორც პარტნიორის როლი და აქტივობა სანარმოში, სანარმოს საქმიანობის სფერო, მისი რენტაბელობა, მოპასუხის დამოკიდებულება მოსარჩელის მამკვიდრებელთან და სხვა.

მოსარჩელის და მოპასუხის პოზიციების სწორი, მოკლე ფორმულირება არის ის, რასაც ეცნობა მკითხველი გადაწყვეტილებასთან პირველივე შეხებისთანავე და უყალიბდება შთაბეჭდილება დავის არსის, სარჩელისგან თავდაცვის მეთოდის, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების შესახებ.

ისეთი ფაქტების მითითება, რომლებსაც (ცალსახაა, რომ) სამართლებრივად არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის გარეშე მხარის ახსნა-განმარტება არ იქნება გასაგები.

1.1.3. უდავო გარემოებები

შეფასების და მსჯელობის რაციონალურობისთვის, შემდგომში მხოლოდ საჭირო მტკიცებულებებზე მსჯელობის მიზნით, მნიშვნელოვანია, აღწერილობით ნაწილში, რელევანტურ ფაქტობრივ გარემოებების გამოვლენისას ხაზგასმით აღინიშნოს მათ შორის რომელია უდავო და რომელი სადავო ფაქტობრივი გარემოება. უდავო ფაქტობრივ გარემოებებს ის გარემოებები მიეკუთვნება, რომელთაც მოდავე მხარეები ერთნაირად განმარტავენ და მათი განმარტებები საკმარისია ამ გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევისთვის. შესაბამისად, საკმარისია აღწერილობით ნაწილში მათი მხოლოდ დადასტურებულად მითითება და უდავო გარემოებებად მოხსენიება მათ დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მითითების გარეშე. ეს წესი არ შეეხება იმ ფაქტებს, რომლებსაც შესაძლოა მხარეები ერთნაირად განმარტავდნენ, თუმცა მათი დამტკიცებულად ცნობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ მხარეთა მითითება, ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც საჯარო სამართლებრივ დადასტურებას მოითხოვს. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა, რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა, შვილად აყვანა, პირის ქმედუწაროდ მიჩნევა და სხვა.

ზოგადად, უდავო გარემოებების მითითებისას, ზედმეტია მათ დამადასტურებელი მტკიცებულებებზე მითითება, თუმცა თუკი უდავო ფაქტის

დადასტურებულად მისაჩვენებელი არ არის საკმარისი მხარეთა განმარტება, მაშინ საჭირო იქნება შესაბამისი მტკიცებულებების მითითება. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ეს შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

მხარეებს შორის სადავო არ არის მოსარჩელის მამკვიდრებელსა და მოპასუხე „ბ“-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი. უდავოა ასევე, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე „ბ“-ს გადაეცა საკუთრებაში ნასყიდობის საგანი – 40% წილი შპს „გ“-ში. ეს გარემოება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დასტურდება.

1.1.4. სადავო გარემოებები

სადავო გარემოებები, რომლებსაც მოდავე მხარეები განსხვავებულად განმარტავენ და ცდილობენ დაადასტურონ თავიანთი განმარტებები შესაბამისი მტკიცებულებებით. სადავო გარემოებებს საბოლოოდ ადგენს მოსამართლე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი ანალიზის შედეგად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად. სასამართლო ამ გარემოებებს ადგენს შინაგანი რწმენით, რომელიც უყალიბდება მტკიცებულებების შეფასების შედეგად. სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენას სჭირდება მოსამართლის დასაბუთებული დასკვნა, თუ რატომ დაადგინა ეს გარემოება ასე და არა სხვაგვარად.

შესაბამისად, სადავო გარემოებების დადგენა გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის და არა აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტია. მიუხედავად ამისა, აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთ სადავო გარემოებებზე და მათ დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. ასეთი მითითება უნდა განხორციელდეს მოსარჩელისა და მოპასუხის სტადიებზე, მათი ახსნა-განმარტებების გადმოცემისას.

მას შემდეგ, რაც მოსამართლე განსაზღვრავს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, მან უნდა მიუთითოს რომელი რელევანტური ფაქტია სადავო და როგორ ცდილობს მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარე მის დადასტურებას.

მაგალითად, მხარეებს შორის სადავოა ნასყიდობის ფასის გადახდის ფაქტი. მოპასუხეს მართალია არ გააჩნია კრედიტორისგან

მიღებული სავალდებულო საბუთი, მაგრამ იგი უთითებს ხელშეკრულების შინაარსზე, სადაც თანხის გადახდის გადავადებაზე შეთანხმება არ არსებობს, ქონების შესაკუთრედ აღრიცხვის ფაქტზე და იმ გარემოებაზე, რომ გამყიდველს სიცოცხლეში მისთვის თანხის გადახდა არ მოუთხოვია, შესაბამისად მიიჩნევა, რომ ეს გარემოებები საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ თანხის გადახდა და ქონების გადაცემა ერთდროულად მოხდა.

გადაწყვეტილების ამ ნაწილში, სასამართლო არ მსჯელობს ეთანხმება თუ არა მოპასუხის პოზიციას, რის საფუძველზე იზიარებს ან უარყოფს მის მოსაზრებებს. ამ გარემოებებზე სასამართლოს მსჯელობა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახება.

იმ შემთხვევისთვის, თუკი მოპასუხე შესაგებელთან ერთად აღძრავს შეგებებულ სარჩელს, რომლის დაკმაყოფილება არ გამოირიცხავს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, სასამართლომ ზემოთ განხილული პრინციპების და წესების დაცვით უნდა გადმოსცეს შეგებებული მოსარჩელის მიერ დაყენებული მოთხოვნა და მისი ფაქტობრივი საფუძვლები, მათ შორის უდავო და სადავო გარემოებები.

1.1.5. მტკიცებულებები

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, სასამართლო აღწერს მტკიცებულებებს, რომელიც მოგროვდა წერილობითი თუ ზეპირი შეკითხვებითობის ფარგლებში და რომელთა შეფასება აუცილებელია სადავო ფაქტების დასადგენად. ასეთი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ნივთიერი და ზეპირი მტკიცებულებები, მოწმის ჩვენება სადავო გარემოების ირგვლივ, ექსპერტის დასკვნა, წერილობითი დოკუმენტი, თუმცა, **არ აძლევს მათ შეფასებას.**

1.1.6. პროცესუალური საკითხები

საქმის განხილვის მიმდინარეობისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც იწვევენ გარკვეულ პროცესუალურ შედეგებს. ეს შეიძლება იყოს მხარის შეცვლა სათანადო მხარით, საქმის დაბრუნება ზემდგომი ინსტანციიდან ხელახლა განსახილ-

ველად შესაბამისი მითითებებით, უფლებამონაცვლის ჩაბმა, სარჩელის ელემენტის შეცვლა, სარჩელთა გაერთიანება ან გამოყოფა და სხვა. მათი სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოყვანა სრულად დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ასეთი მოვლენა არსებითი. მაგალითად, თუკი მოსარჩელემ უარი თქვა რომელიმე სასარჩელო მოთხოვნაზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საბოლოო არსებით გადაწყვეტილებაში ამ საკითხზე აღარ მსჯელობს. თუმცა, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნული გარემოების მითითება შესაძლებელია ემსხუროდეს მხოლოდ საინფორმაციო მიზანს. მკითხველისთვის ცნობილი ხდება, რომ კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნაზე დავა მხარეთა შორის ვეღარ იარსებებს.

პრაქტიკული მინიშნებები:

მიზანშეწონილია დავის არსის, ანუ ფაქტების გადმოცემა **მარტივად, გასაგებად, ქრონოლოგიურად**, შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოსარჩელეს მიერ წარმოდგენილი არსებითი უდავო ფაქტები და დადგენილი არსებითი სადავო ფაქტები,
- მოპასუხეს მიერ წარმოდგენილი არსებითი უდავო ფაქტები და დადგენილი არსებითი სადავო ფაქტები,
- წარმოდგენილი შუამდგომლობები
 - უმჯობესია, არ მოხდეს მითითება იმაზე, სასამართლომ რატომ ან რის საფუძველზე დაადგინა ეს ფაქტები (ამას სჯობს სამოტივაციო ნაწილში შევსხოთ)
 - მხარეთა სამართლებრივი მსჯელობის ან არაარსებითი ფაქტების გადმოცემა არ არის მიზანშეწონილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის გარეშე შეუძლებელია დავის არსის გაგება.

შენიშვნა: აღწერილობითი ნაწილი სამართლებრივ შეფასებებს არ უნდა შეიცავდეს. მაგ. უნდა მიეთითოს არა ის რომ მხარეებმა დადეს ნარდობის ხელშეკრულება, არამედ ის, რომ მოსარჩელის მტკიცებით ის მოპასუხეს შეუთანხდა ავტომატქანის შეკეთებაზე

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) აღწერილობითი ნაწილი

სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობაა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) შინაარსში გაერთიანებულია აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით ის უნდა შეიცავდეს:

- ა) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას
- ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას (გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით)

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) წაკითხვის შემდეგ მკითხველმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია საქმის შესახებ ისე, რომ არ დასჭირდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობა. ამდენად, გადაწყვეტილებაში ამომწურავად და თანმიმდევრულად უნდა აღიწეროს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლო შემზღუდულია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კონტროლის მასშტაბი სრულად დამოკიდებულია აპელანტის ნებაზე, თუ რას ხდის სადავოდ და რას ითხოვს იგი საბოლოოდ. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ყველა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი მოსაზრების სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ასახვა, შესაძლოა არ იყოს საჭირო.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ნათლად და მკაფიოდ უნდა მიეთითოს აპელანტის მოთხოვნა, რათა მკითხველს ჰქონდეს მოლოდინი, თუ რა საკითხის გადაწყვეტა ხდება ამ გადაწყვეტილებით.

მაგალითად, **აპელანტი გია ითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც ნანა გაგნიძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მას მეუღლეთა საერთო ვალის ნაწილი 2500 ლარი დაეკისრა. აპელანტი ითხოვს ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას ნანა გ-ს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.**

ცხადია, ასეთი ფორმულირებით, მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას, რომელი მხარეა აპელანტი, რა ნაწილშია გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რა წარმოადგენს დავის საგანს და რა შედეგის მიღწევა სურს საბოლოოდ აპელანტს.

უმჯობესია ეს ინფორმაცია აისახოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის დასაწყისშივე, როგორც ერთგვარი მიმართულების მიმცემი იმისა, თუ რა გარემოებები იქნება რელევანტური ამ საკითხის გადასაწყვეტად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილშიც მიზანშეწონილია არ მოხდეს სააპელაციო საჩივრის და გადაწყვეტილების დასკვნების სრული კოპირება, არამედ მათი გაანალიზების საფუძველზე აისახოს საქმის ვითარება: რა იყო მხარეთა პოზიციები, რა გადაწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რატომ მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე და რა საფუძველით არ ეთანხმება მას აპელანტი მხარე. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის აღწერა მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ იგი არა მხოლოდ იმეორებს და ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასკვნებს, არამედ ავსებს მათ დამატებითი მოსაზრებებით. როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი მხოლოდ ფაქტების და მტკიცებულებების მითითებით არ შემოიფარგლება. იგი მოიცავს ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს ანალიტიკურ მსჯელობას, მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათი ამ სახით დადგენის მიზეზებს – მტკიცებულებათა შეფასების სახით და პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს. თუ რა მასშტაბით და მოცულობით არის საჭირო ამ გარემოებების აღწერილობით ნაწილში ასახვა, დამოკიდებულია სააპელაციო პრეტენზიის მოცულობასა და შინაარსზე. განვავრდოთ კონკრეტული მაგალითის მიხედვით:

მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 2008 წლის 3 ოქტომბრიდან 2016 წლის 15 მარტამდე. 2015 წლის ოქტომბრიდან ისინი ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობდნენ.

მოსარჩელე ნაწილის სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს 2013 წლის განმავლობაში აღებული საბანკო კრედიტებიდან, რომელთა საფუძველზეც საერთო ვალი შეადგენდა 5000 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია ამ საკრედიტო ხელშეკრულების სხვა პირობები, თუმცა შესაძლოა ისინი დეტალურად აღარ იქნეს გადმოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, რადგან სააპელაციო საჩივრით ეს პირობები სადავო არ არის და არც სააპელაციო საჩივრით დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად არის მნიშვნელოვანი.

მოპასუხემ სადავო გახადა აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულებით მიღებული თანხის ოჯახის საერთო მიზნებისთვის გამოყენების ფაქტი რადგან ეს თანხა აღებული იყო მოსარჩელის დედის და დის პირადი საჭიროებისათვის, კერძო ბიზნესისათვის. მან წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ 2013 წლის ყველა სასესიო ვალდებულებები შეწყვეტილია შესრულებით, კრედიტები გადახდილია 2014 წელს, შესაბამისად არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტები, რადგან მიიჩნია რომ მოპასუხე იყო ვალდებული დაემტკიცებინა ისინი, რაც მან ვერ შეძლო. მტკიცებულება, რომლითაც მოპასუხე მტკიცების ტვირთის დაძლევა ცდილობდა, იყო მოწმის ჩვენება, თუმცა მისი მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებებთან წინააღმდეგობრიობის და სხვა მტკიცებულების არარსებობის გამო სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1164-ე, 1169-ე მუხლებზე დაყრდნობით სასამართლომ საერთო ვალად მიიჩნია 5000 ლარი და ამავე სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მისი ნახევარი დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წერისას პირობითად შეიძლება ასევე გამოვყოთ სააპელაციო სასამართლოში არასადავო და სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებები, არასადავო გარემოებების როლს აქ შეასრულებს ის ფაქტები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში უდავო იყო, ან იყო სადავო მხარეებს შორის, დაადგინა სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად და მას აპელანტი სააპელაციო საჩივრით არ ხდის სადავოდ. სადავოდ ქცეულ გარემოებებს მივაკუთვნოთ ის ფაქტები, რომლებიც

- ა) პირველი ინსტანციის სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია და აპელანტი მიიჩნევს, რომ ისინი სადავო იყო
- ბ) სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, რომელთა დადგენისას სასამართლოს მსჯელობას, მის მიერ მტკიცებულებათა შეფასებას აპელანტი არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ისინი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც აისახოს მხოლოდ რელევანტური ფაქტები, ანუ ის ფაქტები, რომლებიც საჭიროა სააპელაციო საჩივრით დაყენებული მოთხოვნის საფუძვლიანობის შესამოწმებლად.

კონკრეტულ შემთხვევაში შეგვიძლია ასე ავსახოთ სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

აპელანტი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ აღებული ვალი საერთო ოჯახის მიზნებს მოხმარდა. აპელანტის, მითითებით, მისთვის სესხის ხელშეკრულებების შესახებ არაფერი იყო ცნობილი და აღნიშნული თანხები არც ოჯახის საერთო ინტერესებისათვის დახარჯულა, ასეც რომ იყოს ყველა სესხი დაფარულია განქორწინების პერიოდში და განქორწინებისას მათ არანაირი ვალი არ ჰქონიათ.

აპელანტი ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1164-ე მუხლები, რომელებსაც არანაირი შეხება არ აქვს დავის საგანთან. სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა მოსარჩელის მიერ სხვადასხვა პერიოდში აღებული ვალების ნაწილის დაკისრებას და არა მოსარჩელეთა საერთო ქონებას, რომელიც საერთოდ არ არსებობს. ასევე არასწორად იქნა გამოყენებული ამავე კოდექსის 1169-ე მუხლი, რადგან ეს თანხები წარმოადგენს მოსარჩელის პირად ვალებს და ნორმა რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალის მეორე მეუღლისათვის დაკისრებას, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. თუ სასამართლო აპირებდა ანალოგიის წე-

სით სხვა ნორმის გამოყენებას, ამისათვის საჭირო იყო შესაბამისი დასაბუთება, რაზეც გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ასევე უნდა აისახოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებებით დამდგარი საპროცესო შედეგები და მათი დასაბუთება, მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით, რასაც სადავოდ ხდის აპელანტი. სასურველია მათი ასახვა მოხდეს სათანადო ადგილას, ერთიან კონტექსტში და არა სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებებისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ რაიმე სადავო ფაქტი დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარის შუამდგომლობით გამოთხოვილი მტკიცებულების საფუძველზე და აპელანტი სადავოდ ხდის ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების კანონიერებას და შესაბამისად მის საფუძველზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების კანონიერებასთან შედავება საკმარისია აღინიშნოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასთან შედავების აღწერასთან ერთად და ცალკე მისი მითითება აღარ არის საჭირო. ეს ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

„...აღნიშნული გარემოება პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის (მოპასუხის) მოთხოვნით. ..დან გამოთხოვილი მტკიცებულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც.. (მტკიცებულების შინაარსი)“

„...აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც..... ფაქტობრივი გარემოება დაადგინა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაუცველად დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად მიღებული მტკიცებულებით...“

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ამგვარი მითითება საკმარისია იმის დასტურად, რომ აპელანტი სადავოდ ხდის სასამართლოს განჩინებას მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. თავისთავად ცხადია, შემონიშნება და შესაბამისად აღწერილობით ნაწილში მათზე მითითებას მხოლოდ ის განჩინებები ექვემდებარება, რომლითა კანონი-

ერების საკითხის განხილვას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ბედზე.

იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის წერისას ქრონოლოგიის დაცვას და თანმიმდევრულობას დიდი ყურადღება ექცევა, მიზანშეწონილია, რომ ახალი პროცესუალური მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე, აისახოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის დასასრულს. ასეთი შეიძლება იყოს, მტკიცებულების დამკვეთი სააპელაციო სასამართლოში, უფლებამონაცვლის ჩაბმა, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება და სხვა.

3. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

3.1. შესავალი

სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ ნაწილში სასამართლო ასაბუთებს, თუ რატომ და როგორ მივიდა კონკრეტულ დასკვნამდე. ის სისტემურ კავშირშია გადაწყვეტილების სხვა ნაწილებთან და საბოლოოდ ამ ერთიანი სასამართლო გადაწყვეტილებიდან ვლინდება, თუ რა გადაწყვეტა სასამართლომ, რომელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში და რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება თავის შინაარსით ემსგავსება სამართლის ნორმის სტრუქტურას (სამართლებრივი წინაპირობები და დასკვნა). მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი თავისებურება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მოსამართლე ასაბუთებს, თუ რატომ უკავშირებს განსახილველ წინაპირობებს მიღებულ დასკვნას. ყოველივე ეს ვლინდება სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

ყურადსაღებია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შემდეგი ფუნქციები: 1. წაგებული მხარისათვის იმის განმარტება, თუ რატომ წააგო მან პროცესი და რამდენად გამართლებულია მისთვის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება; 2. სასამართლო გადაწყვეტილების

დასაბუთება უნდა იძლეოდეს გადამოწმების შესაძლებლობას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ; 3. სასამართლო გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება აძლევს მოსამართლეს თვითკონტროლის საშუალებას⁶.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

რას ნიშნავს კანონის დათქმა: „სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა“. სამართლებრივი შეფასების ობიექტს წარმოადგენენ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ამ ფაქტობრივი გარემოებების ზუსტად და ნათლად განსაზღვრაზე დამოკიდებული სამართლებრივი შეფასების მართებულება. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სამართლებრივი შეფასებისათვის ყველა აუცილებელი ფაქტობრივი წინაპირობა. შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო მსჯელობს და სამართლებრივად აფასებს მხოლოდ რელევანტულ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მითითებულია გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ან შესაგებელი ეფუძნება არარელევანტურ ფაქტებს, მოსამართლემ მოკლედ უნდა მიუთითოს ამ ფაქტებზე გადაწყვეტილებაში და ასევე მოკლედ განმარტოს, თუ რატომ არ იზიარებს მათ.

3.2. სამართლებრივი დასკვნის სტილი და გადაწყვეტილების სტილი

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მნიშვნელობის, შინაარსისა და სტრუქტურაზე მსჯელობა მოითხოვს სამართლებრივი დასკვნის სტილისა და გადაწყვეტილების სტილის განმარტებასა და ურთიერთგამიჯვანას. თუმცა, აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქმის მათ ურთიერთგამომრიცხავი ეფექტი გააჩნია. პირიქით, მათ შორის არსებობს ურთიერთ-

⁶ ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსი დამუშავების მეთოდოლოგია, თბ. 2014, გვ. 22-23.

კავშირი, რაც აიხსნება აზროვნების საერთო მოდელით. დასკვნის სტილი ემსახურება ფაქტობრივი სიტუაციის სრულყოფილ განხილვას, რომლის შედეგად მოსამართლე მიდის კონკრეტულ დასკვნამდე. შესაბამისად, აზროვნების ეს მოდელი წარმოადგენს მოსამართლის მიერ დასკვნის ძიების პროცესს. გადაწყვეტილების სტილის გამოყენებას წინ უსწრებს საქმის/საკითხის განხილვა, გადაწყვეტა და არგუმენტების მოძიება სწორედ დასკვნის სტილით.

ამდენად, დასკვნის სტილის გამოყენებით სასამართლო მიდის ლოგიკურ დასკვნამდე, ხოლო გადაწყვეტილების სტილის დაცვით ის ასაბუთებს უკვე მიღებულ დასკვნას. პირველ შემთხვევაში მოსამართლე ამოწმებს, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები რამდენად შეესაბამება სამართლის ნორმით განსაზღვრულ წინაპირობებს (ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობას), და რა დასკვნა გამომდინარეობს სუბსუმციის შედეგად, ხოლო მეორე შემთხვევაში, სასამართლო ჯერ ასახელებს შედეგს და შემდეგ მოკლედ ასაბუთებს ამ დასკვნას.

ამდენად, სამართლებრივი დასკვნის სტილისათვის დამახასიათებელია თურმეობითი ან შედეგის ძიების ფორმა და, შესაბამისად, სუბსუმცია (ფაქტების კვალიფიკაცია) ამ მიზანს ემსახურება. ამრიგად, დასკვნის სტილი გამოიყენება ისეთი საკითხების განხილვისას, სადაც მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენა, თუ როგორ მივიდა სასამართლო დასკვნამდე. ჩვეულებრივ, ეს არის საქმისთვის/მხარეებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები. ხოლო გადაწყვეტილების სტილი გამოიყენება ისეთი საკითხების განსახილველად, რომლებიც არ არის ცენტრალური მნიშვნელობის კონკრეტული საქმისთვის.

ამასთან, როგორც თვითონ სახელწოდება გვამცნობს, გადაწყვეტილების სტილი დამახასიათებელია და უპირატესად გამოიყენება სწორედ გადაწყვეტილების დასაწერად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების წერილობით შედგენამდე სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. შესაბამისად, „გამართლებულია“ მსჯელობის გადმოცემის ამგვარი სტრუქტურაც: გადაწყვეტილება – დასაბუთება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ქართული მოდელით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოცემულია

სასამართლო გადაწყვეტილების ბოლოს (სსსკ-ის 249-ე მუხლი), რაც არ არის დამახასიათებელი გადაწყვეტილების სტილისათვის. ჩვენი ამოცანა არ არის ამ სტრუქტურული თანმიმდევრობის განხილვა, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკისა და ლოგიკური მსჯელობის ერთობლიობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების სტილისათვის დამახასიათებელია როგორც ფორმალური, ასევე ლოგიკური აგებულების დაცვა. ჩვენი ამოცანაა ფორმალურ-პროცესუალური აგებულების დაცვით (რომლის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის გადაწყვეტილების ბოლოში), გავამახვილოთ ყურადღება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ლოგიკურ აგებულებაზე (გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის დასაწყისში სასამართლო უთითებს, თუ რა სამართლებრივი წინაპირობების საფუძველზე მივიდა ის ამ დასკვნამდე). ამისათვის გავამახვილოთ ყურადღება გადაწყვეტილების სტილისათვის დამახასიათებელ სამართალშეფარდების სტრუქტურაზე.

3.3. სუბსუმცია და მისი გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილებაში

სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ახდენს იმ ფაქტების (ფაქტობრივი გარემოებები) სამართლებრივ შეფასებებს, რაც მითითებული აქვს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში. განსხვავებით სამართლის დასკვნის სტილისაგან, გადაწყვეტილების სტილის სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

1. დასკვნა
2. მთავარი წინადადება, ანუ სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობა (დისპოზიცია).
3. ქვემდგომი წინადადება, ანუ ფაქტობრივი სიტუაცია.

სუბსუმციის გზით სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასაბუთებს მიღებულ დასკვნას, რაც ორგვარი ბუნებისაა. ერთ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგი დადგა, რადგან ფაქტობრივი გარემოებები სრულად შეესაბამება სამართლის ნორმით მოცემულ წინაპირობებს. მეორე შემთხვევაში არ დგება სამართ-

ლის ნორმით გათვალისწინებული შედეგი, რადგან ფაქტობრივი გარემო-
ებები არ შეესაბამება სამართლებრივი ნორმის თუნდაც ერთ ფაქტობრივ
ელემენტს.⁷

3.4. სამართლებრივი დასაბუთება

სასამართლო ამონშებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის,
მისი წინამძღვრების არსებობას.

გადაწყვეტილების დასაბუთება ყოველთვის უნდა დაიწყოს სადავო
ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ საფუძველზე/მოთხოვნის
დამაფუძნებელ ნორმაზე მითითებით. შემდეგ ეტაპზე სასამართლომ უნდა
მიუთითოს სამართლებრივ წინაპირობებზე, ანუ სამართლის ნორმის ფაქ-
ტობრივი სიტუაციის იმ ნორმატიულ აღწერილობაზე, რომლის სამართ-
ლებრივი შედეგიდან გამომდინარეობს, მოსარჩელის მოთხოვნის უფლე-
ბა. ისე არ იქნეს გაგებული, თითქოს სასამართლომ აუცილებლად უნდა
მოახდინოს სამართლის ნორმის ციტირება, ამის აუცილებლობა ყოველთ-
ვის არ არის. სამართლის ნორმის ციტირება შეიძლება გახდეს აუცილებე-
ლი განსახილველი ნორმის განმარტების შემთხვევაში (იხ. ქვემოთ). თუ
ამგვარი აუცილებლობა არ დგას, მაშინ სასამართლომ უნდა მიუთითოს
განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებზე, როგორც ამ ურთიერთობების
მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის წინაპირობებზე. მაგალითად,
ა-ს აქვს ბ-ს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება
(დასკვნა), რადგან სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად ის არის ნივთის მესა-
კუთრე, ბ არის ნივთის მფლობელი და ამ უკანასკნელს არა აქვს ამ ნივთის
ფლობის უფლება. მაგალითიდან ჩანს, რომ სამართლის ნორმის ციტი-
რება არ არის საჭირო და სასამართლოს არ სჭირდება სამართლის ფაქ-
ტობრივი სიტუაციის აბსტრაქტული აღწერილობის გადმოცემა, არამედ,
სუბსუმციის (ფაქტების კვალიფიკაციის) გამოყენებით ახდენს ფაქტების
და სამართლის ნორმის წინაპირობების შესაბამისობის (ან უარყოფითი
შედეგის შემთხვევაში შეუსაბამობის) დემონსტრირებას.

ამ ფაქტების ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრაზე დამოკიდებულია
სუბსუმციის პროცესის განხორციელება. ამასთან ერთად, სასამართლომ

⁷ შეად. ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსი დამუშავების მეთოდის, თბ. 2014, გვ. 45.

უნდა მიუთითოს მხოლოდ ის სამართლის ნორმები, რომლებიც აუცილებელია განსახილველი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სამართლის სხვადასხვა ნორმებზე მითითება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული უნდა იყოს განსახილველი ურთიერთობის აუცილებლობით (მაგალითად, სამართლის ნორმის სისტემური განმარტების დროს, როდესაც სამართლის ნორმა სხვა ნორმებთან ლოგიკურ კავშირშია, და ისინი არა იზოლირებულია, არამედ სხვა ნორმებთან კავშირში ქმნიან ფაქტების ნორმატიულ აღწერილობას ან სამართლის ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში, სპეციალური ნორმების გამოყენების დროს და ა.შ.). აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გამოიყენოს განსახილველი ურთიერთობის (ფაქტობრივი გარემოებები) უშუალოდ მომწესრიგებელი სამართლის ნორმა და მოერიდოს ე.წ. „ნორმათა შოპინგს“.

ამდენად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ფაქტები და სამართლებრივი შეფასებები წარმოდგენილია არა ცალ-ცალკე, არამედ ურთიერთშეკავშირების, ანუ სუბსუმციის გზით.

სწორედ ამიტომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ შეიძლება ცალ-ცალკე წარმოვიდგინოთ ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, რადგან, როგორც აღინიშნა, ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს, რომლის შედეგად ხორციელდება მიღებული პასუხების (დასკვნების) დასაბუთება.

3.5. სამართლის ნორმის განმარტება:

ჩვენი მიზანი არ არის სამართლის ნორმის განმარტების სახეებზე ყურადღების გამახვილება, არამედ, შემოვიფარგლებით სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სამართლის ნორმის განმარტების აუცილებლობაზე.

ყოველთვის არ არის აუცილებელი სამართლის ნორმის განმარტება (ინტერპრეტაცია). მისი განმარტების აუცილებლობა მაშინ წარმოიშობა, როდესაც გასარკვევია მისი შინაარსი ან როდესაც ეს განპირობებულია განსახილველი ურთიერთობების სპეციფიკით (მაგალითად, სუბსუმციის, ანუ სამართლის ნორმის აბსტრაქტული ცნებისა და ფაქტის იდენტიურობის დადგენისას შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ნორმის აბსტრაქტული

ცნებების დაკონკრეტება მისი ინტერპრეტაციის გზით და ა.შ.). ამდენად, სამართლის ნორმების აბსტრაქტული აღწერილობა შეიძლება იძლეოდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც აუცილებელს ხდის მის განმარტებას. განმარტების გზით სასამართლომ გასაგები უნდა გახადოს სამართლის ნორმის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებისათვის, განსაკუთრებით კი წაგებული მხარისათვის. სამართლის ნორმის განმარტება საბოლოოდ ემსახურება ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს.⁸ ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რა ფაქტობრივი ურთიერთობები იგულისხმება ნორმის აღწერილობით ნაწილში.⁹ ხშირ შემთხვევაში სამართლის ნორმის განმარტების აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს ნორმის შეფასებითი ხასიათის ცნებებით, ტერმინებით, მაგალითად, ზნეობის ნორმები (კეთილი ზნე), სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ა.შ. ამასთან ერთად, თუ ნორმა იძლევა ინტერპრეტაციის სხვადასხვა საშუალებებს, აუცილებელია ერთგვაროვანი შეფარდების მიზნის მისაღწევად განმარტების სხვადასხვა ხერხების გამოყენება, როგორცაა გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური განმარტებები და ა.შ. ამ ხერხების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ სამართლის ნორმის განმარტებით (ინტერპრეტაციის გზით) სასამართლომ სუბსუმირებადი უნდა გახადოს ფაქტობრივი სიტუაცია. სასამართლო გადაწყვეტილებით წესრიგდება კონკრეტული ურთიერთობა და, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილებაში ნათლად უნდა განმარტოს, რომ მის მიერ გამოყენებული სამართლის ნორმა მოიცავს ან არ მოიცავს განსახილველი ურთიერთობის ყველა აუცილებელ წინაპირობას. ყოველივე ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს სამართლის ნორმის განმარტების (ინტერპრეტაციის) და დაკონკრეტების გზით.

სამართლის ნორმის განმარტების და სამართლებრივი დასაბუთებისათვის სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს სასამართლო პრაქტიკა, ასევე დოქტრინა. განსაკუთრებით იურიდიული ლიტერატურის (ქართული თუ უცხოური) გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს, მხოლოდ უკიდურეს

⁸ ხუბუა გ. „სამართლის თეორია“, თბ. 2015, გვ. 182.

⁹ ხუბუა გ. „სამართლის თეორია“, თბ. 2015, გვ. 182.

შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამის აუცილებლობა, რაც შეიძლება ნაკარნახევი იყოს მაგალითად, სადავო საკითხზე სასამართლო პრაქტიკის არარსებობისა ან სამოსამართლო სამართალის გამოყენების შემთხვევაში (ბუნდოვანი სამართლის ნორმის განმარტებისა ან სამართლის ნორმით პირდაპირ გაუთვალისწინებელი შემთხვევების მოწესრიგებისას და ა.შ.).

3.6. ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება

ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ ნიშნავს აღწერილობითი ნაწილის კოპირებას. როგორც არაერთგზის აღინიშნა, სამოტივაციო ნაწილში უნდა მოხდეს იმ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, რაც გადანყვეტილების აღწერილობით ნაწილშია მოცემული. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთ შემთხვევაში ხდება აღწერილობით ნაწილში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამეორება ან ამ ფაქტების მოკლე აღწერა სამოტივაციო ნაწილში. არც ერთი შემთხვევა არ შეიძლება იქნეს გაზიარებული. როგორც აღინიშნა, სასამართლო გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ახორციელებს გადანყვეტილების სტილისათვის დამახასიათებელ სუბსუმციას (იხ. ზემოთ). ამდენად, გადანყვეტილების ამ ნაწილში სასამართლო განმეორებით კი არ გადმოსცემს ფაქტებს, არამედ, სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობის ქვეშ მათი მისადაგებით ასაბუთებს მიღებულ დასკვნას (სამართლის დასკვნის სტილით მიღებული შედეგის დასაბუთება). შესაბამისად, სამოტივაციო ნაწილშიც სასამართლო უთითებს ფაქტობრივ გარემოებებზე, მაგრამ უკვე დასაბუთების კონტექსტში, ანუ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან უნდა ჩანდეს, თუ რატომ მოჰყვება მოცემულ ფაქტებს შედეგად ეს დასკვნა.

3.7. უდავო და სადავო ფაქტები

დიდი მნიშვნელობა გააჩნია უდავო და სადავო ფაქტების გამოიყენებას, რაც გადანყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა აისახოს. გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო აღარ მსჯელობს უდავო და სადავო ფაქტების გამოიყენებაზე. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი

ლია, რომ უდავო ფაქტებს არ სჭირდება დასაბუთება, საკმარისია მათზე მითითება სუბსუმციის პროცესის განხორციელებისას. რაც შეეხება სადავო ფაქტებს, სასამართლომ უნდა შეაფასოს შეგროვილი და აღწერილობით ნაწილში მითითებული მტკიცებულებები.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ, ასევე უნდა იმსჯელოს, თუ რით იყო განპირობებული მტკიცებულებების არმიღება. მიღებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა დაასაბუთოს ამ მტკიცებულებების შეფასების შედეგები.

პირობითად გამოვყოთ ის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეს მტკიცებულებების შეგროვების გარეშე გამოაქვს გადაწყვეტილება და შემთხვევები, რომლებიც მოითხოვს მტკიცებით საქმიანობას. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი წინაპირობები:

1. სარჩელში მითითებული ფაქტების საკმარისობა. სასამართლო არ აკმაყოფილებს სარჩელს, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება (მთლიანად ან ნაწილობრივ) სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობას (დისპოზიციას).
2. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება მოპასუხის შედავებას, რომელზეც დამოკიდებულია მტკიცებულებათა შეგროვება. თუ მოპასუხის შესაგებელი (შედავება) არის ზოგადი ხასიათის ან შესაგებელში მითითებული ფაქტები არ გამოირიცხავენ ან არ აქარწყლებენ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლიანობას, სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს. ამ დროს არ ხდება მტკიცებულებების შეგროვება, ამდენად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლე უთითებს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამართლის ნორმით მოცემულ შემადგენლობას (მთლიანად ან ნაწილობრივ), რაც გააქარწყლებდა მოსარჩელის სამართლებრივ

საფუძვლებს. მტკიცებულებების შეგროვება არ ხდება, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ეთანხმება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს (სსსკ-ის 131-ე მუხლი). მაგალითად, მოსარჩელე „ა“. მოპასუხე „ბ“-სგან ითხოვს 100 ლარის გადახდის ვალდებულების შესრულებას სესხის ხელშეკრულების საფუძველზე. „ბ“ ადასტურებს სესხის ხელშეკრულებას ან არანაირ განმარტებას ამის თაობაზე არ აკეთებს. შესაძლებელია მოპასუხე უთითებდეს მხოლოდ იმაზე, რომ მას ვალი დაბრუნებული აქვს. არ მოითხოვს მტკიცებას, ასევე საპროცესო კანონში პირდაპირ მითითებული შემთხვევები (სსსკ-ის 106 მუხლი). ამ დროს არ ხორციელდება ამ ფაქტების მტკიცება და, შესაბამისად არც გადაწყვეტილებაში ხდება ამის დემონსტრირება. სასამართლო სამოტივაციო ნაწილში უთითებს სამართლებრივ საფუძველს (სსსკ-ის 106 მუხლი), რაც მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულ ფაქტებს მტკიცება არ სჭირდება (ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ).

3. მტკიცების სტადიაზე გადასვლა ხდება, როდესაც შესაგებელში მითითებული გარემოებები იურიდიულად გამორიცხავენ (აქარწყლებენ) სარჩელის სამართლებრივ საფუძველს, და, მაშასადამე, სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს მხარეთა შორის სადავო და რელევანტურ ფაქტებს (მტკიცების საგანი). სწორედ ამ ფაქტების მიმართ მიმდინარეობს მტკიცების პროცესი. ამ მიზნით საქმის განხილვისას შეგროვებული, გამოკვლეული და შეფასებული მტკიცებულებების შედეგები აისახება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ არ მიიღო წაგებული მხარის მტკიცებულებები, უნდა დაასაბუთოს თუ რამ განაპირობა ამ მტკიცებულების (მტკიცებულებების) მიუღებლობა. წაგებული მხარისათვის გასაგები უნდა იყოს სასამართლოს შეფასებები. მტკიცებულების (მტკიცებულებების) მიღებაზე შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს მტკი-

ცებულების დაუშვებლობა (სსსკ-ის 102.3 მუხლი), ან როდესაც მტკიცებულება (მტკიცებულებები) არ განეკუთვნება განსახილველ საქმეს (სსსკ-ის 104-ე მუხლი), ან წარმოდგენილი მტკიცებულებები ზედმეტია, რადგან სადავო ფაქტზე მიუთითებენ სხვა მტკიცებულებები.

სასამართლომ უნდა დაასაბუთოს მის მიერ მიღებული მტკიცებულებების შეფასების შედეგები, თუ რატომ მიიჩნია, რომ შეფასებული მტკიცებულებით დასტურდება ან არ დასტურდება სადავო ფაქტი. შესაბამისად, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად სასამართლო იღებს ორიდან ერთ-ერთ დასკვნას:

1. დადასტურებულად მიიჩნევს მტკიცების საგანს, ან
2. არ მიიჩნევს დადასტურებულად მტკიცების საგანს.

3.8. მტკიცებულებათა შეფასების შედეგების დასაბუთება

გადაწყვეტილების სტილი, როგორც აღინიშნა, მოიცავს ასევე მტკიცების პროცესს. აქედან გამომდინარე, დასკვნა, რომელიც მიღებული აქვს სასამართლოს სამართლის დასკვნის სტილით, უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნევს ის დადგენილად ან დაუდგენლად სადავო ფაქტს შეფასებული მტკიცებულების საფუძველზე.

მტკიცებულება უნდა მიუთითებდეს ძირითად, საძიებელ ფაქტზე (პირდაპირი მტკიცებულება). შესაძლებელია მტკიცებულება უთითებდეს სხვა ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას აძლევენ სასამართლოს ძირითადი ფაქტების შესახებ (ირიბი მტკიცებულებები).

ორივე შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულების შეფასების ორ კრიტერიუმზე:

1. მტკიცებულებაზე, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის თაობაზე ინფორმაციის წყაროზე (მტკიცებულების შინაარსი, ის თუ რამდენად ეს მტკიცებულება შეიცავს რელევანტურ და სადავო ფაქტების თაობაზე ინფორმაციას).
2. მტკიცებულების დამაჯერებლობაზე (მტკიცებულებითი ძალაზე).

ორივე ეს კრიტერიუმი კუმულაციურად უნდა არსებობდნენ. ერთ-ერთის არ არსებობა უარყოფითი დასკვნის საფუძველია. განვიხილოთ ყოველივე ეს დანვრილებით.

სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას (სსსკ-ის 105.2. მუხლი). ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება მხოლოდ სუბიექტურ მომენტზეა დამოკიდებული. მოსამართლის შინაგანი რწმენა ყალიბდება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. კერძოდ,

1. სასამართლოს უნდა ახსოვდეს, რომელი ფაქტის შესახებ აგროვებს და აფასებს მტკიცებულებას. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი. მხარეთა მიერ მითითებული (სსსკ-ის მე-4 მუხლი) მხოლოდ რელევანტური და სადავო ფაქტები შეადგენს მტკიცების საგანს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხარეები თვითონ უთითებენ იმ ფაქტებს, რაც საფუძვლად უდევს მათ მოთხოვნასა და შესაგებელს (სსსკ-ის მე-4 მუხლი), მაგრამ რამდენად იურიდიულად მნიშვნელოვანია ეს ფაქტები (რელევანტური ფაქტები), ამას განსაზღვრავს მოსამართლე მომწესრიგებელი ურთიერთობის სამართლის ნორმის საფუძველზე. მიღებულ შედეგებს (დასკვნებს) სასამართლო ასახავს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. სასამართლო აქვე ახდენს სუბსუმირებას, ანუ ამ ფაქტების კვალიფიკაციას, სამართლებრივ შეფასებას. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ მხედველობიდან არ უნდა დაკარგოს, თუ რომელი ფაქტის დადგენა-არ დადგენის თაობაზე მსჯელობს.
2. ფაქტის დამდგენი მტკიცებულების შინაარსის კვლევის შედეგები ასევე აისახება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. სასამართლომ უნდა იმსჯელოს, შესაფასებელი მტკიცებულებიდან გამომდინარეობს თუ არა ინფორმაცია დასადგენი ფაქტის შესახებ. მაგალითად, მოსარჩელემ წარმოადგინა მოპასუხის ხელმოწერით წერილი, სადაც ეს უკანასკნელი მიმართავს მოსარჩელეს: „დღეს 19:00 მოვალ და დავილაპარაკოთ“. ამით მოსარჩელეს სურს დაადასტუროს, რომ მოპასუხეს

ნამდვილად აქვს მისი ვალი. ხელწერილის შინაარსი არ მიუთითებს ამ ფაქტზე. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უარყოფს ამ მტკიცებულებას.

3. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახება სასამართლოს მსჯელობა მტკიცებულების ნამდვილობასთან დაკავშირებით. რამდენად შესაფასებელ მტკიცებულებას გააჩნია მტკიცებულებითი ძალა. მაგალითად, წერილობითი მტკიცებულება ხელმოწერილია თუ არა, ეკუთვნის თუ არა ხელმოწერა ამ პირს, ასახავს თუ არა წერილის შინაარსი მის ნებას, თარიღები გადასწორებულია თუ არა და ა.შ. მონმის შეფასებისას მნიშვნელოვანია მონმე ფაქტის უშუალო მომსწრე იყო თუ არა, მისი ჩვენება ეხება სადავო ფაქტობრივ გარემოებებს თუ დასკვნებს და ა.შ.
4. მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება აუცილებელია ფაქტის არსებობის მაღალი ალბათობით დადგენისათვის. ამდენად, ცალ-ცალკე მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, როდესაც სასამართლო დარწმუნდა მათი შინაარსობრივ მხარესა და მტკიცებულებითი ძალაში, აუცილებელია მათი ერთობლივი შეფასება. ეს პროცესი ემსგავსება ანალიზისა და სინთეზის ლოგიკურ ოპერაციებს. ფაქტის თაობაზე ინფორმაცია შესაძლებელია არ იყოს მიღებული მტკიცებულებების ცალ-ცალკე შეფასების დროს. შესაფასებელი მტკიცებულებები შეიძლება ავსებდნენ ერთმანეთს და ერთობლივად უთითებდნენ დასადგენ ფაქტზე, ან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან.

აქედან გამომდინარე, მითითებული კრიტერიუმები მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმათა საფუძველზე ლოგიკურად შესაძლებელს უნდა ხდიდეს, ან პირიქით, გამორიცხავდეს სადავო ფაქტის არსებობას. რაც, თავის მხრივ, მოსამართლეს სუბიექტურად უნდა უყალიბებდეს რწმენას ამ ფაქტების თაობაზე. ფაქტის არსებობის მაღალი ალბათობა და შინაგანი რწმენა ერთობლივად შესაძლებელს ხდის სწორი დასკვნების გაკეთებას¹⁰. ამავე დროს, შინაგანი რწმენით მოსამართლე მიდის იმ დასკვნამდე, არსებობს თუ არა ალბათობის აუცი-

¹⁰ ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი, თბ. 2016, გვ. 20.

ლებელი ხარისხი.¹¹ მითითებული შეფასებები აისახება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

3.9. მტკიცების ტვირთი

გადაწყვეტილებაში მოსამართლე მსჯელობს მტკიცების ტვირთზე და მის გადანაწილებაზე მხოლოდ როდესაც არსებობს ამის აუცილებლობა. პირველი, როდესაც მოსამართლე ვერ დარწმუნდა მაღალი ალბათობით ფაქტების არსებობასთან დაკავშირებით. მეორე, მხარემ, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი არ წარმოადგინა სადავო ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება.

3.10. საპროცესო ხარჯები:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ უნდა იმსჯელოს პროცესის ხარჯებზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს სასამართლო ხარჯებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება. მაგალითად, სასამართლო ასაბუთებს პროცესუალური ხარჯების (სახელმწიფო ბაჟი, ადვოკატის ხარჯები და ა.შ.) შემცირებას, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებას, ზედმეტად გადახდილი სახ. ბაჟის დაბრუნებას და ა.შ.

3.11. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხი

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გამოყენებული ჰქონდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაშინ სასამართლომ უნდა მიუთითოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე.

¹¹ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება. თბ. 2006, გვ.121.

3.12. დამატებითი რეკომენდაციები სასამართლო გადანწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით

1. თუ გამოყენებული სამართლის ნორმა მთლიანად ამართლებს მოთხოვნას, აღარ არის საჭირო სხვა სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება;
2. თუ შესაგებლის სამართლებრივი საფუძველი მთლიანად გამორიცხავს სარჩელს, აღარ არის აუცილებელი სხვა საფუძვლებიდან სასარჩელო მოთხოვნის გამორიცხვაზე მსჯელობა;
3. სასარჩელო მოთხოვნის რამდენიმე საფუძველისგან სასამართლოს შეუძლია იმაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელიც იძლევა მოთხოვნის დასაბუთების ყველაზე მარტივ და სრულ შესაძლებლობას;
4. ამასთან ერთად, თუ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებებიდან ერთ-ერთი საკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღარ არის აუცილებელი მოთხოვნის სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე მოთხოვნის დასაბუთება;
5. თუ სასარჩელო მოთხოვნა არ კმაყოფილდება, აუცილებელია ყურადღება იქნეს გამახვილებული მოთხოვნის ყველა საფუძველზე;
6. როდესაც ყველა მოსაზრებას ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ, სასამართლოს აღარ გამოაქვს გადანწყვეტილება არარელევანტურ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ღიად დატოვოს, გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც მოთხოვნა ან შესაგებელი ძირითადად უკავშირდება არარელევანტურ გარემოებებს, ამ შემთხვევაში სასამართლო მოკლედ მათზე მითითებით სამართლებრივად განმარტავს ამ გარემოებების უსაფუძვლობას. ასევე გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლოს მიერ ხდება ამ საკითხებზე განმარტება სასამართლო პრაქტიკის, სტაბილური სამართლებრივი მდგომარეობის და სამართალგანვითარების უზრუნველყოფის მიზნით.¹²
7. გადანწყვეტილების მოცულობას უნდა განაპირობებდეს მისი დასაბუთება.

¹² შეად. ბოლინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანწყვეტილებათა მიღების მეთოდის, თბ. 2004, გვ. 81-83.

პრაქტიკული მინიშნებები:

1. ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შესაბამისი დასაბუთება
2. მტკიცებულებების შეფასების შედეგები და შესაბამისი დასაბუთება
3. უდავო და დადგენილი ფაქტების შეფარდება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმასთან/ნორმებთან
 - ნორმის დისპოზიციის დაშლა ელემენტებად
 - ცალკეული ელემენტის დეფინიცია
 - ცალკეული ელემენტის სუბსუმცია (მისადაგება უდავო/დადგენილ ფაქტებთან)
 - დასკვნა
4. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი უფლების შემწყვეტი/შემაფერხებელი შესაგებლის შემოწმება.

განვიხილოთ მოკლე მაგალითი სამართლის დასკვნისა და გადაწყვეტილების სტილის მიხედვით:

მაგალითად, მოსარჩელე „ა“ სარჩელით ითხოვს მოპასუხეს „ბ“-ს დაეკისროს მის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა მათ შორის 2016 წლის 5 სექტემბერს ერთი თვის ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე „ა“-სგან მიღებული 3000 ლარი „ბ“-ს არ დაუბრუნებია. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ სცნო. საფუძვლად მიუთითა, რომ მან დაუბრუნა მოსარჩელეს სესხად აღებული 3000 ლარი. კერძოდ, 2016 წლის 10 სექტემბერს 2000 ლარი, ხოლო ამავე წლის 15 სექტემბერს 1000 ლარი. მოსარჩელე უარყოფს სესხის დაბრუნების ფაქტს. ამის პასუხად მოპასუხემ წარმოადგინა 2016 წლის 10 სექტემბერს და ამავე წლის 15 სექტემბერს მოსარჩელე „ა“-ს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, რომლებიც უთითებდნენ „ა“-ს მიერ ამ თანხების მიღებაზე. კერძოდ, 10 სექტემბერს დათარიღებული ხელწერილი შემდეგი შინაარსისაა: „2016 წლის 5 სექტემბერს ჩემსა და „ბ“-ს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში „ბ“-სგან მივიღე 2000 ლარი, „ბ“-ს მოსაცემი დარჩა 1000 ლარი. ხელწერილს ხელს აწერს „ა“ (მოსარჩელე)“. 15 სექტემბერს დათარიღებული ხელწერილი შემდეგი შინაარსისაა: „5 სექტემბერს ჩემსა და „ბ“-ს შორის დადებული სესხის

ხელშეკრულებიდან გამომდინარე „ბ“-სგან მივიღე 2016 წლის დარჩენილი 1000 ლარი. ხელწერილს ხელს აწერს „ა“ (მოსარჩელე)“.

ამის პასუხად, მოსარჩელემ განმარტა, რომ მან არ იცის საიდან აღმოჩნდა მისი ხელმოწერა ამ დოკუმენტზე. ამის საპირისპიროდ, მოპასუხემ აღნიშნა, რომ მითითებული თანხების მიღებისთანავე მოსარჩელემ თვითონ შეადგინა ამ დოკუმენტების ტექსტი და ისე მოაწერა ხელი. მოსარჩელე ისევ იმეორებს, რომ არ იცის, საიდან აღმოჩნდა მისი ხელმოწერა ამ დოკუმენტზე.

ა. სამართლებრივი დასკვნის სტილი

სამართლებრივი დასკვნის სტილისათვის, როგორც აღინიშნა დამახასიათებელია თურმეობითი ფორმა. განხილვა იწყება საკითხის დასმით, ხოლო შემდეგ მასზე პასუხის გაცემით ვიღებთ დასკვნებს. დედუქციური ფორმის ყველაზე მარტივი მეთოდის – სილოგიზმის გამოყენებით, ზოგადი ცნებებიდან მივიღივართ კონკრეტულ შემდეგამდე, რაც ხორციელდება სამართლის ნორმით მოცემული წინაპირობებისა (დისპოზიცია) და ფაქტობრივი გარემოებების შეკავშირების (სუბსუმცია) გზით.

კერძოდ, მოყვანილი მაგალითის სამართლის დასკვნის სტილის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საკმაოდ მოკლე სქემა:

გემოაღნიშნული კაზუსიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: აქვს თუ არა „ა“-ს უფლება, „ბ“-სგან მოითხოვოს 3000 ლარი?

მოსარჩელის ახსნა-განმარტების დასაბუთებულობა (სარჩელის სტადია). სარჩელში აღნიშნულია, რომ „ა“-სა და „ბ“-ს შორის 2016 წლის 5 სექტემბერს ერთი თვის ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე „ა“-სგან მიღებული 3000 ლარი „ბ“-ს არ დაუბრუნებია.

მხარეთა შორის ხელშეკრულების ნამდვილობაზე მიუთითებს სსკ-ის 327-ე მუხლი, მაშასადამე, სარჩელში მითითებული გარემოებები შეესაბამება სსკ-ის 623-ე მუხლის წინაპირობებს. კერძოდ, შემონშებას მოითხოვს შემდეგი წინაპირობები: ა. ნამდვილი სასესხო ხელშეკრულების დადება (სსკ-ის 327-ე, 624-ე მუხლები); ბ. სასესხო თანხის გადაცემა მსესხებელზე (სსკ-ის 623-ე მუხლი); გ. სასესხო თანხის უკან დაბრუნების ვადის დადგომა (სსკ-ის 626-ე, 627-ე მუხლები).

აქედან გამომდინარე, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას და, შესაბამისად, მოსარჩელეს შესაძლებელია

გააჩნდეს მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, სსკ-ის 623-ე მუხლიდან გამომდინარე.

შეაღედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა.

მოპასუხის შესაგებლის არსებითობა (მოპასუხის სტადია):

შესაგებელში აღნიშნულია, რომ მან (მოპასუხემ) დაუბრუნა მოსარჩელეს სესხად აღებული 3000 ლარი. კერძოდ, 2016 წლის 10 სექტემბერს 2000 ლარი, ხოლო ამავე წლის 15 სექტემბერს 1000 ლარი. შესაგებელში აღნიშნული ფაქტები გამომდინარეობენ სსკ-ის 427-ე მუხლიდან და მიუთითებენ ვალდებულების შეწყვეტაზე შესრულებით, რაც მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებას წარმოადგენს.

შეაღედური დასკვნა: შესაგებელი დასაბუთებულია.

სადავო და უდავო ფაქტები:

უდავო ფაქტს წარმოადგენს „ა“-სა და „ბ“-ს შორის 2016 წლის 5 სექტემბერს დადებული სესხის ხელშეკრულება, რომლითაც „ა“-მ ერთი თვის ვადით „ბ“-გადასცა 3000 ლარი.

სადავო ფაქტს წარმოადგენს „ბ“-ს მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 3000 ლარის დაბრუნების ფაქტი.

მტკიცების სტადია:

მხარეთა შორის დავას იწვევს ვალდებულების შესრულების ფაქტი. შესაბამისად, მტკიცების საგანს წარმოადგენს ფაქტი იმის შესახებ, შეასრულა თუ არა „ბ“-მ „ა“-ს მიმართ ზემოაღნიშნული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება? ამ ფაქტის მიმართ ხორციელდება მტკიცებითი პროცესი.

მტკიცების ტვირთი:

მოსამართლემ უნდა განსაზღვროს მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში მოპასუხემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ფაქტი, რადგან მისთვის არის ხელსაყრელი ამ ფაქტის დადასტურება¹³ (სსკ-ის 102.1 და სსკ-ის 427-ე მუხლები).

¹³ სუსგ №ას-872-830-2013

მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება

ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, რომლის თანახმად მოპასუხე „ბ“-მ დაუბრუნა მოსარჩელე „ა“-ს 2016 წლის 10 სექტემბერს 2000 ლარი, ხოლო ამავე წლის 15 სექტემბერს 1000 ლარი.

წერილობითი მტკიცებულების შინაარსი დასადგენი ფაქტებთან მიმართებაში. წერილები მიუთითებს სხვადასხვა დროს „ბ“-ს მიერ „ა“-სათვის 2016 წლის 5 სექტემბერს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტზე.

კერძოდ, 10 სექტემბერს დათარიღებული ხელწერილის შინაარსი მიუთითებს სესხად გაცემული თანხის ნაწილის (2000 ლარის) მიღებას „ა“-ს მიერ, ხოლო 15 სექტემბრის ხელწერილი მიუთითებს „ა“-ს მიერ დარჩენილი 1000 ლარის მიღებაზე.

ამდენად, წერილობითი მტკიცებულებები მიუთითებენ შესრულებით ვალდებულების შეწყვეტის ფაქტზე, რაც შინაარსობრივად ასახავენ მოპასუხის სამართლებრივ საფუძვლებს (სსკ-ის 427-ე მუხლი).

წერილობითი მტკიცებულებების დამაჯერებლობაზე მიუთითებს მოსარჩელის მიერ ხელწერილების შედგენა და მათზე ხელმოწერა. მოსარჩელის შედავება, რომ მან არ იცოდა, საიდან აღმოჩნდა მისი ხელმოწერა ამ დოკუმენტზე, არ არის საკმარისი, რომ მტკიცებულებათა დამაჯერებლობა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხის განმარტებაზე, რომ „...მიუთითებული თანხების მიღებისთანავე მოსარჩელემ თვითონ შეადგინა ამ დოკუმენტების ტექსტი და ისე მოაწერა ხელი“, მოსარჩელე არ ედავება. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ხელწერილებს გააჩნიათ მტკიცებულებითი ძალა (დამაჯერებელია).

მტკიცებულებების ერთობლივი შეფასება: 2016 წლის 10 და 15 სექტემბრის მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ 2016 წლის 5 სექტემბრის სასესიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მოპასუხე „ბ“-მ შეასრულა ვალდებულება მოსარჩელე „ა“-ს სასარგებლოდ.

დასკვნა:

მოსარჩელე „ა“-ს არა აქვს უფლება მოითხოვოს მოპასუხე „ბ“-სგან 3000 ლარის დაბრუნება.

გადაწყვეტილების სტილი:**დასკვნა:**

მოსარჩელე „ა“-ს არა აქვს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ 3000 ლარის მოთხოვნის უფლება.

1. 2016 წლის 5 სექტემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 3000 ლარი (სსკ-ს 623-ე მუხლი). მოპასუხეს ვალი უნდა დაებრუნებინა ერთი თვეში (სსკ-ის 626.1. მუხლი).
2. მხარეთა შორის დავას იწვევს ვალდებულების შესრულების ფაქტი. მოსარჩელეს არა აქვს 3000 ლარის მოთხოვნის უფლება, რადგან მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2016 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელემ მიიღო მოპასუხისგან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2000 ლარი, ხოლო 15 სექტემბერს – 1000 ლარი. ეს დოკუმენტები შედგენილია და ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, რომლის ნამდვილობას მოსარჩელე არ ედავება. მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ არ იცოდა თუ რას აწერდა ხელს, არ არის დამაჯერებელი. უფრო მეტიც, მოპასუხის განმარტებაზე, რომ მოსარჩელემ თვითონ შეადგინა ამ დოკუმენტების ტექსტი და ისე მოაწერა ხელი, მოსარჩელე არ ედავება.

4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

4.1. შესავალი

პირის უფლება სასამართლო განხილვაზე, მოიცავს დავის განხილვის შედეგის აღსრულებას¹⁴, რაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სწორ და ზუსტ ფორმულირებაზე დამოკიდებული. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ პირს დარღვეული უფლების აღდგენა შეუძლია სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე¹⁵, რომელშიც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილია ასახული. აღნიშნული ცხადჰყოფს როგორც თვით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მნიშვნელობას, ასევე კანონით დადგენილი წესით ჩამოყალიბების აუცილებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა მოიცავდეს დასკვნას განხილულ ყველა მოთხოვნაზე (არ უნდა სცდებოდეს მოთხოვნის ფარგლებს – სსსკ 248-ე მ.) სრულად, გასაგებად, ამომწურავად და ცალსახად (ალტერნატივის გარეშე).

დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო/საკასაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას“. გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც ამუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (თუ მთლიანად გადაწყვეტილებაზე) (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად,

¹⁴ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 28 ნოემბერი, §54 (გადაწყვეტილების ნომერი).

¹⁵ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-2, 20-ე მ.

გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი (შდრ.: სუსგ-ებები: №ას-710-1011-09, 7 სექტემბერი, 2009 წელი; №ას-797-750-2012, 4 ივნისი, 2012 წელი + უახლესი პრაქტიკა).¹⁶

ვინაიდან სამოქალაქო დავაზე მიღებული განჩინებებიც აღსრულებას ექვემდებარე აქტია (მაგ. მორიგების განჩინება), მათი სარეზოლუციო ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიმართ მოქმედ წესებს.

აქვე უნდა აღინიშნოს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი, როდესაც გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს მისი რომელიმე ნაწილის გარეშეც (სსკ-ის 234-ე, 250-ე, 257.¹), თუმცა ამ შემთხვევებშიც სარეზოლუციო ნაწილის შედგენისას კანონის მოთხოვნათა დაცვა აუცილებელია.

4.1.2. მოთხოვნათა ასახვა

სარეზოლუციო ნაწილში პასუხი უნდა გაეცეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც მხარეთა მიერ იქნა წარდგენილი, კერძოდ:

თითოეულ სასარჩელო მოთხოვნას დამოუკიდებლად უნდა გაეცეს პასუხი როგორც რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანების შემთხვევაში, ასევე შეგებებულ სარჩელს (შეგებებულ სააპელაციო საჩივარს) და მესამე პირის დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას.

ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ნაწილობრივი გადაწყვეტილება (სსსკ 245-ე მ.) და წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება (სსსკ 246-ე მ.), თუმცა ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც სარეზოლუციო ნაწილის მიმართ მოქმედებს ზოგადი წესი – ზუსტად უნდა მიეთითოს სასარჩელო მოთხოვნის რომელი ფაქტობრივი გარემოება ცნო სასამართლომ დადგენილად (სსსკ 246-ე მ.) ან რომელი მოთხოვნა დაკმაყოფილდა (სსსკ 245-ე მ.).

მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილში ნათლად უნდა მიეთითოს, მოსარჩელის კონკრეტულად რო-

¹⁶ სუსგ 2016 წლის 22 იანვრის №ას-1054-994-2015 განჩინება.

მელი მოთხოვნა რა მოცულობით დაკმაყოფილდა და რომელ მოთხოვნას ეთქვა უარი.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიძლება მოიცავდეს სასამართლოს დადგენილებას დავასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხზე, რომელსაც, კანონის თანახმად განჩინებით უნდა გაეცეს პასუხი. თუმცა თუ ასეთი საკითხი საქმის არსებითად განხილვისას გადაწყდა, იგი შეიძლება აისახოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშიც. ასე მაგალითად, თუ საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლო, კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის გამო, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან ერთერთზე საქმის წარმოებას შეწყვეტს, შესაძლებელია მისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო სარეზოლუციო ნაწილში უთითებს თითოეული პუნქტისთვის კანონით დადგენილ გასაჩივრების წესს (სააპელაციო საჩივარი, კერძო საჩივარი).

4.1.3. სუბიექტები

თუ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, სარეზოლუციო ნაწილით ამომწურავად უნდა განისაზღვროს ვალდებული პირი (რომელიც უფლებამონაცვლების შედეგად შეიძლება არ იყოს სამართალწარმოების თავდაპირველი მხარე) და შესასრულებელი მოქმედება.

სავალდებულო თანამონაწილეობის (სსსკ 86.1 „ა“) შემთხვევაში, გადაწყვეტილების რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანისას, სარეზოლუციო ნაწილში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული თითოეული მოსარჩელეს მიმართ მოპასუხეს ვალდებულების მოცულობაზე ან მოსარჩელეთა სოლიდარულ უფლებაზე (სსსკ 256.1).

თუ გადაწყვეტილებით ვალდებულება დაეკისრა რამდენიმე მოპასუხეს, სავალდებულო თანამონაწილეობის (სსსკ 86.1 „ა“) შემთხვევაში, სარეზოლუციო ნაწილში უნდა დაზუსტდეს, მოქმედების შესრულება მოპასუხეებს სოლიდარულად ეკისრებათ თუ წილობრივად (სსსკ 256.2)¹⁷.

ფაქულტატურული თანამონაწილეობის (სსსკ 86.1 „ბ“ და „გ“) დროს თითოეული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან თითოეული მხარი-

¹⁷ სუსგ 2017 წლის 30 მაისის №ას-118-9110-2017 გადაწყვეტილება.

სათვის ვალდებულების დაკისრება ცალკეულად და ამომწურავად უნდა განისაზღვროს.

ზოგიერთი დავის თავისებურებიდან გამომდინარე (მაგ.: შვილება, განქორწინება, მამობის დადგენა) შესაძლებელია არსებობდეს მხარეთა მონაცემების მეტად დაწვრილებით (მაგ.: დაბადების თარიღი, ადგილი) მითითება, რათა გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების (სამოქალაქო რეესტრი) მიერ აღსრულება არ შეფერხდეს.

4.1.4. გადაწყვეტილებით დადგენილი მოქმედება

სარეგოლუციო ნაწილი მკაფიოდ და ცალსახად უნდა პასუხობდეს კითხვას, თუ რა მოქმედება უნდა შეასრულოს ვალდებულმა პირმა. ამ მიზნით ზუსტად უნდა განისაზღვროს:

- გადასახდელი თანხის ოდენობა

ამასთან, უნდა დაკონკრეტდეს დაკისრებული თანხის ოდენობა ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის მიხედვით (მაგ.: ძირითადი თანხა, სარგებელი, პირგასამტეხლო, მიუღებელი შემოსავალი, არაქონებრივი ზიანი და ა.შ.).

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას (სრულად გაქვითვისას და ნაწილობრივ გაქვითვისას) – დასაკისრებელი თანხის ოდენობა.

მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების უცხოურ ვალუტაში შეთანხმების შემთხვევაში უნდა მიეთითოს უცხოური ვალუტის ოდენობა და მისი გადახდის წესი;

იურიდიული პირისათვის ფულადი თანხის გადახდევინების დაკისრებისას სარეგოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს საბანკო ანგარიშის მონაცემები (სსსკ 252-ე მ.);

- გადასაცემი ნივთის აღწერა (ინდივიდუალური ან გვაროვნული ნიშნით, წონა, ზომა, ოდენობა და სხვა), ნივთის ადგილსამყოფელი და სხვა მონაცემი, რაც გაამარტივებს ნივთის იდენტიფიცირებას და შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებას.
- თუ გადასაცემია ნივთი, გადაწყვეტილების სარეგოლუციო ნაწილში უნდა განისაზღვროს ნივთის ღირებულება (სსსკ 253-ე მ.), რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მას

ეს ნივთი არ აღმოაჩნდება. ამ მოთხოვნის დაუცველობა ნივთის გა-
ნადგურების ან სხვა რაიმე საფუძვლით მისი მოსარჩელისათვის გადა-
ცემის შეუძლებლობის შემთხვევაში გადანაცვეტილების აღსრულებას
შეუძლებელს გახდის.

- შესასრულებელი მოქმედება – კონკრეტულად რა მოქმედება უნდა
შეასრულოს მოპასუხემ და რა ვადაში, ხოლო ვადის დარღვევის ან
ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დავის არსიდან გა-
მომდინარე (მაგ. სასაზღვრო მიჯნის აღმართვა) სარეზოლუციო ნა-
წილში უნდა მიეთითოს შესასრულებელი მოქმედების ღირებულება,
რათა მოსარჩელეს (რომლის ინტერესშია ვადაში შესრულება) მიეცეს
უფლება დაუყოვნებლივ განახორციელოს მოქმედება და განუელი
ხარჯი მოპასუხისგან ამოიღოს.

4.1.5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

თუ გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, სარ-
ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადანაცვეტილების
სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს უზრუნველყოფის ღონისძიების
გაუქმების თაობაზე (სსსკ 199¹).

თუ გამოყენებულია მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზ-
ღაურების უზრუნველყოფა (სსსკ 199) და სარჩელის დაკმაყოფილდა, სა-
რეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს ამ უზრუნველყოფის გაუქმებაზე¹⁸.

4.1.6. აღსრულების წესი

სამოქალაქო დავებზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება რიგ
შემთხვევებში კავშირშია და მოითხოვს გადანაცვეტილების აღსრულების
წესის და ვადის განსაზღვრას (სსსკ 251), რაც აუცილებლად უნდა აისახოს
სარეზოლუციო ნაწილში. გადანაცვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის
შემდეგ მისი აღსრულების მიზნით სარეზოლუციო ნაწილი უნდა პასუხობ-
დეს სსსკ 252-ე, 253-ე და 254-ე მუხლების მოთხოვნებს.

სსსკ 268-ე მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის დავებზე გადან-
აცვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე მხარის მოთხოვნის

¹⁸ სუსკ 2016 წლის 25 თებერვლის №ას-876-834-2013 წლის გადანაცვეტილება.

დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების აღსრულების ამ წესზე.

სსსკ-ის 271-ე მუხლით სასამართლო უფლებამოსილია უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების (რომელიც არ არის მიქცეული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად) აღსრულება სარჩელის უზრუნველყოფის წესების გამოყენებით, რის შესახებაც ის მიუთითებს სარეზოლუციო ნაწილში.

4.1.7. სასამართლო ხარჯების განაწილება

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე (სსსკ 249.5), კერძოდ, ზუსტად უნდა განისაზღვროს, რომელ მხარეს ვის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯის გადახდა. ამასთან, უნდა განისაზღვროს გადასახდელი ხარჯის სახე (სასამართლო ხარჯი (სსსკ 37.2) და სასამართლოს გარეშე ხარჯი (სსსკ 37.3). აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხარე, კანონით ან სასამართლოს მიერ, შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხებისაგან.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე არ შუამდგომლობს პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე, სასამართლო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს მხოლოდ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, ე.წ. სასამართლო ხარჯებზე, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯების განაწილებაზე სასამართლო მხოლოდ მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელებს.

მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ 53-ე მუხლით, ხოლო სარჩელზე უარის თქმის ან მორიგების შემთხვევაში 54-ე მუხლით დადგენილი წესით. იმ მხარის მიერ განეული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მეორე მხარეს ეკისრება, მიუხედავად იმისა ეს უკანასკნელი გათავისუფლებულია თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სასამართლო ხარჯების განაწილება განისაზღვრება დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, რაც გულისხმობს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის

სარჩელის მხოლოდ დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად განეული სასამართლო ხარჯების ოდენობის თანხის დაკისრებას.

მხარეთა შორის ამავე წესით ნაწილდება წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯები. წარმომადგენლისთვის ხარჯების გადახდა უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით (მხარესა და წარმომადგენელს შორის დადებული დავალების ხელშეკრულება და თანხის გადახდის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დგინდება წარმომადგენლისათვის მომსახურების საფასურის გადახდა). წარმომადგენლის ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს სსსკ 53.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად პროცესის ხარჯების განაწილებაც იცვლება.

გასათვალისწინებელია სსსკ 53.4 მუხლის დანაწესი, რომლითაც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში მთელი სასამართლო ხარჯები (სარჩელის აღძვრიდან საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის ჩათვლით), უნდა შეჯამდეს და მხარეთა შორის განაწილდეს ამ მუხლით დადგენილი წესით¹⁹.

4.1.8. გასაჩივრების წესი და ვადა

კანონის თანახმად, სავალდებულოა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითოს:

- საჩივრდება თუ არა გადაწყვეტილება;
- დადებით შემთხვევაში რომელ სასამართლოში (დასახელება და ადგილმდებარეობა) საჩივრდება;
- სად (რომელ სასამართლოში) უნდა იქნეს შეტანილი საჩივარი;
- რა ვადაში შეიძლება გასაჩივრება.

გასაჩივრების ვადის მითითებისას განისაზღვრება ვადის დენის ათვლის მომენტი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტს.

¹⁹ სუსგ 2017 წლის 6 ივნისის №აპ-398-371-2017 გადაწყვეტილება.

ხადებას ან დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას. ამასთან, ვადის დენის დაწყების განსაზღვრისათვის გამოიყენება სსსკ 60-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესი (სუსგ დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის №ას-1161-1106-2014 განჩინება).

4.1.9. გადაწყვეტილების ნაკლი

გადაწყვეტილების ნაკლის გასწორება შესაძლებელია გადაწყვეტილების განმარტების, უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით.

ა. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება

სსკ 260-ე მუხლით, სასამართლოს მიერ გამოცხადებულ გადაწყვეტილებაში შესწორების (უსწორობა – შეცდომა მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემებში, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დასახელებაში და სხვა; აშკარა არითმეტიკული შეცდომა – შეცდომა ანგარიშში, ციფრებში) შეტანა დასაშვებია, როგორც მოსამართლის, ასევე მხარეთა ან აღმასრულებლის ინიციატივით, გადაწყვეტილების გამოტანიდან მის აღსრულებამდე ყველა ეტაპზე. ამავდროულად, კანონი იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების ნაკლის გასწორებას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის შეუცვლელად.

ბ. დამატებითი გადაწყვეტილება

სსკ 261-ე მუხლით დამატებითი გადაწყვეტილება შეუძლია გამოიტანოს იმავე სასამართლომ, რომელმაც მიიღო ძირითადი გადაწყვეტილება როგორც მხარეთა ასევე სასამართლოს ინიციატივითაც. დამატებითი გადაწყვეტილება გამოიტანება მხოლოდ გადაწყვეტილებაში არსებული შემდეგი დარღვევების არსებობის შემთხვევაში:

- ძირითადი გადაწყვეტილება არ პასუხობს მხარის იმ მოთხოვნას, რომელიც წარმოდგენდა განხილვის საგანს (წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, მხარეებისაგან მიღებული იყო ახსნა-განმარტებები).

- სასამართლომ დაადგინა მოდავე მხარის უფლება, მაგრამ არ მიუთითა მოპასუხე მხარის შესასრულებელ მოქმედებაზე, მაგრამ არ მიუთითა გადასახდელი თანხის ოდენობაზე ან გადასაცემ ქონებაზე.
- გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

გ. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

კანონით (სსსკ 262-ე მუხლი) გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია:

- მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით;
- მისი შინაარსის შეუცვლელად;
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნდოვანია სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი;
- თუკი გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა ან არ არის გასული მისი აღსრულების ვადა;

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განმარტოს სასამართლოს ის განჩინებაც, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

განმარტება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და გასაგები გახდეს მხარეთათვის.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების დასაბუთება

1. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება (განჩინება) და მისი სახეები.

სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე ყურადღება გამახვილებულია სსსკ-ის 386-ე მუხლით, რომლის საფუძველზე შეიძლება მივუთითოთ სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გადანყვეტილებებზე: 1. გადანყვეტილება, რომლითაც სასამართლო არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს და ძალაში ტოვებს პირველი ინსტანციის გადანყვეტილებას; 2. გადანყვეტილება, რომლითაც სასამართლო აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს და თვითონ იღებს ახალ გადანყვეტილებას; 3. გადანყვეტილება, რომლითაც სასამართლო აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოში. თუ რომელ გადანყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო, განპირობებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესთან დაკავშირებული წინაპირობებით. თუ სააპელაციო სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი საფუძველს მოკლებულია და პირველი ინსტანციის გადანყვეტილება ფაქტობრივი და იურიდიული თვალსაზრისით დასაბუთებულია, მაშინ ის ძალაში ტოვებს ამ გადანყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გადანყვეტილებას.

ამ სახელმძღვანელოს მიზანი არ არის, დანვრილებით განვიხილოთ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების კრიტერიუმების თავისებურებანი, არამედ წარმოადგენს მოკლე პრაქტიკული რეკომენდაციების შემოთავაზების მცდელობას, რაც შეიძლება მოსამართლეს დაეხმაროს ყოველდღიურ საქმიანობაში. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების დასაბუთება იგივე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც პირველი

ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, მაგრამ ყურადსაღებია ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მეტწილად ეხება პროცესუალურ-ტექნიკურ მხარეს.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტრუქტურა და სამოტივაციო ნაწილის ადგილი ამ სტრუქტურაში

სსსკ-ის 389.2 „გ“ ქვეპუნქტის თანამად თუ სააპელაციო სასამართლო ცვლის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ შეცვალა გადაწყვეტილება, ხოლო თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთი კითხვა დაისვა გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება და ძალაში ტოვებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, შეიძლება თუ არა ზემდგომი სასამართლო შემოიფარგლოს მხოლოდ მასზე მითითებით და რას ნიშნავს ეს?

ამასთან მიმართებით, დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ მითითება იმაზე, რომ „ვეთანხმები პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას“, არ არის საკმარისი, რადგან მრავალ სხვა მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება იყოს შესაძლებელი. გადაწყვეტილების სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო წაგებული მხარისათვის გასაგებს ხდის, თუ რატომ არ იქნა გაზიარებული მისი პოზიცია. შესაბამისად, სააპელაციო-მოსარჩელესა ან სააპელაციო-მოპასუხესათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ გაიზიარა სასამართლომ მისი მოსაზრება.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთი განჩინებით განმარტა, რომ „ნორმის მითითებული დანაწესებიდან გამომდინარე,... გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი წარმოადგენს საქმეზე მიღებული შედეგის – სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს, სადაც სასამართლო ასახავს საკუთარ შეფასებებსა და დასკვნებს სადავო გარემოებების თაობაზე და იურიდი-

ულად ასაბუთებს გადანყვეტილების აღსრულებუნარიანი ნაწილის მიღებაში განვლილ პროცესს, ანუ სარეზოლუციო ნაწილი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო კონკრეტულ შედეგამდე.”²⁰

ამდენად, განსახილველი ნორმის მიზანია სააპელაციო სასამართლოსათვის გადანყვეტილების ჩამოყალიბების გამარტივება და შემსუბუქება²¹, რაც არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ინდივიდუალური ინტერესების დაცვის მიზანთან. ამგვარად, ფაქტების ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იზრდება პირველი ინსტანციის როლი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების ინსტიტუტი შემხებლობაშია, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესთან.²² სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (სსკ-ის 407.2 მუხლი). მაგალითად, დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული პროცესუალური დარღვევის ფაქტს (მაგალითად, მტკიცებულებების შეგროვება-შეფასების დარღვევა), რამაც განაპირობა ფაქტების არასწორად დადგენა ან დაუდგენლობა და ა. შ.²³ ამდენად, ნაგებულმა მხარემ უნდა იცოდეს თუ რატომ არ გაიზიარა სასამართლომ მისი განმარტებები, აღძრული შუამდგომლობები, წარმოდგენილი მტკიცებულებები და.შ., ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის გასაგები უნდა იყოს მისი შემოწმების ობიექტი²⁴.

²⁰ სუსგ №ას-1131-1064-2015.

²¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. 2007, გვ. 669.

²² შეად. Boré J., Boré L.. La cassation en matière civile. Dalloz, 2008. p. 242-248, ასევე Boré J. La cassation en matière civile. Paris, 1997, 2-e partiè. p.396.

²³ ასევე იხ. თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ. 2011 წ. გვ 223-224.

²⁴ Couchez G., Procédure civile. Paris. 1998, p.345 ასევე იხ. Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p, 142-143.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შედეგები შეიძლება აისახოს გადაწყვეტილებაში თუ სააპელაციო საჩივრის მიღება გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რაც აუცილებლად უნდა განემარტოს მხარეებს.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტილი

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში აისახება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სამართალშეფარდების გადასინჯვის შემონმბის შედეგები. ეს პროცესი გადაწყვეტილების სტილის მიხედვით შემდეგ სტრუქტურას წარმოადგენს:

1. დასკვნა
2. მთავარი წინადადება, ანუ სამართლის ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობა (დისპოზიცია).
3. ქვემდგომი წინადადება, ანუ ფაქტობრივი სიტუაცია. (იხ. II. პ.)

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიუთითოს საფუძვლიანია თუ არა სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად ძალაში უნდა დარჩეს, თუ გაუქმდეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ სამართალშეფარდების გადასინჯვის პროცესი უკავშირდება ე.წ. არასრული (შეზღუდულ) აპელაციის მოდელს. ამ დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემონმბა ხდება იმ ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი იყო. ამ წესიდან გამონაკლისია როდესაც საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო იღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს (სსსკ-ის 380-ე და 382-ემუხლები).

სამართალშეფარდების გადასინჯვა მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, სწორი დასკვნები მიიღო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ, სწორად გამოიყენა და განმარტა სამართლის ნორმა თუ არა, რამდენად სწორად განსაზღვრა და დადგენილად ცნო რელევანტური ფაქტები და რამდენად სწორად განახორციელა

სუბსემირება. ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, თვითონ შეუძლია მიიღოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები.

მიღებული დასკვნის დასაბუთება, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, იწყება სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რასაც ძალაში ტოვებს (სსსკ-ის 389-ე მუხლი), მაშინ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის ცალკეულ შეფასებებზე მითითებით ნათლად განუმარტოს წაგებულ მხარეს, თუ რატომ არ იქნა გაზიარებული მისი მოსაზრებები. მაგალითად, სააპელაციო საჩივრის საფუძვლად აპელანტი უთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად დააკისრა მას მოსარჩელისათვის სესხის დაბრუნება, რადგან სესხად მიღებული თანხა მან, თავის მხრივ, ასესხა მეგობარს, რომელმაც არ დაუბრუნა მას ეს თანხა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯელობის გარეშე დატოვა შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე, რომელიც დაადასტურებდა ამ ფაქტობრივ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა მიუთითოს წაგებულ მხარეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები არ გამოირიცხავენ სასარჩელო მოთხოვნას (სსკ-ის 397 მუხლი). ამდენად, ამ შუამდგომლობაზე პასუხის გაუცემლობა არ წარმოადგენს ისეთ პროცესუალურ დარღვევას, რასაც შეეძლო არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა (სსსკ-ის 393.3 მუხლი).

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 389-ე მუხლი), მაშინ უნდა დაასაბუთოს თუ რამ განაპირობა მისი გაუქმება. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება განპირობებულია: ა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებით, რასაც მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა; ბ. ფაქტობრივი გარემოებების არასწორად განსაზღვრა/დადგენით, რასაც მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა; სხვა ისეთი პროცესუალური დარღვევებით, რაც იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას (მაგალითად, საქმე განიხილა

სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი და ა.შ.).

ა. ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ფაქტების განსაზღვრა/დადგენა მხარეთა შორის სადავო არ არის. სამართლებრივ შეფასებაში სასამართლო არ არის შებოჭილი მხარეთა მითითებებით და შეუძლია თვითონ განსაზღვროს, თუ სამართლის რომელი ნორმით წესრიგდება ეს ურთიერთობა. ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლა განპირობებულია სამართლის ნორმის არასწორი განმარტებით ან იმ ნორმის გამოყენებით, რომლითაც არ წესრიგდება განსახილველი ურთიერთობა (სსსკ-ის 393.2. მუხლი). მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად არ სცნო გარიგება, რადგან მიიჩნია, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი არ ითვალისწინებს კანონქვემდებარე აქტს და გულისხმობს მხოლოდ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა განმარტოს მითითებული ნორმა, საიდანაც გასაგები უნდა იყოს, რომ მითითებული ნორმა გაგებული უნდა იქნეს ფართოდ და მასში მოიაზრება როგორც კანონი ფორმალური გაგებით, ისე მატერიალური გაგებით, ე.ი. ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც გარიგების შინაარსის განსაზღვრისათვის რელევანტურ ნორმებს შეიცავს²⁵. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა სამართლის ნორმის არასწორ ინტერპრეტაციას (განმარტებას), რამაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა.

ბ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების უსწორობა შეიძლება განპირობებული იყოს ფაქტობრივი გარემოებების არასწორად განსაზღვრა/დადგენით (სსსკ-ის 393.3. და სსსკ-ის 394-ე მუხლის ე და ე1 ქვეპუნქტი). ეს ის შემთხვევებია, როდესაც გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, რა სამართლებრივი საფუძველი დაუდო თავის გადაწყვეტილებას სასამართლომ, რომელი ფაქტები მიიჩნია დადგენილად და რომელი – დაუდგენლად (სსსკ-ის 394-ე მუხლის ე და ე1 ქვეპუნქტები), ან როდესაც სასამართლო არასწორად ახორციელებს მტკიცებულებების შეგროვებას ან/და შეფასებას (სსსკ-ის 393.3.) (იხ. VII. პ.). სააპელაციო სასამართლო, როგორც ფაქტების დამდგენი სასამართლო, შემოწმების შედეგად უფლე-

²⁵ <http://www.gccc.ge>, სსკ-ის 54-ე მუხლის კომენტარი.

ბამოსილია, თვითონ დაადგინოს ფაქტი. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში (ა.ბ.) სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

გ. საყურადღებოა სხვა ისეთი პროცესუალური დარღვევები (გარდა სსს 394-ე მუხლის ე და ე1 ქვეპუნქტისა), რაც იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას (მაგალითად, საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი და ა.შ.). ეს ისეთი შემთხვევებია (სსსკ-ის 394-ე მუხლი), რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლო აღარ ამონმებს სხვა საფუძველებს, რადგან ამ შემთხვევებში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად. განსხვავებით წინა შემთხვევებისგან, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ არ მიიღოს გადაწყვეტილება და დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ზოგადი პრაქტიკული მინიშნებები:

მიზანშეწონილი და რეკომენდებულია გადაწყვეტილების ტექსტის (აბზაცების) დანომვრა განხილული საკითხების მიხედვით.

ნუმერაცია:

- ეხმარება გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეს, აღარ გაიმეოროს სხვა აბზაცში (სხვა საკითხის/ნომრის ქვეშ) უკვე განხილული საკითხი, ან გაჟღერებული პოზიცია.
- ეხმარება გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეს, შეინარჩუნოს **სტრუქტურა** და ერთი ნომრის ქვეშ ამომწურავად დააყენოს და განიხილოს შესაბამისი საკითხი/საკითხები და აღარ მიუბრუნდეს მათ განხილვას სხვა დანაყოფებში.
- ამარტივებს საქმეს, როდესაც სასურველი ან საჭიროა რაიმე პასაჟზე მითითება/აპელირება

B. პრაქტიკული ნაწილი

გადანყვეთილებები



თბილისის საქალაქო სასამართლო გადანყვეთილება საქართველოს სახელით

I. შესავალი ნაწილი

საქმე № XXXXXXXX
XXXXXXXX

ივლისი, 201-- წელი,
ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე – კახაბერ გენდევაძე
სხდომის მდივანი – ანა ლორია
საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა

მხარეები:

- შპს „ელიტი“ (მოსარჩელე ძირითად სარჩელში, მოპასუხე შეგებებულ სარჩელში)
- სოსო მანაგაძე (მოპასუხე ძირითად სარჩელში, შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე)

დავის საგანი ძირითად სარჩელში – ფულადი ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს დაკისრება

დავის საგანი შეგებებულ სარჩელში – ავტოფარეხზე საკუთრების უფლების გადაცემა და ურთიერთმოთხოვნათა ნაწილობრივი გაქვითვის გზით პირგასამტეხლოს დაკისრება

II. აღწერილობითი ნაწილი

1. შპს „ელიტი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მენარდე) სოსო მანაგაძისაგან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე ან შემკვეთი) 7 132 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 1 661 აშშ დოლარის გადახდას მოითხოვს.
2. მხარეთა შორის 2013 წლის 2 ივლისს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც დასათაურებულია, როგორც „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“. ხელშეკრულების მიხედვით, მენარდემ იკისრა ვალდებულება, მის მიერ შეძენილი მასალით, შემკვეთისათვის დაემზადებინა და საკუთრებაში გადაეცა უძრავი ნივთი – ქ. თბილისში, პრესტიჟულ უბანში მშენებარე მრავალბინიან სახლში, მეხუთე სადარბაზოს მესამე სართულზე 121.64 კვ.მ საცხოვრებელი ბინა #89 და ერთი ავტომანქანისათვის განკუთვნილი სადგომი (შემდეგში: ნარდობის საგანი) {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 629-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები}.
3. მხარეებმა მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დასრულების, განშლისა და დამზადებული ნივთის შემკვეთის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღად არაუგვიანეს 2014 წლის 30 აგვისტო, ხოლო სახლის ექსპლოატაციაში მიღების თარიღად არაუგვიანეს 2014 წლის 30 დეკემბერი, განსაზღვრეს.
4. შემკვეთმა იკისრა ვალდებულება, ნარდობის საგნის მთლიანი ღირებულებიდან, რომელიც 97 312 აშშ დოლარი იყო, 90 000 აშშ დოლარი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 საბანკო დღის, ხოლო დარჩენილი 7 312 აშშ დოლარი, საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში მიღებიდან ასევე 10 საბანკო დღის განმავლობაში, გადაეხადა {სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება}.
5. ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.05%-ს შეადგენდა, ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებას უზრუნველყოფდა {სსკ-ის 417-418-ე მუხლები}.
6. შემკვეთმა შეთანხმებულ ვადაში გადაიხადა ასაშენებელი ბინის საფასურის ნაწილი – 90 000 აშშ დოლარი.

7. ნარდობის საგანი შემკვეთს საკუთრებაში, 2015 წლის 27 მარტს, ანუ ვადის დარღვევით, გადაეცა.
8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2015 წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, კანონით დადგენილი წესით, ექსპლოატაციაში იქნა მიღებული.
9. მენარდე ამტკიცებს, რომ შემკვეთმა მას არ გადაუხადა ნარდობის საგნის ღირებულების დარჩენილი ნაწილი – 7 132 აშშ დოლარი. მან 2015 წლის 12 დეკემბრის წერილობითი პრეტენზიით შემკვეთს მოსთხოვა მითითებული თანხის გადახდა. ამის საპირისპიროდ ამ უკანასკნელმა, იმავე წლის 27 დეკემბრის საპასუხო წერილობითი პრეტენზიით, მოთხოვნილი თანხისა და შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს (28 799\$) მოთხოვნების ნაწილობრივი გაქვითვა და 21 686 \$-ის გადახდა მოსთხოვა.
10. შემკვეთი შეგებებულ სარჩელში ამტკიცებს, რომ მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – გადააცილა შესრულების ვადებს. მან დაშზადებული ნივთი (121.64 კვ.მ საცხოვრებელი ბინა #89) შემკვეთს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 183-ე და 311.1-ე მუხლები – უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) საკუთრებაში გადასცა 2015 წლის 27 მარტს, მაშინ როდესაც 2014 წლის 30 აგვისტო იყო ბოლო ვადა, ანუ ვადის გადაცილებამ შეადგინა 240 დღე შეადგინა. მან ასევე დაარღვია მრავალბინიანი სახლის ექსპლოატაციაში მიღების ვადაც, ნაცვლად არაუგვიანეს 2014 წლის 30 დეკემბრისა, სახლი 2015 წლის 12 დეკემბერს იქნა ექსპლოატაციაში მიღებული, ვადის გადაცილებამ შეადგინა თითქმის ერთი წელი, ანუ 350 დღე. ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა ორივე შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნარდობის საგნის ღირებულების 0.05%-ს შეადგენდა ($240 \text{ დღე} \times 0.05\% = 12\%$ -ს და $350 \text{ დღე} \times 0.05\% = 17.5\%$). 2015 წლის 25 დეკემბრისათვის (როცა შემკვეთს ჩაბარდა მენარდის 12 დეკემბრის წერილობითი პრეტენზია), მას კი სსკ-ის 417-418-ე მუხლებიდან გამომდინარე, უკვე გააჩნდა მენარდის მიმართ ვადამოსული პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რომლის ოდენობაც 28 653.94 აშშ დოლარი იყო ($97\,132 \$ - 29.5\% = 28\,653.94$). აქედან გამომდინარე, მან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით ($28\,708 - 7\,132$) 21 576 აშშ დოლარის მენარდემ დაკისრება და ავტოფარების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

III. სამოტივაციო ნაწილი:

11. სარჩელი არ არის დასაბუთებული. მოსარჩელეს არ შეუძლია მოპასუხეს 7 132 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, 1 661 აშშ დოლარის, გადახდა მოსთხოვოს.
12. შეგებებული სარჩელი კი დასაბუთებულია. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების, ასევე 417-418-ე მუხლებისა და შესაბამისი მოთხოვნების საფუძველზე მენარდემ მოსარჩელეს უნდა გადასცეს საკუთრება დამზადებულ ნივთზე (ავტოფარეხზე) და ვადაგადაცდილებისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლო 21 576 აშშ დოლარი.
13. აღწერილობით ნაწილში მითითებული უდავო ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ:
 - 13.1. 2013 წლის 2 ივლისიდან მხარეთა შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა (სსკ-ის 629-ე მუხლი). ის გარემოება, რომ ხელშეკრულება დასათაურებულია, როგორც „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტია ამ ურთიერთობის შინაარსი, ის თუ რა იყო შეთანხმების საგანი და რა სახის უფლება-მოვალეობები წარმოეშვათ მხარეებს („ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“ სსკ-ის 52-ე მუხლი). დავის სამართლებრივ შეფასებას სასამართლო დამოუკიდებლად ახდენს. ამ დროს იგი არ არის შებოჭილი მხარეთა მოსაზრებებით, შესაბამისად, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, მესამე და მეოთხე მუხლები). მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა სასამართლოს პრეროგატივაა, რადგანაც ასეთი შეფასების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის ან ნორმების ზუსტი განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, მოთხოვნის წინაპირობების შესრულების დადგენა. ამიტომაცაა, რომ მოსარჩელე არ არის ვალდებული, მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და არც მოპასუხეა ვალდებული შესაგებელში, რომლითაც ის სარჩელისაგან თავს იცავს, ზუსტი სამართლებრივი

შეფასებები შეიტანოს. თავის მხრივ, არც სასამართლოა ვალდებული, გადაწყვეტილება დაასაბუთოს მხარეთა მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლებით.

- 13.2. შემკვეთმა შეთანხმებულ ვადაში გადაიხადა ასაშენებელი ბინის საფასურის ნაწილი – 90 000 აშშ დოლარი, ხოლო ავტოფარეხის ღირებულება მას უნდა გადაეხადა საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში მიღებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.
- 13.3. მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით დადგენილი შესრულების ვადები. მან დამზადებული ნივთი, 121.64 კვ.მ საცხოვრებელი ბინა #89, შემკვეთს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 183-ე და 311.1-ე მუხლები – უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) საკუთრებაში გადასცა 2015 წლის 27 მარტს, მაშინ როდესაც 2014 წლის 30 აგვისტო ბოლო ვადა იყო, ანუ ვადის გადაცილებამ შეადგინა 240 დღე შეადგინა.
- 13.4. მან ასევე დაარღვია მრავალბინიანი სახლის ექსპლოატაციაში მიღების ვადაც, ნაცვლად არაუგვიანეს 2014 წლის 30 დეკემბრისა, სახლი 2015 წლის 12 დეკემბერს იქნა ექსპლოატაციაში მიღებული, ანუ ვადის გადაცილებამ შეადგინა თითქმის ერთი წელი, ანუ 350 დღე.
- 13.5. ხელშეკრულების 8.2. მუხლით შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა ორივე შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნარდობის საგნის ღირებულების 0.05%-ს შეადგენდა და ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებას უზრუნველყოფდა ($240 \text{ დღე} \times 0.05\% = 12\%$ -ს და $350 \text{ დღე} \times 0.05\% = 17.5\%$).
- 13.6. შემკვეთი ვალდებული იყო, საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში მიღებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში, მენარდისათვის გადაეხადა 7 132 აშშ დოლარი. შესაბამისად, შესრულების ბოლო ვადა 2014 წლის 27 დეკემბერი იყო. ამასთან, 2015 წლის 25 დეკემბრისათვის (როცა შემკვეთს ჩაბარდა მენარდის 12 დეკემბრის წერილობითი პრეტენზია), შემკვეთს, სსკ-ის 417-418-ე მუხლებიდან გამომდინარე, უკვე გააჩნდა მენარდის მიმართ ვადამოსული პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რომლის ოდენობაც $28\,653.94$ აშშ დოლარი იყო ($97\,132 \$ - \text{ის } 29.5\% = 28\,653.94$).
- 13.7. შემკვეთმა იმავე წლის 27 დეკემბრის საპასუხო წერილობითი პრეტენზიით სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მენარდეს მოთხოვა ურთიერთმოთხოვნათა ნაწილობრივი გაქვითვა.

14. სასამართლო განმარტავს, რომ გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერი-
ალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ამ უფლების რეალიზაციას
ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს. შესაბამისად,
მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლო-
სათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა, ან დაწყებულ პროცესში
შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების განწევა.
პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მას შეუძლია წარადგინოს
მოთხოვნის მომსპოები შესაგებელი. ის, რომ განსახილველ საქმეში შეტყო-
ბინების მიმღები მხარე (მენარდე) არ დაეთანხმა გაქვითვას, ვერ შეცვლის
სამართლებრივ სურათს. აღნიშნული დასკვნა შემდეგი გარემოებებიდან
გამომდინარეა: მენარდის ძირითად ფულად მოთხოვნას შემკვეთმა დაუპი-
რისპირა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რომელიც ვადამოსული
და შესაგებლისაგან თავისუფალი იყო. სასამართლო 7 132 აშშ დოლარის
გადახდის ვალდებულების შემწყვეტას უკავშირებს შეგებებული მოსარჩელის
მიერ სეგებებული მოპასუხისათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტს. აქე-
დან გამომდინარე, ვერ დაეთანხმება სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნა-
წილის მოსარჩელისეულ განმარტებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების
18.4 პუნქტი). აღნიშნული ნორმა შემკვეთს ანიჭებდა უფლებას, შესაბამისი
წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, მთლიანად, ან ნაწილობრივ
შეეცვალა მენარდის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უკანასკნელის სა-
სარგებლოდ 7 132 აშშ დოლარის გადახდისაგან გათავისუფლებულიყო,
მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამას მეორე მხარე. მენარდის თან-
ხმობის საჭიროება მხოლოდ მაშინ იარსებებდა, თუ გასაქვითი მოთხოვნის
შესრულების ვადა ჯერ დამდგარი არ იქნებოდა (სსკ-ის 442-ე მუხლის მე-
ორე ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთმა 2013 წლის 27 დეკემბრის
წერილით წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი. მის მიერ გამოვ-
ლენილ ცალმხრივ ნებას (სსკ-ის 51-ე მუხლი) შესაბამისი სამართლებრი-
ვი შედეგი მოჰყვა, რადგანაც სახეზე იყო გარიგების ნამდვილობის ყველა
წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება,
რომელიც ადრესატს მიუვიდა, გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება
(ორივე მათგანი ფულადი ხასიათისაა), ურთიერთმოთხოვნათა შესრულე-
ბის ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვით-
ვის გამომრიცხავი გარემოებების არ არსებობა („მოთხოვნათა გაქვითვა
დაუშვებელია: ა. თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გა-
მორიცხული; ბ. თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების

მიქცევა, ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო; გ. თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის ზნების მიყენებით ან სიკვდილით; დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“).

15. ამრიგად, 2015 წლის 27 დეკემბრიდან შემკვეთის სახელშეკრულებო ვალდებულება 7 132 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეწყვეტილი იყო, შესაბამისად, მენარდის მოთხოვნას შემკვეთისათვის 7 132 აშშ დოლარის, ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს – 1661 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი. რაც შეეხება მენარდის მიერ შესრულების ვადის გადაცილების შედეგად შემკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი პირგასამტეხლოს, მისი ოდენობა სსკ-ის 444-ე მუხლის თანახმად გაქვითვის შემდეგ შეადგენს 21 521.94 აშშ დოლარს (28 653.94\$- 7 132\$=21521.94\$).
16. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯი, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი ----- ლარი.

IV. სარემოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით და იმავე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებით, ასევე 417-418-ე მუხლებით, 442-ე მუხლის პირველი ნაწილით, 444-ე მუხლით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე, 364-ე და 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ელიტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
2. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს.

3. სოსო მანაგაძე კანონით დადგენილი წესით აღირიცხოს ქ. თბილისში ---- მდებარე ავტოფარეხის მესაკუთრედ.
4. შპს „ელიტს“ სოსო მანაგაძის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს, 21 521.94 აშშ დოლარის, გადახდა დაეკისროს.
5. მოსარჩელემ დაფაროს მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები სრულად.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე – კ. გენძეხაძე



**თბილისის საქალაქო სასამართლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

I. შესავალი ნაწილი

**საქმე № XXXXXXXXX
XXXXXXXXX**

**ივლისი, 201-- წელი,
ქ. თბილისი**

**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე – კახაბერ გენძეხაძე
სხდომის მდივანი – ანა ლორია
საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა**

მხარეები:

- 3. იაგო მაკარაძე (მოსარჩელე)**
- 4. სს „სადაზღვევო კომპანია ალბათობა“ (მოპასუხე)**

დავის საგანი – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

II. აღწერილობითი ნაწილი

- 17. იაგო მაკარაძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან დაზღვევი) სს „სადაზღვევო კომპანია ალბათობისგან“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე ან მზღვეველი) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.
- 18. 2015 წლის 14 ივლისს მხარეთა შორის დაიდო ავტომანქანის (MERSEDES-BENZ E200 SDI, სახ# NO-888-DU) დაზღვევის ხელშეკრულება და

მზღვეველმა გასცა ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისი #017969 (შემდეგში: პოლისი).

19. მოსარჩელეს მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემია 1211.80 აშშ დოლარი სრულად გადახდილი აქვს.
20. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენდა ავტომობილის დაზიანება, მათ შორის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანიც. სადაზღვევო თანხა (მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი) 15 000 ლარი.
21. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას არ გასცემდა იმ შემთხვევაში, თუ: ა) ავტოტრანსპორტისათვის მიყენებული ზიანი ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნისა ან იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისას, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან, ავტომანქანის მართვისას დადგებოდა; ან ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც მზღვეველს ანიჭებდა უფლებას უარი ეთქვა ანაზღაურებაზე.
22. 2015 წლის 3 ნოემბერს მოსარჩელემ ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოძრაობისას დაარღვია მანევრირების წესები და დაზღვეული მანქანით შეეჯახა მის წინ მდგომ ავტომანქანას „ჰუნდაი“ სახ. # LEB-891.
23. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი დაზღვეული ავტომანქანა. სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და 2015 წლის 4 ნოემბრის #3599 აღწერის აქტით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ავტომანქანის აღსადგენად საჭიროა 2796.50 ლარი.
24. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი წესით, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი #აა005812. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მოსარჩელე ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.
25. მოსარჩელემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ გაასაჩივრა და დადგენილ ვადაში გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა, 250

ლარი. მან წერილობით მიმართა მზღვეველს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის, 2796.50 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

26. მზღვეველმა წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი და სსკ-ის 829-ე მუხლზე დაყრდნობით უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე. მისი მოსაზრებით სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევის უხეშმა გაუფრთხილებლობამ გამოიწვია. აღნიშნულთან დაკავშირებით ის მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე: საქმე #ას-745-713-2014, 30.04.2015, #სა-943-901-2013, 17.02.2014, #ას-1217—1146-2012, 22.10.2012 და #ას-1510-1425-1212, 18.02.2013.

III. სამოტივაციო ნაწილი:

27. სარჩელი დასაბუთებულია. მოსარჩელე სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის და 820-821-ე მუხლების საფუძველზე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
28. აღწერილობით ნაწილში მითითებული უდავო ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ: მხარეებმა დადეს ზიანის დამზღვევის ხელშეკრულება (სსკ-ის 799 პირველი და მე-2 ნაწილები). სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენდა ავტომობილის დაზიანება, მათ შორის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანიც (სსკ-ის 820-821-ე მუხლები). სადაზღვევო თანხა (მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი) 15 000 ლარი იყო. შემთხვევის დღეს დამზღვევი მოძრაობდა დაშვებული სიჩქარით თავის სამოძრაო ზოლში, იგი ფხიზელი მართავდა ავტომობილს (არ იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ), მოძრაობის დროს არ არღვევდა საგზაო მოძრაობის წესებს. გზაზე წარმოქმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მან იმოქმედა გაუფრთხილებლად, გააკეთა არასწორი მანევრი, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოავარია. მიყენებულმა ზიანმა 2796.50 ლარი შეადგინა. ამ ფაქტების ერთობლიობა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი სასამართლოს დამზღვევის მოქმედების მართივ, და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას აძლევს.

29. სასამართლო განმარტავს, რომ უხეში გაუფრთხილებლობა ყოველთვის იმ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც დამრღვევის მხრიდან ადგილი აქვს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, ანუ ისეთ ვითარებას, როცა არ ხდება ყველა საღად მოაზროვნე პირისათვის ცხადი და ნათელი გარემოებების გააზრება და მხედველობაში მიღება. პასუხისმგებლობის ფარგლები, (უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა), შეიძლება გარიგებით ან კანონით დაწესდეს. ამ შემთხვევაში, მხარეებს ხელშეკრულებით არ დაუკონკრეტებიათ ეს ფარგლები, ანუ არ გაუმიჯნიათ ერთმანეთისაგან უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევები. სსკ-ის 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანისათვის დგება. გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე ისეთ დარღვევას, როგორიცაა მაგალითად: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზნოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრავი ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არ დათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ.
30. სასამართლო განმარტავს, რომ დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, დაზღვევის პასუხისმგებლობის ფარგლების მოპასუხისეული განმარტება ეწინააღმდეგება დაზღვევის, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ არსსაც, რადგანაც ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის ნებისმიერი მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასდეს და აქედან გამომდინარე, მზღვეველმა არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

31. სსკ-ის 829-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მმლვევლის მიერ მითითებული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა განსახილველ დავაზე დადგენილი სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების რელევანტური არ არის, რადგანაც მითითებულ საქმეებში ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზეა საუბარი, რომლებიც არსებითად განსხვავდება განსახილველი საქმის გარემოებებისაგან. კერძოდ:
- 15.1. **საქმე #ახ-745-713-2014** – ამ საქმეზე დადგენილი იყო, რომ მძღოლი მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებით უკნიდან შეეჯახა ავტობუსს, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა და რომელიც გაჩერებული იყო მონიშნულ ადგილას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ მას არ ჰქონდა დაცული საკმარისი დისტანცია, ასევე, სათანადო ყურადღებითა და სიფრთხილით არ ადევნებდა თვალყურს მგზავრების გადამყვან ავტობუსს. ანუ, ადგილი ჰქონდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას.
- 15.2. **საქმე #1217-1146-2012** – ამ საქმეზე დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტზე მოსარჩელის (დამღღვევის) მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში იყო მისაღები, რომ მოსარჩელე მოძრაობდა სწორ, 6.5მ. სიგანის ცალმხრივი მიმართულების მქონე უღეფექტო გზაზე, მშრალ ამინდში, ყოველგვარი წინაღობისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, რა დროსაც შეეჯახა სამანქანე გზის გვერდით არსებულ ტროტუარზე მდგარ ხეს.
- 15.3. **საქმე #ახ-943-901-2013** – ავტომობილის მძღოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრაე მიკროავტობუსს.
- 15.4. **საქმე №ს-1510-1425-2012** – ამ საქმეშიც ადგილი ჰქონდა ქარაფშუტული მანევრირებით გზის სავალი ნაწილიდან გადასვლას და ხეზე შეჯახების შედეგად ავტომანქანის დაზიანებას.
15. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილ საქმეზე დამრღვევის მხრიდან ადგილი ჰქონდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთ-

რებით მძიმე დარღვევას და მათი მოშველიება სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად დაუსაბუთებელია.

16. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯი, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 83.89 ლარი.

IV. სარემოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილით, 820-ე და 821-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 249-ე, 364-ე და 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. იაგო მაკარაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. სს „სადაზღვევო კომპანია ალბათობას“ მოსარჩელის სასარგებლოდ 2796.50 ლარის გადახდა დაეკისროს.
3. მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის წარმოებისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 83.89 ლარის, გადახდა.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: /კ. გენძეხაძე/



**თბილისის საქალაქო სასამართლო
გადანწყვეტილება
საქართველოს სახელით**

I. შესავალი ნაწილი

საქმე № XXXXXXXX
XXXXXXXX

25 ივლისი, 2013 წელი,
ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე – პაატა ბაქრაძე
სხდომის მდივანი – ანა მეზონია
საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა

მხარეები:

- 5. ბადრი ლომიძე (მოსარჩელე)
- 6. შპს „ფორტუნა“ (მოპასუხე)

დავის საგანი – ფულადი ვალდებულების შესრულება

V. აღწერილობითი ნაწილი

32. ბადრი ლომიძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან გამსესხებელი) 2013 წლის 30 იანვარს აღძრული სარჩელით შპს „ფორტუნასათვის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მოვალე ან სავარაუდო მსესხებელი) 500 000 აშშ დოლარის, სარგებლის – 600 000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, სარჩელის აღძვრიდან გადანწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად 250 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვს.

33. მოსარჩელე ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ წერილობით შეთანხმებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ მან 2012 წლის 18 იანვარს მოპასუხეს 12 თვით ასესხა 500 000 აშშ დოლარი. წლიური სარგებელი 120 % იყო. წერილობითი შეთანხმება სესხის დაბრუნების ვალდებულების დარღვევისათვის ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.05 %-ს. დაპირებული თანხა მან მოპასუხეს ანგარიშზე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადაურიცხა, თუმცა ამ უკანასკნელმა დადგენილ ვადაში არც სარგებელი და არც სესხი არ დაუბრუნა.
34. მოსარჩელემ მთავარ სხდომამდე, არაერთხელ განსხვავებულად აღწერა ფულადი თანხის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის გარემოებები. მან, სადავო თანხის კომპანიის ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ სარჩელში აღნიშნული გარემოების ნაცვლად, მიუთითა, რომ მოპასუხეს სესხი გადასცა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და დაზუსტებულ სარჩელს დაურთო 2012 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომლითაც ადასტურებდა, რომ მოპასუხემ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება და ამ უკანასკნელმა მითითებული წერილის საფუძველზე მესამე პირს 2012 წლის 31 აგვისტოს გადაურიცხა კუთვნილი სარგებლის ნაწილი 360 000 დოლარი. 2013 წლის 18 ივლისს კი, მოსარჩელე სრულიად ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით ამტკიცებდა, რომ სესხის თანხა 2012 წლის 21 იანვარს კომპანიის სალაროში შეიტანა, თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მან სასამართლოს ვერ წარუდგინა.
35. მოსარჩელემ წარმოადგინა შემდეგი წერილობითი დოკუმენტები: ა. 2012 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომლითაც ის თანხმობას აცხადებდა 2012 წლის 18 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, მისთვის გადასახდელი თანხიდან ნაწილი, 360 000 დოლარის ფარგლებში, გადარიცხულიყო მესამე პირის ანგარიშზე; ბ. მესამე პირის (შპს „ფენიქსი“) ანგარიშის ამონაწერი, რომლის მიხედვით, 2012 წლის 31 აგვისტოს მოპასუხემ მესამე პირს გადაურიცხა 420 000 ლარი დანიშნულებით – „სესხის დასაფარად“, და გ. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ წერილობითი ფორმით გაცემული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიერ 2012 წელს მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს შეადგენდა პროცენტის სახით მიღებული 257 365 ლარი

36. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან განმარტა, რომ ფულადი ვალდებულების შესრულება არ ეკისრება, რადგანაც მოსარჩელისაგან დანაპირები თანხა არ მიუღია;

VI. სამოტივაციო ნაწილი:

37. სარჩელი დაუსაბუთებელია. მოსარჩელეს არ შეუძლია მოპასუხეს მოსთხოვოს ფულადი ვალდებულების შესრულება.

38. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა, სარგებელი და პირგასამტეხლო) დაბრუნების მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1-ე (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი) და 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. ამ ნორმის 2017 წლის 15 იანვრამდე არსებული რედაქცია) მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებადი იქნებოდა შემდეგი წინაპირობების ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით განხორციელების შემთხვევაში:

- ა). თუ მოსარჩელე დამაჯერებლად დაასაბუთებდა მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულების დადებას, რაც გულისხმობს არა მარტო მხარეთა ურთიერთმფარავი ნების არსებობას, არამედ მოსარჩელის მიერ თანხის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის დამტკიცებას;
 - ბ). თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით შეთანხმდებოდნენ სესხისათვის პროცენტზე და მისი დაუბრუნებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოზე, ანუ განსაზღვრულ ფულად თანხაზე;
39. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე სადავოდ ხდის მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულების დადებას, რადგანაც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის

საკუთრებაში არ გადაუცია წერილობითი შეთანხმების საგანი – 500 000 აშშ დოლარი.

40. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სესხის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას მიეკუთვნება, ანუ ის დადებულია ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (მდრ. სუსგ. საქმეზე #ას-361-343-2015, 14.12.2015). შესაბამისად, მართოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადავოობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.
41. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების წესის მიხედვით, გამსესხებლის ვალდებულება შემოფარგლება სესხის სახით თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, რომელშიც პოზიტიური მტკიცების ტვირთი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით. ბუნებრივია კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. სესხის სახით თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს გამსესხებლისათვის, რადგან მან მხოლოდ ამგვარი დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს სესხის რეალურად დადებისა და მისი ოდენობის ფაქტი, მსესხებლისათვის კი არანაირი საჭიროება არ არსებობს ფლობდეს და წარმოადგინოს ამგვარი დოკუმენტი არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით.

42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შევიძრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს (მაგ: სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი). ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება. კანონის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით ასახოს მისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილი). მან ეს ვალდებულება სათანადოდ ვერ შეასრულა, რადგანაც არაერთხელ შეცვალა სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი. 2013 წლის 18 იანვარს წარდგენილ სარჩელში ის მიუთითებდა, რომ მოპასუხეს ასესხა და ანგარიშზე გადაურიცხა 500 000 აშშ დოლარი, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ის აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს მისთვის „არც სარგებელი და არც სესხის ძირითადი თანხა არ გადაუხდია“. მოგვიანებით, კი მან სადავო თანხის კომპანიის ანგარიშზე გადარიცხვის ნაცვლად, მიუთითა, რომ მოპასუხეს სესხის თანხა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადასცა. მან დაბუსტებულ სარჩელს დაურთო წერილი, რომლითაც ადასტურებდა, რომ მოპასუხემ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება და მისი წერილის საფუძველზე მესამე პირს 2012 წლის 31 აგვისტოს გადაურიცხა

მისი კუთვნილი სარგებლის ნაწილი – 360 000 აშშ დოლარი. 2013 წლის 18 ივლისს კი, იგი სრულიად ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით ამტკიცებდა, რომ სესხის თანხა 2012 წლის 21 იანვარს კომპანიის სალაროში შეიტანა.

43. ასეთი არათანმიმდევრული პოზიციის პირობებში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტებს: ა. 2012 წლის 30 აგვისტოს წერილს, რომლითაც ის თანხმობას აცხადებდა 2012 წლის 18 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, მისთვის გადასახდელი თანხიდან ნაწილი, 360 000 დოლარის ფარგლებში, გადარიცხულიყო მესამე პირის ანგარიშზე; ბ. მესამე პირის (შპს „ფენიქსი“) ანგარიშის ამონაწერს, რომლის მიხედვით, 2012 წლის 31 აგვისტოს მოპასუხემ მესამე პირს გადაურიცხა 420 000 ლარი დანიშნულებით – „სესხის დასაფარად“, და გ. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ წერილობითი ფორმით გაცემულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიერ 2012 წელს მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს შეადგენდა პროცენტის სახით მიღებული 257 365 ლარი, მტკიცებულებითი ღირებულება არ შეიძლება გააჩნდეთ. აქედან გამომდინარე, სასამართლო მხოლოდ მათზე დაყრდნობით ვერ გამოიტანს დასკვნას სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნამდვილობის შესახებ. მითითებული წერილობითი დოკუმენტები არც ცალკე აღებული და არც ერთობლივად, არ ადასტურებენ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს.
44. მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც თავისუფალია და იმავდროულად კანონის დანაწესითაა შეზღუდული. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი); (მდრ. სუსგ #ას-279-264-17, 21.04.17 „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული).

45. 2012 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე, არ აკმაყოფილებს წერილობითი მტკიცებულებისათვის კანონით დადგენილ სტანდარტს (სსკ-ის 134.1 მუხლი), რადგანაც ის არ შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ჯერ ერთი, გაურკვეველია, ვინაა ამ წერილის ადრესატი, მეორეც, წერილის შინაარსიდან არ ჩანს, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებდა მესამე პირთან წერილის ავტორს და კონკრეტულად არ არის მითითებული ფულადი ვალდებულების მოცულობა. გარდა ამისა, წერილი რომც აკმაყოფილებდეს მტკიცებულების სტანდარტს, ის მაინც არ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, რადგანაც არ არის შესრულებული სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცალმხრივი ნების ნამდვილობის წინაპირობა – მოპასუხის მიერ წერილის მიღება. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ამ გარემოების დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება. მოწმის ჩვენება, რომელსაც იშველიებს მოსარჩელე არ არის იმ სახის მტკიცებულება, რომლითაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენაა შესაძლებელი (სსკ-ის 102.3). აღნიშნულიდან გამომდინარე, 2012 წლის 31 აგვისტოს მოპასუხის მიერ მესამე პირის ანგარიშზე 420 000 ლარის გადარიცხვის ფაქტი არ ადასტურებს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობას. რაც შეეხება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ წერილობით გაცემულ ინფორმაციას, რომელიც ასახავს მოსარჩელის მიერ 2012 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავლის ოდენობას, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ დოკუმენტში მითითებული მონაცემები მიღებულია მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შედგენილი საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნულ დოკუმენტს სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ ობიექტურ მტკიცებულებად ვერ განიხილავს.
46. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მოპასუხისათვის ფულადი თანხის საკუთრებაში გადაცემა, მოწმეთა ჩვენებების შეფასება სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც სადავო გარემოების დამტკიცება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებებით დაუშვებელია (სსკ-ის 624-ე მუხლი).

VII. სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, სსსკ-ის 249-ე, 364-ე და 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ა :

1. ბადრი ლომიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: /პ. ბაქრაძე/



**ქუთაისის საქალაქო სასამართლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

I. შესავალი ნაწილი

საქმე №2/-----

ნოემბერი, 2017 წელი, ქ. ქუთაისი

მოსამართლე – ქეთევანი
სხდომის მდივანი – ნატალია
საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა

მხარეები:

მოსარჩელე – ანდრია
წარმომადგენელი – თამარი
მოპასუხეები – ნინო და ქეთევანი
წარმომადგენელი – გიორგი

დავის საგანი – კრედიტორთა დაკმაყოფილება მემკვიდრეების მიერ

II. აღწერილობითი ნაწილი:

1. ანდრია (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე) ნინო და ქეთევანისათვის (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოპასუხეები ან მემკვიდრეები) 4600 ლარის დაკისრებას მოითხოვს. ის ამტკიცებს, რომ:
- 1.1. დავითთან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მამკვიდრებელი, გარდაცვლილი ან მოვალე) 2010 წლის 1 იანვარს გააფორმა წერილო-

ბითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, მას საკუთრებაში 4000 ლარი, ერთი წლის ვადით, წლიური 15 % სარგებლის დარიცხვით გადასცა;

- 1.2. მოვალე 2011 წლის 10 მარტს გარდაიცვალა. მისი სამკვიდრო მოპასუხეებმა (მეუღლემ და შვილმა) მიიღეს;
- 1.3. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მოვალემ არც სესხის ძირითადი თანხა და არც სარგებელი გადაიხადა;
- 1.4. მოვალის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში მან ვალის დაბრუნება მოპასუხეებს მოსთხოვა, თუმცა ამ უკანასკნელებმა ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადეს.
- 1.5. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა: 2010 წლის 1 იანვრის წერილობითი შეთანხმება; თანხის გადაცემის დამადასტურებელი ხელწერილი; მოვალის გარდაცვალების მოწმობა; სამკვიდრო მოწმობა.
2. მოპასუხეები წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელს არ ცნობენ და განმარტავენ, რომ მამკვიდრებელმა სადავო თანხა მოსარჩელეს სრულად დაუბრუნა. მოვალის სამკვიდრო მოიცავს მხოლოდ ერთ ავტომობილს, რომლის ღირებულება 3000 ლარს არ აღემატება. გარდა ამისა, სარჩელი აღძრულია მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მემკვიდრეთათვის მოთხოვნის წარდგენის ვადის დარღვევით. მოპასუხეებმა თავიანთი პოზიციის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინეს: მოვალის გარდაცვალებისა და სამკვიდრო მოწმობები. ამასთან, მათ მოწმეთა დაკითხვა იშუამდგომლეს.

III. სამოტივაციო ნაწილი:

სარჩელი ნაწილობრივ დასაბუთებულია. მოსარჩელე საქართველოს საოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, **623-ე** (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), **625.1** (მხარეთა შეთანხმებით, სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი) და **1484.1** (მემკვიდრეები ვალ-

დებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად) მუხლების საფუძველზე, უფლებამოსილია მოპასუხეებს (მემკვიდრეებს) მამკვიდრებლის სესხის დაბრუნება მოსთხოვოს, მიღებული აქტივის ფარგლებში და თითოეულის წილის პროპორციულად.

3. სასამართლო დადგენილად მიიჩნევა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- მოსარჩელესა და მოვალეს შორის 2010 წლის 1 იანვარს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელემ მსესხებელს საკუთრებაში გადასცა 4000 ლარი, ერთი წლის ვადით; წლიური სარგებელი მთლიანობაში 600 ლარს შეადგენდა; მოვალე 2011 წლის 10 მარტს გარდაიცვალა. გარდაცვლილის სამკვიდრო მოპასუხეებმა მიიღეს.
4. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა სადავოდ გახადეს მოვალის (გარდაცვლილის) მიერ მოსარჩელისათვის სესხის დაუბრუნებლობის ფაქტი, კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ მამკვიდრებელმა თავის სიცოცხლეში სადავო თანხა სრულად დააბრუნა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მიხედვით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, სათანადო მტკიცებულებაზე მითითებით, მოპასუხეებს ეკისრებათ. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეები სესხის დაბრუნების დასადასტურებლად უთითებდნენ მონშეთა ჩვენებებზე. სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ მონშეთა ჩვენებებით სასესხო ვალდებულების შესრულების ფაქტის დამტკიცება შეუძლებელია (სსკ-ის 624-ე და 429-ე მუხლები), შესაბამისად, მოპასუხეებმა ვერ შეძლეს მათი მტკიცების საგანში შემავალი სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება.
5. მხარეთა განმარტებითა და სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მონშეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეებს სესხის დაბრუნება მოსთხოვა, ჯერ კიდევ მოვალის დაკრძალვამდე – სამკვიდროს გახსნიდან რამდენიმე დღეში. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს მოპასუხეების მიმართ მოთხოვნა წარდგენილი აქვს სამკვიდროს გახსნის შეტყობიდან 6 თვის ვადაში (სსკ-ის 1488.1 მუხლი).
- 5.1. სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლში საუბარია არა საარჩევლო ხანდაზმულობის, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადებზე, რაც

განსხვავებული ცნებებია. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იქნება. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ „მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება, არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე. ამდენად, პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიის წარდგენის ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ (მდრ. სუსგ №ას-171-160-2017, 18.04.2017).

6. სამკვიდრო მონმობით, აუდიტის დასკვნითა და მონმეთა ჩვენებებით, დადგენილია, რომ მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში (სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სსკ-ის 1328.1 მუხლი) შედიოდა 3000 ლარის ღირებულების ავტომობილი და 1000 ლარის პირადი ნივთები.
- 6.1. მოპასუხეები მოვალის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები არიან, თანასწორი წილის უფლებით (სსკ-ის 1336-ე მუხლი). სსკ-ის 1484-ე

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხეებმა მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესები უნდა დააკმაყოფილონ, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში და თითოეულის წილის პროპორციულად.

- 6.2. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოვალის სამკვიდრო აქტივის ღირებულება შეადგენს მხოლოდ 4000 ლარს, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებლის ვალი 4600 ლარი იყო, მოპასუხეებმა მოსარჩელეს მხოლოდ 4000 ლარი უნდა აუნაზღაურონ.
- 6.3. სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მოპასუხეს მოვალის სამკვიდროდან ეკუთვნის 1/2 წილი, ანუ 2000 ლარის ღირებულების ქონება. შესაბამისად, თითოეული მოპასუხის ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, სწორედ 2000 ლარით განისაზღვრება.
7. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, თითოეულმა მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 60-60 ლარი.

IV. სარემოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 623-ე, 625.1, 1484.1, 1488-ე, 1336-ე მუხლებით, ასევე, სსკ-ის 249-244-ე, 249-ე, 364-ე და 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. წინო და ქეთევანს ანდრიას სასარგებლოდ, 2000-2000 ლარის ანაზღაურება დაეკისროთ;
3. მათვე, ანდრიას სასარგებლოდ, დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საქმის წარმოებისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება 60-60 ლარის ოდენობით.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, დასაბუთებული გადაწყვეტილე-

ბის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

10. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე: XXX



**ქუთაისის საქალაქო სასამართლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

I. შესავალი ნაწილი

საქმე №2/-----

„ თებერვალი, 2019 წელი,
ქ. ქუთაისი

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე – ქეთევანი

სხდომის მდივანი – ნატალია

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა

მხარეები:

მოსარჩელე – გიორგი

წარმომადგენელი – თამარი

მოპასუხე – დავითი

წარმომადგენელი – მარიამი

დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება

II. აღწერილობითი ნაწილი:

1. გიორგი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან და-
ბარალეული) 2017 წლის 15 სექტემბერს აღძრული სარჩელით დავითი-
სათვის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე) დანაშა-
ულით მიყენებული ზიანის – 4000 ლარისა და მორალური ზიანის – 2 000
ლარის დაკისრებას მოითხოვს. ის ამტკიცებს, რომ:

- 1.1. 2015 წლის 1 იანვარს, საღამოს 20:00 საათზე, ფეხით მიდიოდა ქ.ქუთაისის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის საავტომობილო გზის გვერდით არსებულ ტროტუარზე, რა დროსაც, მას მოპასუხე კუთვნილი ავტომანქანით შეეჯახა;
- 1.2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, კლინიკაში სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება დასჭირდა. დიაგნოზის თანახმად, მან სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო და საჭიროებდა როგორც სტაციონალურ, ისე ამბულატორიულ მკურნალობას;
- 1.3. სამედიცინო გამოკვლევის, სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის, ასევე, მედიკამენტებისათვის მან მთლიანობაში 5000 ლარი გაიღო, საიდანაც მოპასუხემ მხოლოდ ნაწილი – 1000 ლარი აუნაზღაურა;
- 1.4. ავტოსაგზაო შემთხვევისას განიცადა როგორც ფიზიკური, ისე სულიერი (მორალური) ტკივილი, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, მოსარჩელეს მორალური ზიანიც აუნაზღაუროს.
- 1.5. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა:

2015 წლის 2 იანვრის ცნობა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა # 100; ექიმის დასკვნა; სამედიცინო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა (ინვოისი) ჩატარებული სტაციონალური მკურნალობის ხარჯის თაობაზე; შეძენილი მედიკამენტების ღირებულების დამადასტურებელი ქვითრები; კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის.
2. მოპასუხე წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელს არ ცნობს და განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელეს სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობისა და წამლებისათვის მთლიანობაში მხოლოდ 1000 ლარი დასჭირდა, რაც ამ უკანასკნელს საბანკო ანგარიშზე მან შემთხვევის მეორე დღესვე – 2015 წლის 2 იანვარს, სრულად ჩაურიცხა. მოპასუხემ თავისი პოზიციის დასადასტურებლად, სასამართლოს საბანკო ანგარიშის ამონაწერი წარუდგინა.

III. სამოტივაციო ნაწილი:

სარჩელი დასაბუთებულია. მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, **999.1** (მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასაბუთება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი), **408.1** (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და **413.2** (სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც) მუხლების საფუძველზე, უფლებამოსილია, მოპასუხეს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის მოშლით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის – 6000 ლარის ანაზღაურება მოსთხოვოს.

3. სასამართლო დადგენილად მიიჩნევა საქმის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- 3.1. მოსარჩელის ჯანმრთელობა 2015 წლის 1 იანვარს მოპასუხის ბრალით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა. ის 2015 წლის 2 მარტამდე გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას კლინიკაში, შემდეგი დიაგნოზით: სხეულის დაზიანებები, ქალა – ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, მარცხენა ნათხემის მიდამოს ნახეთქი ჭრილობა, მარცხენა ბარძაყის მიდამოს დაჟეჟილობა, პირველი დონის ინტენსიური თერაპია;
- 3.2. კლინიკაში მკურნალობის შემდეგ მოსარჩელეს მიეცა წოლითი რეჟიმის რეკომენდაცია და დაენიშნა მკურნალობა ბინაზე;
- 3.3. სამედიცინო გამოკვლევის, სტაციონალური მკურნალობისა და საჭირო მედიკამენტების ღირებულებამ მთლიანობაში შეადგინა 5 000 ლარი, საიდანაც მოპასუხემ მხოლოდ 1000 ლარი აანაზღაურა;
- 3.4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი), მოპასუხე მოსარჩელის ჯანმრთე-

ლობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ცნობილი იქნა დამნაშავედ.

4. სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ ითვალისწინებს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამართლებული წესით განხილვას (თავი XXXIV³, 309¹⁶-309²¹ მუხლები). მხედველობაშია სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, გამოიყენება სსსკ-ის XXXIV³ დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ისაა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება სსკ-ის 999.1 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი სამართლებრივი წანამძღვრები: მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციამ გამოიწვია მოპასუხის ჯანმრთელობის მოშლა („ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“).
5. მოცემულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ მიყენებული ზიანის ოდენობა.
6. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხის ბრალით გამოწვეული ზიანის ოდენობის მტკიცება მოსარჩელეს ევალება. ამ უკანასკნელმა შეძლო კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებების (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1.5 პუნქტი) წარდგენა, რომლითაც უდავოდ დადასტურდა, რომ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული დაზი-

ანებების გამო, მკურნალობისათვის მოპასუხის მიერ გადახდილი 1000 ლარის გარდა, მოსარჩელემ დამატებით 4000 ლარიც გაიღო.

7. სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). პირს ზიანი დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანია და, ამდენად, ანგარიშგასაწევი. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ანუ როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ისე მისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიყენებულ ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის დარღვეული უფლებების ხასიათი, ამ დარღვევის ნეგატიური როლი პიროვნებაზე, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი და ა.შ (შდრ. სუსგ №აბ-1154-2018, 13.12.2018).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისას მოსარჩელემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება) გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელით მოთხოვნილი მორალური ზიანის ოდენობა – 2000 ლარი, განსახილველ შემთხვევაში, გონივრული და ადეკვატურია.

8. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით დაამტკიცა სარჩელში მითითებული გარემოებები, ხოლო მოპასუ-

ხემ ვერ გააქარწყლა ისინი, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს, სულ 6000 ლარის ოდენობით.

9. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯი, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 180 ლარი.
10. სსსკ-ის 309²¹-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, ნაცვლად 14 დღისა (სსსკ-ის 369-ე მუხლი), **7 დღის ვადაში** საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

IV. სარემოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999.1, 413.2, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-244-ე, 249-ე, 364-ე და 309 ²¹-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. დავითს, გიორგის სასარგებლოდ, დაეკისროს 6 000 ლარის გადახდა;
3. დავითს, გიორგის სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამქმისწარმოებისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 180 ლარის გადახდა;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან **7 დღის ვადაში** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით;
5. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარემოლუციო

ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე: XXX



საქმე #2/XXXX-15

**მცხეთის რაიონული სასამართლოს
გადანყვეთილება
საქართველოს სახელით**

18.02.2016 წ. ქ. მცხეთა

I. შესავალი ნაწილი

**მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე XXXXXX
სხდომის მდივანი XXXXXX
მოსარჩელე მარიამ გელაშვილი
მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილი**

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი
ნარმომადგენელი -----

დავის საგანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის წარ-
მომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა

II. აღწერილობითი ნაწილი

1. მოსარჩელე მარიამ გელაშვილი ითხოვს:

1.1. მოსარჩელის და მოპასუხის არასრულწლოვანი შვილის – ლაშა ბუჩაშ-
ვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის – მარიამ გელაშ-
ვილის საცხოვრებელი ადგილი: თურქეთის რესპუბლიკა, ქ. სტამბოლი,
-----;

1.2. მარიამ გელაშვილს მიეცეს უფლება, მამის თანხმობის გარეშე გაიყვანოს შვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ. (იხ. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ განცხადება).

2. მხარეებს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი – 2005 წლის 20 სექტემბერს დაბადებული ლაშა ბუჩაშვილი (იხ. დაბადების მოწმობა, ს.ფ. 23). უდავო გარემოებაა, რომ ამჟამად მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე; მათი განქორწინების პერიოდიდან მოპასუხის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდის ჩათვლით არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილი ცხოვრობდა დედის – მარიამ გელაშვილის ოჯახში. თავდაპირველად ქ. თბილისში, შემდეგ კი – მცხეთის რაიონის სოფ. ----ში.

მარიამ გელაშვილი ცხოვრობს თურქეთის რესპუბლიკაში. საქართველოში იგი ჩამოდის წელიწადში რამოდენიმეჯერ (სამჯერ-ოთხჯერ). შვილთან ურთიერთობას ამყარებს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით.

მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილი ცხოვრობს მცხეთის რაიონის სოფ. ----ში.

3. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 აგვისტოს #3/XXXX-2010 გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერი, გამოცემული ემზარ ბუჩაშვილის მიერ მარიამ გელაშვილის მიმართ ოჯახური ძალადობის – სიტყვიერი შეურაცხყოფის და შექარის ფაქტზე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 აპრილის #1/XXXX-11 განაჩენით ემზარ ბუჩაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 12 იანვრიდან. განაჩენში მითითებულია, რომ ემზარ ბუჩაშვილმა ჩაიდინა ყოფილი მეუღლის – მარიამ გელაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2014 წლის 26 ნოემბერს ემზარ ბუჩაშვილი გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 აგვისტოს #2/XXXX-2010 გადაწყვეტილებით მარიამ გელაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შეწყდა მარიამ გელაშვილსა და ემზარ ბუჩაშვილს შორის რეგისტრირებული ქორწინება; ემზარ ბუჩაშვილს დაეკისრა არასრულწლოვანი

ლაშა ბუჩაშვილის სარჩენად ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ემზარ ბუჩაშვილმა და მოითხოვა დაკისრებული ალიმენტის – ყოველთვიურად 80 ლარის განახევრება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად (იხ. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 აგვისტოს #2/XXX-2010 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის #2ბ/XXXX-10 განჩინება, განქორწინების მოწმობა).

4. მარიამ გელაშვილი მუშაობდა მცხეთის რაიონის სოფ. ----ის საჯარო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად 2008 წლიდან 2010 წლის ჩათვლით.

სკოლის დირექტორის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათების მიხედვით, მარიამ გელაშვილი მუშაობის პერიოდში იცავდა მასწავლებლის ეთიკის კოდექსსა და სკოლის შინაგანაწესს, არც ერთი დისციპლინური დარღვევა არ ჰქონია, უყვარდა ბავშვები და ზრუნავდა მათ სწავლა-განათლებლაზე. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა პედაგოგებს შორის. დირექტორი მას ახსიათებს, როგორც მშვიდ, განთნასწორებულ, შრომისმოყვარე ადამიანს.

2013 წლის 10 სექტემბერს მარიამ გელაშვილმა იქორწინა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქესთან.

მარიამ გელაშვილი ფლობს თურქეთის რესპუბლიკაში ბინადრობის ნებართვას. ბინადრობის ადგილია: თურქეთის რესპუბლიკა, ქ. სტამბოლი.

საქმეში წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის სტამბოლის ადმინისტრაციის სოციალური დახმარების ცენტრის სამმართველოს მიერ გაცემული მარიამ გელაშვილის მეუღლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოკვლევის დასკვნა. მასში აღნიშნულია, რომ გამოკვლევა ჩატარდა მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი მეუღლე არის წარმოშობით საქართველოდან. მას ჰყავს ვაჟი პირველი ქორწინებიდან და სურს მისი თავის სახლში გადაყვანა, რის გამოც სურს გამოკვლევა იმის დასადგენად, მისაღებია თუ არა მისი საცხოვრებელი ბინის პირობები ბავშვის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. დასკვნის მიხედვით, მარიამ გელაშვილის მეუღლე ცხოვრობს მისამართზე: -----, ქ. სტამბოლი. იგი მუშაობს

მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების სარემონტო სამუშაოებზე. მეუღლე არის რუსული ენის მასწავლებელი. თვით მას გააჩნია საკმარისი შემოსავალი ბავშვის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ბინაში, რომელშიც ის ცხოვრობს, არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებდა ბავშვის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. ბავშვს გააჩნია თავისი ცალკე ოთახი, საცხოვრებელი პირობები კარგია, ბინა მისაღებია ბავშვის საცხოვრებლად. დასკვნას ხელს აწერს ფსიქოლოგი.

მოსარჩელემ სასამართლოს წარმოუდგინა მარიამ გელაშვილის მეუღლის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება-თანხმობა (დადასტურებული სანოტარო წესით, დამოწმებული აპოსტილით), რომლითაც იგი აცხადებს, რომ თანახმაა, მისი მეუღლის – მარიამ გელაშვილის შვილმა, ლაშა ბუჩაშვილმა იცხოვროს მის ოჯახში და დარჩეს მის ბინაში, მდებარე: ----, ქ. სტამბოლი. (იხ. ქორწინების მოწმობა (ს.ფ. 30-34), ბინადრობის მოწმობა (ს.ფ. 35-37), წერილობითი განცხადება-თანხმობა, თურქეთის რესპუბლიკის სტამბოლის ადმინისტრაციის სოციალური დახმარების ცენტრის სამმართველოს მიერ გაცემული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოკვლევის დასკვნა, სოფ. ----ის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათება).

5. არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილი 2011 წლის 7 სექტემბერს ჩაირიცხა ქ. თბილისის #XXX საჯარო სკოლაში პირველ კლასში და ამოირიცხა მე-სამე კლასიდან – 2014 წლის 3 მარტს.

2014 წლის 21 მარტიდან იგი სწავლობს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. -----ის საჯარო სკოლაში. საქმის განხილვის დროისათვის იგი ირიცხება მე-5 კლასში.

კლასის ხელმძღვანელის მიერ გაცემულ წერილობით დახასიათებაში მითითებულია, რომ ლაშა ბუჩაშვილი გონებრივად განსაკუთრებულად განვითარებულია, აქვს კარგი მეხსიერება, სწავლაში წარმატებულია, აქტიურად არის ჩართული სპორტულ მეცადინეობებში, უყვარს ხატვა. გამოირჩევა გულისხმიერებით, კარგი ურთიერთობით მეგობრებთან, ვერ ეგუება უსამართლობას, უყვარს თავისი სკოლა, სოფელი, თავისი სამშობლო.

ლაშა ბუჩაშვილი 2015 წლის ნოემბრიდან შპს „-----ის“ კუთვნილ სასწავლო ცენტრში გადის თურქული ენის შემსწავლელ კურსს A1 საფეხურზე. 2016

წლის 27 იანვრის მონაცემებით, მას შეუძლია ელემენტარულ დონეზე კომუნიკაცია თურქულენოვანებთან. (იხ. სსიპ ქ. თბილისის # საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ----ის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა (ს.ფ. 61), საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათება (ს.ფ. 62-63), შპს „----ის“ მიერ გაცემული ცნობები).

- 6. მოპასუხის პოზიცია:** მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ ეთანხმება თურქეთის რესპუბლიკაში საცხოვრებლად ბავშვის გადაყვანას. მისი განმარტებით, ლაშა მუდმივად ცხოვრობს მასთან, და არა – დედის დედასთან, როგორც ამას მოსარჩელე მიუთითებს.
- 7.** მოპასუხე წინააღმდეგია, რომ ბავშვი მოსწყდეს ჩვეულ, მშობლიურ გარემოს. იგი ეჭვქვეშ აყენებს ბავშვის მამასთან კონტაქტის შესაძლებლობას მისი თურქეთში ცხოვრების შემთხვევაში და თვლის, რომ ეს დამოკიდებული იქნება მხოლოდ მოსარჩელის კეთილ ნებაზე. მოპასუხემ შემფოთება გამოთქვა აგრეთვე იმის გამო, რომ ბავშვს ცხოვრება მოუწევდა მოსარჩელის მეუღლესთან განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გამო, რაზედაც სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი – ისევე, როგორც ბავშვი, ლაშა ბუნაშვილი – არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და მისი მეუღლე არ უშლის ხელს ოჯახში განსხვავებული რელიგიური ტრადიციების აღსრულებას, პირიქით – მან თვითონ მიუმაგრა ხატები კედელზე.
- 8.** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოსაზრებით, ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისა და მისი კეთილდღეობის დაცვის მიზნით, ბავშვს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ორივე მშობელთან. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ხელი არ შეეშალოს რომელიმე მშობელთან ურთიერთობის პროცესში.
- 9.** მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბავშვის დამრიგებლის ინფორმაციით, ლაშას აკადემიური მოსწრება კარგია, იგი ყოველთვის მონესრიგებული და მომზადებულია, როგორც ბებიის (ელზა გელაშვილის), ისე – მამის ოჯახი ყურადღებით ეკიდება ბავშვის სასწავლო პროცესს, ხშირად აკითხავენ სკოლაში და ინტერესდებიან ბავშვის სწავლის ხარისხით. ექიმის ინფორმაციით ბავშვი ყოველთვის უზრუნველყოფილია საჭირო სამედიცინო დახმარებით.

III. სამოტივაციო ნაწილი

10. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის და სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს – ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი, ამასთან, მამას უნდა შეეზღუდოს მშობლის წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში მის საცხოვრებლად წაყვანაზე თანხმობის გაცემის ნაწილში.

სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა უნდა შემოწმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ამავე კოდექსის 1205-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით.

1201-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე და მოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

ამავე კოდექსის 1205-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად.

ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-6 მუხლის მეორე პუნქტით მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას, ხოლო ამავე კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება

აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ამავე კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.

„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლის პირველის პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს სადავო ფაქტობრივ გარემოებას, რომ არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილი მუდმივად ცხოვრობს დედის – მარიამ გელაშვილის დედასთან, ელზა გელაშვილთან ერთად, სოფელ ----ში. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვი მუდმივად ცხოვრობს მასთან. მასთან ბავშვის მუდმივად ცხოვრების ფაქტს მისივე განმარტებები გამორიცხავს. მან სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, რომ 2015 წლის 9 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც იგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლდა, ბავშვი მასთან რჩება „ყოველ მეორე, მესამე დღეს, ხან – ყოველ დღე მასთანაა“. ერთ-ერთ განმარტებაში მან აღნიშნა, რომ ლაშა მის სახლში რჩება, როდესაც მისი დედა – ანასტასია ბუჩაშვილი არ მუშაობს. ამავდროულად კი განაცხადა, რომ ანასტასია ბუჩაშვილი ერთი კვირის განმავლობაში მუშაობს, ერთი კვირა – ისვენებს. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ბებიასთან (დედის დედასთან) ატარებს, თუმცა, პერიოდულად, მამის ოჯახშიც რჩება ხოლმე. გარდა ამისა, მამის სახლი მის სკოლასთან ახლოს მდებარეობს და ხშირად შეივლის ხოლმე მასთან. თავად არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილის განმარტებაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი მუდმივად ცხოვრობს დედის დედასთან და პერიოდულად რჩება მამასთან. მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ შედ-

გენილ დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ბებუის ელზა გელაშვილის ოჯახში ატარებს. თუმცა, გარკვეულ დროს მამასთან, ემზარ ბუჩაშვილთან და მის ოჯახთან ერთად ატარებს.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, 2015 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით, რომლის მიხედვითაც, მოპასუხე ბუბიასთან, დედასთან და ძმასთან ერთად ერთ ოჯახად რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას. მისი შვილი – ლაშა ბუჩაშვილი ოჯახის წევრად არ არის რეგისტრირებული, რაც სხვა მტკიცებულებებთან ერთად ასევე გამორიცხავს მოპასუხესთან ბავშვის მუდმივად ცხოვრების ფაქტს (იხ. ----ის ადმინისტრაციულ ორგანოში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, მოწმეთა ჩვენებები, არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილის განმარტება, მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი დასკვნა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან).

მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შედეგად, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ წყდება საკითხი – ბავშვმა უნდა იცხოვროს დედასთან თუ მამასთან. როგორც დადგინდა, ბავშვი ამჟამად მუდმივად არ ცხოვრობს მამასთან, შესაბამისად საკითხი ამ მიმართულებით არ განიხილება. მოპასუხეს არ წარმოუდგენია შეგებებული სარჩელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მასთან განსაზღვრის თაობაზე, ვინაიდან იგი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ბავშვი ისედაც მასთან ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ცალსახად დადასტურდა, რომ ბავშვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მამის ოჯახში არ აქვს, მასთან მჭიდრო კონტაქტის მიუხედავად. შესაბამისად, სასამართლო ვერ იმსჯელებს იმაზე, მიზანშეწონილია თუ არა ბავშვის მამასთან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლა, რადგან ასეთი მოთხოვნა არ არის წარმოდგენილი. სასამართლო განიხილავს მხოლოდ მარიამ გელაშვილის სასარჩელო მოთხოვნას და გადაწყვეტილებას იღებს იმ მოცემულობით, რომ ბავშვს ამ ეტაპზე არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არც ერთ მშობელთან.

- 11.** სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის სურვილს და განწყობას გადასაწყვეტ საკითხთან მიმართებაში.

საქმეში წარმოდგენილია მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის მიერ 2015 წლის 17 ივლისს შედგენილი #1774 წერილობითი შეფასება, რომლის მიხედვითაც, ბავშვზე განხორციელებული დაკვირვებიდან მიღებული შთაბეჭდილებით, ლაშას აღენიშნება ბუნდოვანი, გაურკვეველი, გაორებული დამოკიდებულება მშობლებს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით. შეინიშნება მცირე დათრგუნულობა. ბავშვს სურს როგორც დედასთან ყოფნა, ისე – მამასთან სიახლოვე. ბავშვს აქვს გამოკვეთილი ინტერესი, ნახოს დედის საცხოვრებელი გარემო თურქეთში. მისი გუნება-განწყობილების ძირითადი ფონი ნორმის ფარგლებშია (შეინიშნება შფოთვის დაბალი ხარისხი) – თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრებს და სურვილებს, თუმცა, წერილობით შეფასებაში აღნიშნულია, რომ როდესაც ფსიქოლოგთან საუბრის თემა შეეხო დედასთან, მისთვის უცხო გარემოში მუდმივად ცხოვრებას, უცხო ქვეყანაში სწავლას, ბავშვი დაიბნა, ჩაფიქრდა, გაუჭირდა აზრის დალაგება და გადმოცემა. მასთან საუბრიდან გამომდინარე და ემოციურ რეაქციებზე დაკვირვებით, ლაშა თავს გრძნობს ბედნიერად სოფელში, როგორც მამის საცხოვრებელ გარემოში (ბებოსთან, ბიძასთან....) ისე – დედის საცხოვრებელ გარემოში (ბებოსთან, ნათესავებთან...); ამჟღავნებს დადებით ემოციებს ადამიანების მიმართ, ჰყავს ბევრი მეგობარი სოფელში, დაკმაყოფილებულია მისი საჭიროებები. გამოხატა სურვილი, იმყოფებოდეს როგორც მამის საცხოვრებელ გარემოში, ასევე – ბავშვის ძლიერი სურვილია, იმყოფებოდეს დედასთან და ჰქონდეს მასთან ემოციური სიახლოვე.

სასამართლო სხდომაზე ლაშა ბუჩაშვილის გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ მყარად აქვს გადანყვებილი დედასთან, თურქეთის რესპუბლიკაში საცხოვრებლად წასვლა. მოსარჩელის მეუღლე მან გაიცნო ვიდეოკონფერენციის საშუალებით, დედა უთარგმნიდა მასთან საუბარს. ლაშა ბუჩაშვილმა სასამართლო სხდომაზე გამოხატა დადებითი განწყობა მის მიმართ და აღნიშნა, რომ მისი დედის მეუღლე ელოდება მის ჩასვლას.

ლაშა ბუჩაშვილმა დაადასტურა, რომ მამასთან აქვს კარგი ურთიერთობა, ძალიან უყვარს და მოენატრება, თუმცა, დედასთან სურს მუდმივად ყოფნა, არდადეგებს კი მამასთან გაატარებს. მას სურს, მიიღოს კარგი განათლება, რაშიც, თვლის, რომ დედა დაეხმარება. საქართველოში ჰყავს მეგობრები, რომლებთანაც არ შეწყვეტს ურთიერთობას და არდადეგებზე კვლავ მათთან ერთად იქნება. დადის ასევე ჭიდაობაზე, რასაც თურქეთშიც გააგრძელებს. მან თურქული ენის პედაგოგისგან იცის, რომ თურქეთი განვითარებული, მონესრი-

გებული ქვეყანა და სურს, წავიდეს. თვლის, რომ ახალ მეგობრებსაც შეიძენს, თავიდან გაუჭირდება თურქულ ენაზე საუბარი, მაგრამ მალე შეეჩვევა. უკვე სწავლობს თურქულ ენას და არ უჭირს ათვისება.

ლაშა ბუჩაშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა მისი პედაგოგი სკოლიდან, რომელმაც აღნიშნა, რომ ლაშა ნიჭიერი ბავშვია, ადვილად ითვისებს ყველა საგანს, განსაკუთრებით – უცხო ენას. გამოირჩევა კარგი სწავლით.

ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ როდესაც მან (ბაფხულში) შეისწავლა ბავშვის ფსიქო-ემოციური ფონი, მას აღენიშნებოდა გაორება და გარკვევით ვერ აყალიბებდა თავის სურვილს. ამჟამად კი იგი გამოკვეთილად გამოხატავს, რომ სურს დედასთან ერთად ცხოვრება. (იხ. სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი, მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის წერილობითი შეფასება).

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ლაშა ბუჩაშვილი მეტად არის დაკავშირებული დედასთან, იგი ამ ეტაპზე ფაქტობრივად ცხოვრობს ბებიასთან (დედის დედასთან). ამდენად, ამ ეტაპზე ბავშვს მართალია, აქტიური კონტაქტი აქვს მამასთან, მაგრამ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია არც ერთ მშობელთან. დედასთან ურთიერთობას ამყარებს უპირატესად „სკაიპის“ მეშვეობით, ფიზიკურად კი წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე ეძლევა მისი ნახვის შესაძლებლობა. სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ბავშვს მამასთან აქტიური კონტაქტი არ ჰქონია 2011 წლიდან 2015 წლის იანვრამდე (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ემზარ ბუჩაშვილის ყოფნის გამო). შესაბამისად, იგი მეტად არის მიჯაჭვული დედასთან. მარიამ გელაშვილს აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის კონსტიტუციური უფლება, ამასთან მას უფლება აქვს, შეინარჩუნოს კავშირი შვილთან.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია თავად არასრულწლოვნის სურვილი და დამოკიდებულება, რომელიც, მისი ასაკიდან გამომდინარე, გააზრებულად იყო წარმოჩენილი სასამართლო სხდომაზე. მისი სურვილის გაუთვალისწინებლად საკითხის გადაწყვეტა უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვნის ფსიქიკაზე.

12. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს, უნდა იცხოვროს თუ არა ბავშვმა მამასთან, რადგან მსგავსი

სასარჩელო მოთხოვნა არ ყოფილა წარმოდგენილი, ამასთან, დადგინდა, რომ ამჟამად ბავშვი ემზარ ბუჩაშვილთან არ ცხოვრობს. თუმცა, სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას სასამართლო მხედველობის მიღმა ვერ დატოვებს იმ გარემოების გამოკვლევას, დედასთან მუდმივად ცხოვრების შემთხვევაში იქნება თუ არა შესაძლებელი მამასთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნება.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვის მამას არ აქვს ბავშვის მოვლისა და აღზრდისათვის სათანადო უნარები.

მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილის განმარტებით, როდესაც ბავშვი მასთან არის, მისი დედა – ანასტასია ბუჩაშვილი ეხმარება ლაშას მეცადინეობაში. თვითონ პირადად ვერ ეხმარება, რადგან დრო არ ჰყოფნის. საქმეში წარმოდგენილია ----ის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათება, სადაც აღნიშნულია, რომ ემზარ ბუჩაშვილი არის მშრომელი, კეთილსინდისიერი, ყურადღებიანი, თავაზიანი და მოწესრიგებული ახალგაზრდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ არანაირ კანონდარღვევაში არ არის შემჩნეული, მეზობლებს და თანასოფლელებს ექცევა პატივისცემით, ზრუნავს და ყურადღებას აქცევს თავის შვილს – ლაშა ბუჩაშვილს.

სკოლის დირექტორის მიერ გაცემული დახასიათებით, ასევე – მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მამა ბავშვს ყურადღებას აქცევს, ესწრება სპორტულ მეცადინეობებს და შეჯიბრებებს, სადაც მონაწილეობს ლაშა, ასევე ფინანსურად უზრუნველყოფს შეჯიბრებებში მონაწილეობის და ტრანსპორტირების ხარჯებს, ბავშვს ნაჰყვა სკოლის ექსკურსიაზე. (იხ. მოწმეთა ჩვენებები, მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი დასკვნა, ----ის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათება, სკოლის დირექტორის მიერ გაცემული წერილობითი დახასიათება, ს.ფ. 62-63).

მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ როდესაც ლაშა ბუჩაშვილი მამასთან იმყოფება, ოჯახში დაკმაყოფილებულია მისი ყველა ძირითადი საჭიროება. უზრუნველყოფილია საკვებით, ტანსაცმლით, ასაკის შე-

საბამისი სათამაშოებით და სხვადასხვა ნივთებით. ოჯახის მეზობლებისა და თანასოფლელების ინფორმაციით, ბავშვს ეპყრობიან სითბოთი და სიყვარულით, დაცულია ყოველგვარი ძალადობისა და უგულვებელყოფისგან.

ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ ბებიასთან, ელზა გელაშვილთან, სადაც ბავშვი ამჟამად ცხოვრობს, დაცულია ბავშვის უფლებები და გათვალისწინებულია ყველა საჭიროება, ბებია ექცევა სითბოთი და სიყვარულით, გამოხატავს მზრუნველობას შვილიშვილის მიმართ.

ამგვარად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ლამას უნდა შეუნარჩუნდეს მამასთან და მამის ოჯახთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო არ ადგენს მოპასუხესთან ბავშვის ურთიერთობის კონკრეტულ წესს, რადგან ასეთი სასარჩელო მოთხოვნით მოპასუხეს არ მოუმართავს სასამართლოსთვის, თუმცა, განმარტავს, რომ მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში ემზარ ბუჩაშვილს რჩება უფლება, სასამართლოსთვის მომართვის გზით მოითხოვოს ბავშვთან ურთიერთობის წესის დადგენა.

სასამართლო მხედველობაში იღებს თავად მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უზრუნველყოფს არდადეგების პერიოდში ბავშვის ჩამოყვანას საქართველოში და აქტიურ კონტაქტს მამასთან, გარდა ამისა, თუკი ბავშვი სრულფასოვნად ვერ შეეგუება ახალ საცხოვრებელ პირობებს, იგი თავადვე დააბრუნებს ბავშვს წინანდელ საცხოვრებელ ადგილას. ბავშვის ასაკის და განვითარების გათვალისწინებით, მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილს ექნება შესაძლებლობა, მუდმივი კონტაქტი შეინარჩუნოს მასთან და პერიოდულად შეამოწმოს, რამდენად კმაყოფილი იქნება იგი დედასთან ახალ გარემოში ცხოვრებით.

რაც შეეხება მოპასუხის მიერ გამოთქმულ ეჭვს მოსარჩელის მეუღლის განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გამო ბავშვის მასთან ცხოვრების თაობაზე, სასამართლო მოსარჩელის ახსნა-განმარტების შესაბამისად დადგენილად მიიჩნევს, რომ თავად მოსარჩელეც ისევე, როგორც ბავშვი, ლამა ბუჩაშვილი – არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და მისი მეუღლე არ უშლის ხელს ოჯახში განსხვავებული რელიგიური ტრადიციების აღსრულებას და პატივისცემით ეპყრობა მის რელიგიურ გრძნობებს. საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა, რომ ბავშვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შელახვის კუთხით რაიმე საფრთხე დაემუქრება.

ამდენად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების დამაბკოლებელი გარემოება.

გემოსხენებულიდან გამომდინარე, სასამართლო სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლიანად მიიჩნევს და თვლის, რომ ლაშა ბუჩაშვილის საცხოვრებლად გამგზავრება დედასთან, თურქეთის რეპუბლიკაში, შეესაბამება არასრულწლოვნის უპირატეს ინტერესებს. მოპასუხე წინააღმდეგია, ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ბავშვის საზღვარგარეთ, დედასთან საცხოვრებლად გაყვანაზე. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით მშობლის სავალდებულო თანხმობაა დაწესებული საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტის გაცემისათვის, სასამართლო თვლის, რომ მოპასუხეს უნდა შეეზღუდოს მშობლის ეს უფლება, სხვა უფლებების შეზღუდვის გარეშე.

IV. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სარჩელი დაკმაყოფილდა, სარჩელზე მარიამ გელაშვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა გადახდეს მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილს მოსარჩელის სასარგებლოდ.

V. სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 248-ე, 243-ე, 244-ე, 247-249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მარიამ გელაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს:
- 1.1. არასრულწლოვანი ლაშა ბუჩაშვილის (დაბად. 20.09.2005წ. პირადი #XXXXXXXXXXXX) საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის – მარიამ გელაშვილის (პირადი #) საცხოვრებელი ადგილი: თურქეთის რესპუბლიკა, ქ. სტამბოლი, -----)

- 1.2. მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილს შეეზღუდოს მშობლის წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის – ლაშა ბუჩაშვილის მიმართ მარიამ გელაშვილის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში მის საცხოვრებლად წაყვანაზე თანხმობის გაცემის ნაწილში;
2. მოპასუხე ემზარ ბუჩაშვილს დაეკისროს მარიამ გელაშვილის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
3. გადანაცვტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. #7ა), მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით მხარეთათვის დასაბუთებული გადანაცვტილების ასლის გადაცემის მომენტიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

მოსამართლე: XXXXXXXXXXXX



საქმე № 2/XXXXX-17

**მცხეთის რაიონული სასამართლოს
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

25.09.2017 წელი

ქ. მცხეთა

I. შესავალი ნაწილი

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე XXXXXX
სხდომის მდივანი XXXXXXXXXX

მოსარჩელე შპს „შენება 2010“

წარმომადგენლები მარინე ლომიძე, იოსებ ქავთარაძე (დირექტორი)

მოპასუხე -----ს მუნიციპალიტეტის გამგეობა

წარმომადგენელი ალექსანდრე გაბუნია

დავის საგანი: პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების არარსებობის აღიარება, თანხის დაკისრება

II. აღწერილობითი ნაწილი

1. მოსარჩელე შპს „შენება 2010“-ის სასარჩელო მოთხოვნებია:

1.1. მოპასუხე -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას შპს „შენება 2010“-ის სასარგებლოდ დაეკისროს 23 646,73 ლარის გადახდა;

1.2. შპს „შენება 2010“ გათავისუფლდეს -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 4 დეკემბრის #3005 წერილით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან (იხ. სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების დაზუსტება, 2017 წლის 20 აგვისტოს სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი, 16:08:59 სთ).

2. 2015 წლის 16 ივნისს მოსარჩელე შპს „შენება 2010“-სა და მოპასუხე -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #168 ხელშეკრულება, სადაც შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა -----ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-----ში მდინარის კალაპოტის განმენდა და გამაგრება. ხელშეკრულების „1.2.“ პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების „4.2“ პუნქტში მითითებულია, რომ ხელშეკრულება მოქმედებს მისი გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე. „4.1.“ პუნქტით კი – მიწოდების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 17 აგვისტო.

ხელშეკრულების „5.3“ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება, როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

ხელშეკრულების „8.1.2.“ პუნქტის თანახმად, დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, ხელშეკრულებას თანდართული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების „9.1“ პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. „9.2“ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. ხელშეკრულების „9.5“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ შემსყიდველს შეუძლია, მიიღოს გადაწყ-

ვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შესასრულებელი სამუშაოების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში. „9.6“ პუნქტით კი, ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

ხელშეკრულების „1.1“ პუნქტით განისაზღვრა, რომ მიმწოდებელი ვალდებულია, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, არსებული სტანდარტების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, მათ შორის ხელშეკრულებაზე დართული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

ხელშეკრულების „11.4“ პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

„12.2“ პუნქტით, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით – მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას.

„13.1“ პუნქტის თანახმად, ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

„13.2“ პუნქტით, შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

3. შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა 2015 წლის 9 ივლისის წერილით მიმართა -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლითაც აცნობა, რომ შეასრულა პირველი ეტაპის სამუშაოები და მოითხოვა ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა. ამავე დღეს გამგებელს წარედგინა შპს „შენება 2010“-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ფორმა #2, სადაც შესრულებული სამუშაოების ღირებულებად განისაზღვრა 41 459,42 ლარი. ასევე, მიმართა კომპანიას, რომელიც ახორციელებდა ზედამხედველობას აღნიშნულ ობიექტზე, და სთხოვა სამუშაოების მოცულობის და პროექტთან შესაბამისობის შემოწმება და ფორმა #2-ზე ხელმოწერა (იხ. შპს „შენე-

ბა 2010“-ის დირექტორის 2015 წლის 9 ივლისის წერილი, 3 აგვისტოს განცხადება, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი (ხელმოწერილი მხოლოდ შპს „შენება 2010“-ის დირექტორის მიერ), შუალედური ხარჯთაღრიცხვა ფორმა #2 (ხელმოწერილი მხარეთა მიერ), ს.ფ. 26-28, 136)

შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა 2015 წლის 24 ივლისის წერილით მითხრობს -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სადაც აღნიშნულია: „პროექტით გათვალისწინებული იყო კალაპოტში ბეტონის ფილების ჩალაგება, რაც იწვევდა მდინარის კალაპოტის მნიშვნელოვნად დავიწროვებას. ადგილობრივი მოსახლეობის და ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის თხოვნით, აღნიშნული ფილები უნდა შეცვლილიყო ბეტონის კედლით მდინარის მარცხენა მხარეს, რაზედაც მუნიციპალიტეტს უნდა მოეწოდებინა პროექტი. ტექნიკა მობილიზებული გვაქვს, ველოდებით პროექტს, რომლითაც ვიხელმძღვანელებ, რათა სატენდერო ვადა არ გადასცდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ თარიღს.“ (იხ. შპს „შენება 2010“-ის დირექტორის 2015 წლის 24 ივლისის წერილი (ს.ფ. 61).

2015 წლის 13 აგვისტოს წერილით შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა კვლავ სთხოვა -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

გედამხედველობის განმახორციელებელმა კომპანიამ დაადასტურა შუალედური ხარჯთაღრიცხვა შპს „შენება 2010“-ის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვისგან განსხვავებული შინაარსით. შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი უცვლელი დარჩა, თუმცა, სამუშაოების ღირებულებად ჯამში, ნაცვლად 41 459,42 ლარისა, განისაზღვრა 33 443,977 ლარი. 2015 წლის 13 აგვისტოს შედგა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი #599, რომლითაც უფლებამოსილმა პირებმა დაასტურეს შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება, თუმცა, სამუშაოების ღირებულებად დაფიქსირდა 33 443,977 ლარი. როგორც ფორმა #2, ისე – მიღება-ჩაბარების აქტს 33 443,977 ლარის ღირებულებით, ხელმოწერით ადასტურებს მიმწოდებელიც – შპს „შენება 2010“-ის დირექტორი (იხ. „შენება 2010“-ის დირექტორის 2015 წლის 13 აგვისტოს წერილი, 2015 წლის 13 აგვისტოს შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, შუალედური ხარჯთაღრიცხვა ფორმა #2, საგადახდო მოთხოვნა #00464, ს.ფ. 32, 29-30, 128, 133, 136).

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ 33 443,977 ლარი -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუნაზღაურა შპს „შენება 2010“-ს.

- 4.** მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ 9 ივლისს წარდგენილ ფორმა 2-ში აღწერილი სამუშაოების შესრულების შემდგომ შპს „შენება 2010“-ს სამუშაოები აღარ გაუგრძელებია.

2015 წლის 4 აგვისტოს შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა წერილობით მიმართა -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს, აცნობა, რომ საპროექტო სამსახურმა მიაწოდა პროექტის შეცვლილი ვარიანტი და სთხოვა, ეცნობებინა, რომელი პროექტით უნდა ეხელმძღვანელა, რადგან სახელმწიფო შესყიდვების საიტზე შეცვლილი პროექტი არ იყო ატვირთული. აცნობა, რომ ამ მიზეზის გამო შეჩერებული იყო სამუშაოები, რაც იწვევდა გეგმა-გრაფიკის დარღვევას და სთხოვა, ეცნობებინა პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით და გაეგრძელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დრო.

2015 წლის 17 აგვისტოს წერილით კი შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა განუმარტა -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ როგორც აღმოჩნდა, მათ მიერ მოგებული ტენდერის პროექტი სამხარაულის ექსპერტიზის საფუძველზე იყო დაწუნებული შესაბამისი დასკვნით, რომელიც გამგეობის საპროექტო სამსახურშია. აღნიშნულის შესახებ შპს „შენება 2010“-ის ინფორმაცია მიიღო პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ. მუნიციპალიტეტმა მიაწოდა კორექტირებული პროექტი 2015 წლის 10 ივლისს, რომელიც უნდა ატვირთულიყო სისტემაში, მაგრამ არაა ატვირთული. არაერთი წერილობითი მიმართვის მიუხედავად არ მიუღიათ პასუხი, რომელი პროექტით ეხელმძღვანელათ, რის შედეგადაც შპს „შენება 2010“ ჩამორჩა გეგმა-გრაფიკს, რაზედაც ასევე წერილობით მიმართა ვადის გაგრძელების მოთხოვნით და არანაირი პასუხი არ მიუღია. წერილის ავტორმა მოითხოვა რეაგირება ყოველივე აღნიშნულზე და განმარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „შენება 2010“ იძულებული იქნება, შეწყვიტოს ხელშეკრულება -----ის მუნიციპალიტეტთან (იხ. შპს „შენება 2010“-ის დირექტორის 2015 წლის 4 აგვისტოს და 17 აგვისტოს წერილები, ს.ფ. 31, 33)

- 5.** დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის მიერ შესრულებული საექსპერტო დასკვნით (თარიღი – 2015 წლის 20 აგვისტო) რეკომენდაცია მიეცა -----ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-----ში მდინარის კალაპოტის განმწე-

დისა და ნაპირსამაგრი დამბის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. მანვე 2015 წლის 24 აგვისტოს წერილობით -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას გაუგზავნა -----ის მუნიციპალიტეტში -----ის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ზემო მ-----ში მდინარის კალაპოტის განმენდისა და ნაპირსამაგრი დამბის მოწყობის კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

იმავე წლის 14 სექტემბერს შპს „შენება 2010“-ის დირექტორმა წერილობით მიმართა -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სადაც განუმარტა, რომ როგორც აღმოჩნდა, მათ მიერ მოგებული ტენდერის პროექტი სამხარაულის ექსპერტიზის საფუძველზე იყო დაწუნებული შესაბამისი დასკვნით, რომელიც გამგეობის საპროექტო სამსახურში ინახება. აღნიშნულის შესახებ შპს „შენება 2010“-მა ინფორმაცია მიიღო პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ. მუნიციპალიტეტმა მიაწოდა კორექტირებული პროექტი 2015 წლის 10 ივლისს, რომელიც უნდა ატვირთულიყო სისტემაში, მაგრამ არაა ატვირთული. არაერთი წერილობითი მიმართვის მიუხედავად არ მიუღიათ პასუხი, რომელი პროექტით ეხელმძღვანელათ, რის შედეგადაც შპს „შენება 2010“-ი ჩამორჩა გეგმა-გრაფიკს, რაზედაც ასევე წერილობით მიმართა ვადის გაგრძელების მოთხოვნით და არანაირი პასუხი არ მიუღია. წერილში ასევე გამართებულია, რომ 2015 წლის 15 აგვისტოს მუნიციპალიტეტმა კომპანიას ხელზე მიაწოდა ახალი, მესამედ შეცვლილი პროექტი, რომელიც ისევ არ აიტვირთა შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ისევ არ მიუღიათ პასუხი. წარმოქმნილი გაუგებრობის გამო შპს „შენება 2010“-ი იძულებულია, შეწყვიტოს -----ის მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულება (იხ. საექსპერტო დასკვნა; ს.ფ. 117-119, -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილობითი მოთხოვნა, დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2015 წლის 24 აგვისტოს წერილი – ს.ფ. 62-63), შპს „შენება 2010“-ის დირექტორის 2015 წლის 14 სექტემბრის წერილობითი განცხადება – ს.ფ. 65).

6. საქმეს ერთვის -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 სექტემბრის წერილი, რომლითაც მან შპს „შენება 2010“-ის დირექტორს შეახსენა, რომ 2015 წლის 16 ივნისის ხელშეკრულების თანახმად, მას უნდა შეესრულებინა სამუშაოები, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრებოდა 2015 წლის 17 აგვისტო. აღნიშნულიდან გამომდინარე აცნობა, რომ ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, სამუშაოს შეუსრულებლო-

ბის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყდებოდა ცალმხრივად და დაერიცხებოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმები (იხ. -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 სექტემბრის წერილი, ს.ფ. 57).

-----ის მუნიციპალიტეტის გამგებელმა 2015 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა #875 ბრძანება -----ის მუნიციპალიტეტსა და შპს „შენება 2010“-ს შორის 2015 წლის 16 ივნისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. ბრძანებაში მითითებულია: „-----ის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ შპს „შენება 2010“-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დღემდე არ შეუსრულებია და ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყდეს ცალმხრივად.“ (იხ. -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის #823 ბრძანება (ს.ფ. 52).

-----ის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შპს „შენება 2010“-ის დირექტორს 2015 წლის 5 ოქტომბრის წერილით აცნობა, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება და სამუშაოს მიწოდების ვადის გასვლის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხებოდა ჯარიმები.

-----ის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შპს „შენება 2010“-ის დირექტორს 2015 წლის 4 დეკემბრის წერილით აცნობა, რომ სამუშაოების მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 2015 წლის 17 აგვისტო. ხელშეკრულება შეწყდა 2015 წლის 2 ოქტომბერს ისე, რომ მას ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. ხელშეკრულების „8.1.2“ პუნქტის თანახმად, მოსთხოვა, გადაეხადა პირგასამტეხლო 5980 ლარის ოდენობით. (იხ. -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ოქტომბრის და 4 დეკემბრის წერილები (ს.ფ. 56, 34).

7. მოპასუხის პოზიცია: მოპასუხე -----ის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.
8. მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ 2015 წლის 26 აგვისტოს -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოად-

გილემ წერილი (იხ. ს.ფ. 55) გაუგზავნა შპს „შენება 2010“-ის დირექტორს, რომლითაც აცნობა, რომ -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარედგინა -----ის მუნიციპალიტეტში სოფელ მ-----ში მდინარის კალაპოტის განმენდისა და ნაპირსამაგრი დამბის მოწყობის კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამავე წერილით -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ შპს „შენება 2010“-ის დირექტორს სთხოვა, ეხელმძღვანელა აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და წარედგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (წერილში დანართი არ არის მოხსენიებული).

მოსარჩელემ სადავოდ გახადა ამ წერილის მისთვის ჩაბარება და აღნიშნა, რომ მან ამ წერილის შესახებ შეიტყო მხოლოდ სამი თვის შემდეგ, როდესაც გამგეობაში იმყოფებოდა (იხ. 2017 წლის 20 აგვისტოს სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი, 14:42 სთ).

9. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოითხოვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 20 ნოემბრის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (დამკვეთი – -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობა), რომლის მიხედვითაც, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის და მდინარის კალაპოტის განმენდის საპროექტო დოკუმენტაციას არასრულყოფილი სახე აქვს, მიღებული საინჟინრო გადაწყვეტილებები არაარგუმენტირებულია, შესაბამისად, სამშენებლო მოცულობები დაუსაბუთებელია. პროექტს არ ეძლევა რეკომენდაცია რეალიზაციისთვის.

მხარეთა შორის სადავოდ არ არის გამხდარი ის გარემოება, რომ აღნიშნული დასკვნით შეფასებული საპროექტო დოკუმენტაცია დაედო საფუძვლად მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებას. ასევე უდავო გარემოებაა, რომ საექსპერტო დასკვნის შესახებ მოსარჩელისთვის არ იყო ცნობილი. მან დასკვნის არსებობაზე შეიტყო 2015 წლის ივლისში, პირველი ეტაპის სამუშაოების შემდგომ, რაც მისივე წერილების შინაარსიდან იკვეთება. თუმცა, დასკვნა წერილობით არ ჰქონია გადაცემული გასაცნობად და მხოლოდ სასამართლოში საქმის წარმოების დროს გაეცნო მის შინაარსს. (იხ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 20 ნოემბრის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა).

III. სამოტივაციო ნაწილი

10. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „შენება 2010“-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 4 დეკემბრის #3005 წერილით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხის დაკისრების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ (რაც, თავისი შინაარსით, გულისხმობს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების არარსებობის აღიარებას) საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესის არსებობას აღიარებითი სარჩელის განხილვის მიმართ, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, ასეთი სარჩელის არსებითად განხილვის წინაპირობაა.

მოსარჩელის თქმით, მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს, რომ კომპანია არ მოხვდეს არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების ელექტრონულ რეესტრში – ე.წ. „შავ სიაში“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის #19 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასულია ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე არის შეწყვეტილი, ეს შეიძლება, გახდეს მიმწოდებლის შავ სიაში (შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში) რეგისტრაციის საფუძველი, რის შედეგადაც კომპანიას შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არ ექნება უფლება, მონაწილეობა მიიღოს

სახელმწიფო შესყიდვებში და დადოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესს წარმოადგენს, სასამართლო გადაწყვეტილებით მოხდეს იმის აღიარება, რომ მოპასუხის მიერ მისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. მიკუთვნებითი სარჩელით კი აღნიშნული იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების „8.1.2“ პუნქტის მიხედვით, პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი შეიძლება, იყოს ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობა სასამართლომ უნდა შეამოწმოს სწორედ ამ დანაწესების მიხედვით.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება თავისი შინაარსით წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით განსაზღვრულ წარდობის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, მენარდე კისრულობს, შეასრულოს შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

ამავე კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. 401-ე მუხლის თანახმად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მენარდე მოვალეა, დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე ან გამოუსადეგარი იქნება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შემკვეთი, მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს

უფლება აქვს, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

13. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე ეყრდნობა 2015 წლის 26 აგვისტოს -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის წერილს, რომელიც, მოპასუხის წარმომადგენლის თქმით, გაეგზავნა შპს „შენება 2010“-ის დირექტორს და ეცნობა, რომ -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარედგინა -----ის მუნიციპალიტეტში სოფელ მ-----ში მდინარის კალაპოტის განშენდისა და ნაპირსამაგრი დამბის მოწყობის კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამავე წერილით -----ის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ შპს „შენება 2010“-ის დირექტორს სთხოვა, ეხელმძღვანელა აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და წარედგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა (წერილში დანართი არ არის მოხსენიებული).

მოსარჩელემ სადავოდ გახადა ამ წერილის მისთვის ჩაბარება და აღნიშნა, რომ მან ამ წერილის შესახებ შეიტყო მხოლოდ სამი თვის შემდეგ, როდესაც გამგეობაში იმყოფებოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ეს წერილი შპს „შენება 2010“-ს ჩაბარდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე. მას ასეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე არის ადმინისტრაციული ორგანო და აწარმოებს დოკუმენტების ორგანიზებულ აღრიცხვას, შესაბამისად, მას უნდა ჰქონოდა ასეთი მტკიცებულება. ხოლო მისი არსებობის შემთხვევაში, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მასვე უნდა წარმოედგინა სასამართლოსთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 13.1 და 13.2 პუნქტების შესაბამისად, წერილის ნამდვილობა დამოკიდებული იყო ადრესატთან მის მისვლაზე, რაც ამ შემთხვევაში არ დასტურდება.

14. უდავო გარემოებაა, რომ მენარდემ – შპს „შენება 2010“-მა არაერთი წერილით მიმართა -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სადაც ითხოვდა პროექტის შეცვლას, რადგან სამუშაოების გაგრძელება არსებული პროექტის ფარგლებში შეუძლებელი იყო. პროექტის კორექტირების აუცილებლობა დადასტურებულია საექსპერტო დასკვნით, რომელიც ჯერ კიდევ

ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე თვით ადრე იყო მომზადებული თავად -----ის მუნიციპალიტეტის დაკვეთით და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო დასკვნის შინაარსი. ამასთან, კორექტირებული პროექტის შედგენის აუცილებლობა დადასტურებულია იმითაც, რომ თავად გამგეობამ მიიღო ზომები და მოგვიანებით უზრუნველჰყო კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. შპს „შენება 2010“-ის დირექტორი წერილებში აღნიშნავს, რომ მას ორჯერ ხელზე მიეწოდა სხვადასხვა შინაარსის პროექტი, მაგრამ სასამართლო იზიარებს მის მოსაზრებას (იხ. შპს „შენება 2010“-ის დირექტორის ზეპირი განმარტება, 2017 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი 14:20 სთ), რომ ხელზე გადაცემული პროექტით იგი ვერ იხელმძღვანელებდა და ვერ გააგრძელებდა სამუშაოებს. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ კორექტირებული პროექტი საბოლოო სახით დამტკიცებული თავად -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაეცა მხოლოდ 2015 წლის 24 აგვისტოს. შესაბამისად, იგი ამ დრომდე ვერც მისცემდა მითითებას მენარდეს ახალი პროექტის მიხედვით სამუშაოების გაგრძელების თაობაზე.

რაც შეეხება 2015 წლის 26 აგვისტოს თარიღით შედგენილ წერილობით მითითებას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, მისი თარიღი უკვე სცილდება სამუშაოს შესრულების ვადას (2015 წლის 17 აგვისტოს), სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება კი უნდა განხორციელებულიყო მის ამოწურვამდე. ამასთან, როგორც დადგინდა, იგი არ ჩაბარებია შპს „შენება 2010“-ს, მისმა დირექტორმა მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეიტყო ამ წერილის არსებობის შესახებ, როცა მხარეთა შორის ურთიერთობა უკვე დასრულებული იყო. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ წერილს ვერ მიენიჭება სამართლებრივი ძალა მხარეთა შორის სახელეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.

შედეგად, სახეზეა ისეთი ვითარება, როდესაც შპს „შენება 2010“-ი დამკვეთის მხრიდან ახალი წერილობითი მითითების მიღების და კორექტირებული პროექტის მიწოდების გარეშე ვერ გააგრძელებდა მუშაობას, ასეთი მითითება კი მას არ მიუღია არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო კრედიტორის მოქმედებაზე. კრედიტორს – -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობას შეეძლო, გარკვეული ვადა განესაზღვრა მხარეს-

თან შეთანხმებით, რაც გონივრულად საჭირო იყო კორექტირებული პროექტის შედგენისა და დამტკიცებისთვის აუცილებელი პროცედურის გათვალისწინებით, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო, სამუშაოების შესრულების ვადა იწურებოდა და კორექტირებული პროექტი მენარდეს უნდა მიწოდებოდა იმგვარად, რომ მას გონივრული დრო ჰქონოდა სამუშაოების შესასრულებლად.

15. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვადის გადაცილებად განიხილება თავად კრედიტორის – -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობის უმოქმედობა. აღნიშნული კი, სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სრულ უფლებას ანიჭებდა მოსარჩელეს – შპს „შენება 2010“-ს, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, რაც მან განახორციელა კიდევ სრულიად მართლზომიერად, 2015 წლის 14 სექტემბრის წერილით.

სასამართლო თვლის, რომ შპს „შენება 2010“-მა კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით განახორციელა ხელშეკრულებიდან გასვლა. კერძოდ, მან მიიღო ზომები იმისათვის, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა შენარჩუნებულიყო, არაერთი წერილით მიმართა გამგეობას და ითხოვა საკითხის მოწესრიგება, რაც უპასუხოდ დარჩა.

რაც შეეხება -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომელიც 5 ოქტომბრის წერილით ეცნობა შპს „შენება 2010“-ს, იგი ვერ ჩაითვლება მართლზომიერად. რადგან -----ის მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა. მენარდის მიერ ადგილი არ ჰქონია ვადაგადაცილებას, ვალდებულების შეუსრულებლობას. თავად კრედიტორის უმოქმედობამ განაპირობა ვალდებულების შეუსრულებლობა. შპს „შენება 2010“-ი დამკვეთის მითითების და კორექტირებული პროექტის მიწოდების გარეშე მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეგრძელებინა სამუშაოს წარმოება. ამდენად, მას ვალდებულება არ დაურღვევია, რის გამოც, არ არსებობს გამგეობის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველი.

16. რადგან ვალდებულების დარღვევას შპს „შენება 2010“-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ასევე უსაფუძვლოა მისთვის წარდგენილი მოთხოვნა

პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი შეიძლება, იყოს ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

17. სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „შენება 2010“-ის მოთხოვნა -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხის დაკისრების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით განსაზღვრულ შემკვეთის ვალდებულებას, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

ამავე კოდექსის 631-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

სასარჩელო განცხადებაში მითითებულია, რომ მოსარჩელემ დამკვეთს წარუდგინა პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულების ამსახველი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი 57 090,70 ლარზე, საიდანაც დაუდასტურეს მხოლოდ 33 443,977 ლარი, შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით, გადასახდელი დარჩა 23 646,73 ლარი, რომლის დაკისრებასაც ითხოვს იგი წინამდებარე სარჩელით მოპასუხისთვის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც მხოლოდ შპს „შენება 2010“-ის დირექტორის მიერ არის ხელმოწერილი და რომელიც ხელშეკრულების მეორე მხარემ არ დაადასტურა, ასევე საქმეში წარმოდგენილი ფორმა #2-ით, შპს „შენება 2010“-ის მიერ პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა არა 57 090,70 ლარით, არამედ – 41 459,42 ლარით. გაურკვეველია, რომელი დოკუმენტით იხელმძღვანელა მოსარჩელემ სასარჩელო განცხადების შედგენისას.

გარდა ამისა, სამუშაოების ღირებულება ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბებით (33 443,977 ლარის ოდენობაზე მეტი ოდენობით) სადავოდ გახადა მოპასუხე

მხარემ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოების ღირებულების (სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ნაწილში) და ხარჯთაღრიცხვის წინასწარ გაუთვალისწინებელი გადაჭარბების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რის დასადასტურებლადაც მას რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია ორმხრივად დადასტურებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს თავად შპს „შენება 2010“-ის დირექტორი, რაც ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი დაეთანხმა მასში მოცემულ სამუშაოების ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იყო 33 443,977 ლარით. ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად მას რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სასამართლო დადასტურებულად ვერ ჩათვლის იმ გარემოებას, რომ პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება შეადგენდა არა 33 443,977 ლარს, არამედ – 57 090,70 ლარს. აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა თანხის დაკისრების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

IV. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

თანხის დაკისრების შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ამ მოთხოვნაზე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 710 ლარი რჩება სახელმწიფო ბიუჯეტში. რაც შეეხება პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ მოთხოვნას, სასარჩელო განცხადებაში დავის საგნის ფასში ამ მოთხოვნის ღირებულება არ არის შეფასებული, რადგან მოთხოვნის ფორმულირება მოგვიანებით დაზუსტდა, შესაბამისად, მასზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი. მოსარჩელე თავისუფლდება ამ ნაწილში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, რადგან სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობა კი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, გათავისუფლებულია

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

V. სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 256-ე, 257-ე, 259¹-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „შენება 2010“-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:
 - 1.1. შპს „შენება 2010“ გათავისუფლდეს -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 4 დეკემბრის #3005 წერილით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან;
 - 1.2. შპს „შენება 2010“-ის სასარჩელო მოთხოვნა -----ის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით მცხეთის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.
3. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე XXXXXXXXXXXX



საქმე №2ბ/9190-17

**თბილისის სააპელაციო სასამართლო
ბანრინება
საქართველოს სახელით**

15 იანვარი, 2017 წელი თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე – თამარ კოპალიანი

მოსამართლეები – ლალი დოლიძე, დავით ჩხეიძე

სხდომის მდივანი – ნატო მახარაშვილი

აპელანტი – ლევან ყურაშვილი

წარმომადგენელი – ლალი კილაძე

მონინააღმდეგე მხარე – შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

წარმომადგენელი – დავით ამირეჯიბი

მესამე პირი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

წარმომადგენელი – თამარ ბარათაშვილი

გასანიჭრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი – ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აპელანტის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

- 2.1. მოსარჩელე (შემდგომში აპელანტი) ლევან ყურაშვილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2015 წლის 20 მაისის №089 ბრძანებით დაინიშნა შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ლევან ყურაშვილთან გაფორმდა #1/შ სამსახურებრივი ხელშეკრულება (იხ. ს.ფ. 21, 23-29; 87-94).
- 2.2. 2016 წლის 3 თებერვალს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს #322 წერილით ლევან ყურაშვილს გაეგზავნა გაფრთხილება 2015 წლის 1 ივნისის #12 სამსახურებრივი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ (ს.ფ. 17, 96);
- 2.3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 10 თებერვლის #290 ბრძანების საფუძველზე ლევან ყურაშვილი გათავისუფლდა შპს საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან (იხ. მინისტრის ბრძანება #98 ს.ფ. 16, 97);
2. 4. აპელანტს სამუშაოდან გათავისუფლების გამო ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6. პუნქტის შესაბამისად მიეცა კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზრაულების ოდენობით. (ს.ფ.27)
- 2.1.5. აპელანტის ხელფასი მისი სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის შეადგენდა 1800 (ათას ათას რვაასი) ლარს (იხ. ს.ფ. 95);
2. 6. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს (იხ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; ს.ფ. 31-32);
- 2.7. 2010 წლის 5 ნოემბერის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან გადაცემული აქვს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (იხ. ს.ფ. 77-85).

2.8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლევან ყურაშვილის სარჩელი ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

2.8.1. სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 10 თებერვლის #290 ბრძანების მართლზომიერება და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, როგორიცაა სამუშაო ადგილზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას. ხოლო დირექტორი კი, არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმხორციელებელი. დირექტორის კომპენტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხელმძღვანელობის უფლება შემღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იგივე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ხსენებული კანონის

მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის ძალით ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორის საქმიანობა თავად არის სამეწარმეო ხასიათის, იგი ჩვეულებრივი მენარმეა და მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან (პარტნიორებთან, აქციონერებთან ან სამეთვალყურეო საბჭოსთან) რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. დირექტორი აქციონერთა (პარტნიორთა) განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, რადგან მას მინდობილი აქვს პარტნიორთა კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოების, მისი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება. სამეწარმეო საზოგადოების განვითარება პირდაპირ პროპორციულია დირექტორის კეთილსინდისიერების, გულისხმიერების და განათლებისა. ერთგულებისა და სათანადო სამეწარმეო უნარ-ჩვევების გარეშე, დირექტორი ვერ გაართმევს თავს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. პარტნიორთა მოლოდინი ჰქონდეთ იმ სანარმოში წილი, რომლის საქმიანობაც დივიდენდის მომტანია, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დირექტორის გამართულ საქმიანობაზე. ამდენად, დირექტორისათვის სანარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ, პარტნიორებს ყოველთვის აქვთ უფლება კანონით და ან ხელშეკრულებით დადგენილი პროცედურის დაცვით, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი. სწორედ აღნიშნული ამრის გამოვლინებაა საქმეში წარმოდგენილი სამსახურებრივი ხელშეკრულების 9.2. პუნქტი, რომელითაც, თავად მოსარჩელესთან მიღწეული სახელშეკრულებო შეთანხმების ფარგლებში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ სანესდებო კაპიტალის 100%-იანი წილის მმართველი სამინისტრო უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ცალმხრივად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება, რომ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით დადგენილი უფლებამოსილების გამოყენების ფარგლებში აუცილებელია იმავე ხელშეკრულების 9.3. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი ისეთი საფუძვლებით ხელმძღვანელობა, როგორიცაა დირექტორის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე ან დირექტორის მიერ მისთვის ხელშეკრულებით ან/და სანარმოს წესდებით დაკისრე-

ბული ვალდებულებების უხეში დარღვევა და სხვა. თავად სამსახურეობრივი ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია სამინისტროს (პარტნიორის) ექსკლუზიური და ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე. ამგვარი დანაწესის არსებობა სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და მისი არსებობა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, დაკავშირებულია დირექტორისათვის სანარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკთან. ამგვარი რისკი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დირექტორი არღვევს ამ თანამდებობით ნაკარნახევ ვალდებულებებს და ან სათანადოდ ვერ ასრულებს უფლებამოსილებას. შესაძლოა დირექტორის მხრიდან სულაც არ ვლინდებოდეს საკუთარი ვალდებულებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ უფრო უკეთესი მენეჯმენტით საკუთარი სანარმოს უზრუნველყოფის უფლება პარტნიორებს უპირობოდ ანიჭებს დირექტორის შეცვლის ცალმხრივ უფლებამოსილებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით შექმნილ ვითარებაში, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული ცალმხრივი გარიგება სრულ შესაბამისობაშია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, თავად სანარმოს წესდებით და სამსახურეობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებთან და პირობებთან. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2016 წლის 10 თებერვლის #290 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველიც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ბათილობით განპირობებული სამართლებრივი შედეგების კუთხით დაყენებული მოთხოვნების (სამუშაო ადგილზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება) დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ლევან ყურაშვილმა, რომლითაც ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას (ტ. მე-2 ს.ფ.3)

სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1. აპელანტი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა, როგორც საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, ასევე დირექტორთან გაფორმე-

ბული სამსახურებრივი ხელშეკრულების 9,2 პუნქტი. განსახილველ საქმეში, პარტნიორის მიერ დირექტორის გათავისუფლების შემთხვევებს, აწესრიგებს მოსარჩელესთან გაფორმებული სამსახურებრივი ხელშეკრულება, რომლის მე-9 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ცალმხრივად. სასამართლო, აღნიშნულ მუხლს განმარტავს იმგავარად, რომ თითქოსდა მოპასუხეს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეუძლია შეწყვიტოს დირექტორთან სამსახურებრივი ხელშეკრულება. აღნიშნული არ გულისხმობს, იმას, რომ დამსაქმებელს უფლება ქონდა დაუსაბუთებლად მიზეზისა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეენწყვიტა ხელშეკრულება. ბუნებრივია საქართველოს კანონმდებლობა, როგორც შრომითი ასევე კორპორაციული, იცნობს ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლის შემთხვევებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლას უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი.

3.2. აპელანტის განმარტებით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურება ლევან ყურაშვილის მიერ კანონმდებლობით ან სამსახურებრივი ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების დარღვევას. მართალია სამენარმეო სუბიექტს გააჩნია საკუთარი მიზნები და იგი მოგებაზეა ორიენტირებული და აქედან გამომდინარე, უფლება აქვს თვითონ შეარჩიოს ის პირები ვისთანაც სურს საქმიანობა, მაგრამ აღნიშნული ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ დამსაქმებლის ეს უფლება შეუზღუდავია. ამგვარი ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით.

3.3. უფლების ბოროტად გამოყენებას კრძალავს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას.“ სკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ეკისრებათ ვალდებულება კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

3.4. შეუძლებელია დამფუძნებელმა საკუთარი საწარმოს ხელმძღვანელი დანიშნოს ან გაათავისუფლოს ისე, რომ მხოლოდ სხვისთვის სარგებლის მო-

ტანა ამოძრავდებდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია მის მიერ დასახული მიზანი აღემატებოდეს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ხარისხს. დამფუძნებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციისთვის მთავარია ის, რომ არ ჩანს საწარმოს ხელმძღვანელის გათავისუფლების ინტერესი და მისი მოქმედებები მხოლოდ დასაქმებულისათვის ზიანის მიყენების მიზანს ემსახურება. არაა გამორიცხული, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოყენებისას, დამფუძნებლის ინტერესიც გვქონდეს სახეზე, მაგრამ იგი არათანაზომიერია იმ ზიანისა, რომელიც სხვებს ადგებათ, ასეთ დროს უფლების გამოყენებას ექნება ბოროტად გამოყენების კვალიფიკაცია. ბოროტად გამოყენების შემთხვევა სახეზე გვექნება, თუკი მიყენებულ ზიანთან შედარებით არაა დამფუძნებლის ინტერესი უპირატესი და სხვაგვარად საწარმოს მართვის მიზანის მიღწევა შეუძლებელია. უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი უნდა დადგინდეს დამფუძნებლის ინტერესებისა და მიყენებული ზიანის პროპორციულობის გათვალისწინებით. (იხ.საქ.უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-23-23-2016).

- 3.5. აპელანტი აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერად გულისხმიერად, ჯერონად და სათანადო სამეწარმეო უნარ ჩვევებით ახორციელებდა საქმიანობას. საქმიანობის პერიოდში არ მიუღია არც ერთი შენიშვნა და საყვედური, რასაც მოპასუხეც არ უარყოფს. იგი მოქმედებდა ასევე, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6-ე პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რომლის თანახმადაც: „დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“.
- 3.6. აპელანტის მითითებით, სასამართლოს უპირველესი ფუნქცია სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია

მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება.

პარტნიორების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციისთვის მთავარია ის, რომ არ ჩანს საწარმოს ხელმძღვანელის გათავისუფლების ინტერესი და მისი მოქმედებები მხოლოდ დასაქმებულისათვის ზიანის მიყენების მიზანს ემსახურება. ამასთან აღსანიშნავია, რომ საზოგადოების პარტნიორი გახლავთ სახელმწიფო, სამინისტროს სახით. მისთვის პასუხისმგებლობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებლისა. ბუნებრივია, ნებისმიერ დროს, პირადი და სუბიექტური მიდგომების საფუძველზე სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიის დირექტორის შეცვლა სერიოზულ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოსა და თავად სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების და დასახული სამოქმედო გეგმების განხორციელებას.

3.7. აპელანტის მოსაზრებით სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია ფაქტობრივი გარემოებები, რაც გახდა პარტნიორების მიერ მისი (დირექტორის) თანამდებობიდან დათხოვნის საფუძველი. ამდენად, ვინაიდან სამინისტროს, არც „მენარმეთა შესახებ“ კანონით, არც წესდებით და არც სამსახურებრივი ხელშეკრულებით არ გააჩნია უფლებამოსილება მისი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს და დაუსაბუთებლად გაათავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან, გასაჩივრებული ბრძანება უდაოდ ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს

არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებელი გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

4.1. დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რაც საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, მხარეების მიერ სადავოდ არ გამხდარა. შესაბამისად, სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს მათ (გადაწყვეტილების 4.1.1-4.1.6. პუნქტები) და მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და სწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც სასამართლო მივიდა სწორ გადაწყვეტილებამდე, კერძოდ:

სააპელაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის გათავისუფლების საკითხის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციის ფარგლებში შემოწმების თაობაზე და თვლის, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა ამავე კანონის მე-9 მუხლის 7² და 7³ პუნქტებითა და ამავე კანონის 47-ე მუხლით, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და სანარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები

რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

4.2. ამ კატეგორიის დავასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულ სამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ მუხლი ამუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შემლუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს

კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. პალატა განმარტავს, რომ საკოორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდეიციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნას მოძიებული. პალატა მიიჩნ

ნებს, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მენარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. მსგავს მოწესრიგებას შეიცავს ამ კუთხით სამოქალაქო კოდექსის 35.2 და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 მუხლები. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არა ერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს-ს დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო 15/07/2016 გადაწყვეტილება ას-302-287-2).

ამდენად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, როგორც 100% წილის მფლობელი პარტნიორის გადანაცვეტილება, ლევან ყურაშვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, სრულ შესაბამისობაშია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, თავად საწარმოს წესდების და მხარეთა შორის გაფორმებულ 2015 წლის 01 ივნისის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობისა და შესაბამისად სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

4.3. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას მოპასუხის მხრიდან უფლობის ბოროტად გამოყენების თაობაზე და აღნიშნავს, მიუხედავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის საფუძველზე განმტკიცებული დებულებისა, რომ სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას, უფლების ბოროტად გამოყენების ზუსტი ფარგლები არ არის დადგენილი სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ უფლების ბოროტად გამოყენებაზე საუბარი შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგად ნორმებზე და პრინციპებზე დაყრდნობით. უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, ამ უფლებების დანიშნულების შესაბამისად.

როგორც წესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. შრომითი დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის თუ მოქმედების განხორციელების შედეგად, უნდა დადგინდეს დაირღვა თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ხომ არ განხორციელდა დისკრიმინაცია და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტობრივი

და სამართლებრივი მოცემულობის გათვალისწინებით, რაც დადგენილი იქნა კონკრეტული დავის ფარგლებში, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამსქმებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უფლების ბოროტად გამოყენებას. ამასთან, სხვა რაიმე გარემოება ან მტკიცებულება, რომლებიც უდავოდ დაადასტურებდნენ მოპასუხის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტს აპელანტის მხრიდან მითითებული და წარმოდგენილი არ ყოფილა და ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-105-ე მუხლების საფუძველზე, სწორედ მას ევალებოდა მითითებულ საკითხთან მიმართებით მტკიცების ტვირთის რეალიზება.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

აპელანტების მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იქნა წინასწარ. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, რამდენადაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა სახ. ბაჟის სახით გადახდილი თანხა აპელანტისათვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლევან ყურაშვილის სააპელაციო საჩივარი, არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეგოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებით

დან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;
5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე თამარ კოპალიანი
მოსამართლეები ლალი დოლიძე
დავით ჩხეიძე

შემთხვევა

მოსარჩელე – ეთერი

მოპასუხე – ნინო

ეთერი წარმატებული „ბიზნესლედი“. მას საქართველოს მასშტაბით სილამაზის სალონების ქსელი აქვს და ყოველწლიურად სოლიდურ მოგებას იღებს.

ეთერის საკუთრებაშია თბილისში მდებარე ოთხოთახიანი ბინა, რომელიც დაკეტილია. თვითონ ქალიშვილთან ერთად თბილისის გარეუბანში მდებარე სახლში ცხოვრობს.

2014 წლის 16 მაისს მან სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით თბილისში მდებარე ბინა საჩუქრად გადასცა თავის ჟურნალისტ რძალს ნინოს, რომელიც ქვრივია და ზრდის ეთერის 10 წლის შვილიშვილს – გაგას.

ნინო შვილთან ერთად საცხოვრებლად თბილისის ცენტრში მდებარე ოთახნახევრიანი ბინიდან (37 კვ.მ) ნაჩუქარ ბინაში გადავიდა.

2015 წელს რძალ-დედამთილს შორის ურთიერთობა იძაბება. ნინო დედამთილს მის ახლობლებთან, ასევე თანამშრომლებთანაც, სისტემატურად ლანძღავს. მაგალითად: „ეს ქალბატონი ბიუჯეტის ქურდი და ფულის ტომარაა“, „შვილიშვილისათვის არაფერი ემეტება“. იმავე წლის 10 მაისს ერთ-ერთ ჟურნალში ის აქვეყნებს სტატიას ეთერის „უკანონო“ ბიზნესსაქმიანობასთან და გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით.

საგადასახადო შემოწმებით არ დადასტურდა გადასახადების დამალვის ფაქტი.

ეთერიმ 2015 წლის 17 აგვისტოს ჩუქების გაუქმების შესახებ ნინოს წერილი გაუგზავნა, თუმცა ამ უკანასკნელს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

2015 წლის სექტემბერში ეთერიმ ნინოს წინააღმდეგ სასამართლო დავა წამოიწყო ნაჩუქარ ნივთზე საკუთრების უფლებისა და მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნით. თავის მოთხოვნის დასადასტურებლად მან სასამართლოს წარუდგინა აუდიტის დასკვნა და საგადასახადო შემოწმების მასალები, ასევე მოწმეთა ჩვენებები.

ნინო სარჩელს არ ცნობს. ის აცხადებს, რომ შეასრულა მოქალაქეობრივი ვალი, როცა ამხილა მოსარჩელე. გარდა ამისა, ის მიუთითებს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ერთწლიანი ვადის გასვლის შედეგებზეც.



**თბილისის სააპელაციო სასამართლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

საქმე №XXXXXXXXXXXXXXXXXX

№-----

„ „ დეკემბერი, 201- წელი, თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლეები: XXXXXX (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

XXXXXXXX

XXXXXXXX

I. შესავალი ნაწილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენა;

სააპელაციო საჩივრის ავტორი – ეთერი მ. ---- (მოსაჩივლე);

მონინააღმდეგე მხარე – ნინო ხ.----- (მოპასუხე);

გასაჩივრებულია – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის XXXXXX გადაწყვეტილება;

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება;

დავის საგანი – ნაჩუქარ ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნება, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა.

II. აღწერილობითი ნაწილი

1. ეთერი მ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მჩუქებელი) რომელიც ათეული წელია ბიზნესაქმიანობას ეწევა (მას საქართველოს მასშტაბით სილამაზის სალონების ქსელი აქვს და ყოველწლიურად სოლიდურ მოგებას იღებს), ქალიშვილთან ერთად თბილისის გარეუბანში მდებარე სამსართულიან სახლში ცხოვრობს.
2. მოსარჩელემ 2014 წლის 16 მაისს სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე თავის ქვრივ ჟურნალისტ რძალს, ნინო ხ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, დასაჩუქრებული), რომელიც მის 10 წლის შვილიშვილს ზრდის, თბილისში მდებარე ახალგარემონტებული ოთხოთახიანი ბინა (130 კვ.მ.) აჩუქა.
3. დასაჩუქრებული შვილთან ერთად თბილისის ცენტრში მდებარე მისი კუთვნილი ოთახნახევრიანი ბინიდან (37 კვ.მ) საცხოვრებლად ნაჩუქარ ბინაში გადავიდა.
4. ჩუქებიდან რამოდენიმე თვეში რძალ-დედამთილს შორის ურთიერთობა გამწვავდა. კონფლიქტის წარმოშობა განაპირობა მოპასუხის მხრიდან დედამთილის მისამართით ამ უკანასკნელის ახლობლებთან და თანამშრომლებთან, გამოთქმულმა შემდეგი ხასიათის გამონათქვამებმა: „ეს ქალბატონი ბიუჯეტის ქურდი და ფულის ტომარაა“, „შვილიშვილისათვის არაფერი ემეტება“. ნინომ 2015 წლის 10 მაისს ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მოსარჩელე გადასახადებს მალავდა.
5. საგადასახადო შემოწმებით არ დადასტურდა მოსარჩელის მხრიდან გადასახადების დამალვის ფაქტი.
6. 2015 წლის 17 აგვისტოს წერილით გამჩუქებელმა დასაჩუქრებულს აცნობა, რომ იმ უმადურობის გამო, რომელიც მან მის მიმართ გამოიჩინა, ჩუქებას აუქმებდა. ადრესატმა წერილი მიიღო.
7. იმავე წლის 5 სექტემბერს მჩუქებელმა დასაჩუქრებულის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ნაჩუქარი ნივთისა და ნივთზე საკუთრების უფლების უკან დაბრუნების მოთხოვნით. მოთხოვნის დასადასტურებლად მან მიუთითა წინამდებარე გადაწყვეტილების 2-6 პუნქტებში აღნიშნულ ფაქტებზე და სასამართლოს წარუდგინა აუდიტის დასკვნა, საგადასახადო შემოწმების

მასალები და მოწმეები, რომლებიც ადასტურებდნენ სარჩელში მითითებულ გარემოებებს.

8. დასაჩუქრებულმა სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ ჩუქებიდან გასულია ერთ წელზე მეტი და მოსარჩელეს აღარ შეუძლია მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. გარდა ამისა, მან არ უარყო სტატიის გამოქვეყნება და მიუთითა, რომ მისი შინაარსი განპირობებული იყო იმ მძიმე შეურაცხყოფით, რასაც დედამთილი მას აყენებდა, როგორც ბინის ჩუქებამდე, ისე მის შემდგომაც.
9. თბილისის საქალაქო სასამართლომ უარყო სარჩელი იმის გამო, რომ არ იყო შესრულებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის), 529-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები – მოპასუხეს მოსარჩელისათვის არც მძიმე შეურაცხყოფა მიუყენებია და მის მიმართ არც დიდი უმადურობა გამოუჩენია.
10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. მან გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შედეგად მოჰყვა მცდარი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე.
11. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 201- წლის 18 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სსსკ-ის 374-ე და 376-ე მუხლების თანახმად დასაშვებად იქნა ცნობილი და საქმის ზეპირი მოსმენა დაინიშნა.

III. სამოტივაციო ნაწილი

12. საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.
13. სსსკ-ის 386-ე მუხლის თანახმად, „თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გა-

სანივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე“.

14. სარჩელი დასაბუთებულია. მოსარჩელეს უფლება აქვს ნაჩუქარი ნივთისა და მასზე საკუთრების უფლების უკან დაბრუნება მოსთხოვოს მოპასუხეს სსკ-ის 529-ე მუხლის მეორე ნაწილის, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.
15. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა ყველა ის ფაქტობრივი წანამძღვარი, რომელიც განაპირობებდა ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ შედეგს და აქედან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილებას, მაგრამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ისინი, რასაც შედეგად სარჩელის უარყოფა მოჰყვა. მოსარჩელემ სარჩელში მითითებული გარემოებები დაამტკიცა იმ მტკიცებულებებით, რომელიც მან სასამართლოს წარუდგინა. კერძოდ: 2015 წლის 10 მაისს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიით, რომელშიც მოპასუხე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მოსარჩელე გადასახადებს მაღავდა, აუდიტის დასკვნით, საგადასახადო შემოწმების მასალებითა და მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც ადასტურებდნენ სარჩელში მითითებულ გარემოებებს.
16. ამრიგად, საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:
 - 16.1. კასატორმა 2014 წლის 16 მაისს მოპასუხეს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა ქ. თბილისში მდებარე ოთხოთახიანი ბინა.
 - 16.2. ამჟამად ჩუქების საგანი საკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხეზე და ის შვილთან ერთად ცხოვრობს ნაჩუქარ ბინაში.
 - 16.3. 2015 10 მაისს დასაჩუქრებულმა ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ის გამჩუქებელს გადასახადების თავის არიდებაში სდებდა ბრალს.
 - 16.4. მოგვიანებით სტატიაში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა.
 - 16.5. 2015 წლის 17 აგვისტოს კასატორმა მოპასუხეს წერილობით შეატყობინა, რომ აუქმებდა ჩუქებას. წერილი მოპასუხემ მიიღო.
 17. პალატა განმარტავს, რომ როგორც წესი, დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა გამჩუქებლის ქონების ხარჯზე ხდება, ისე რომ დასაჩუქრებული არ არის ვალდებული საპასუხო შესრულებაზე. მიუხედავად ამისა, მას ეკის-

რება მორალური ვალდებულება – განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა ისინი ერთმანეთთან ოჯახური ურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი.

18. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ მედიის საშუალებით მოსარჩელის საქმიანობასთან დაკავშირებით შეგნებულად გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია, რაც არა მარტო ლახავს მოსარჩელის, როგორც მეწარმის, საქმიან რეპუტაციას, არამედ მისთვის ქონებრივი ზიანის მომტანიც შეიძლება იყოს (სსკ-ის 993-ე მუხლის პირველი ნაწილი). უდავოა, რომ მოპასუხის ამგვარი მოქმედება გასაკიცხია და უნდა შეფასდეს როგორც დიდი უმადურობა.
19. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი („ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ“) ანიჭებდა უფლებას მოპასუხის მიმართ შეცილებით – განცხადების გაკეთების გზით- განეხორცილებინა ჩუქების გაუქმება.
20. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის მოსაზრებას, რომ მოსარჩელემ დაკარგა მოთხოვნის უფლება, რადგანაც ჩუქებიდან გასულია ერთი წელი. პალატა მოპასუხის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 529-ე მუხლის მე-სამე ნაწილში გათვალისწინებული შეცილების ერთწლიანი ვადის სამართლებრივ ბუნებაზე. ეს ვადა ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაა და მისი დენა იწყება არა გარიგების დადების მომენტიდან, არამედ მას შემდეგ რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. მოსარჩელემ მოპასუხის დიდი უმადურობის შესახებ შეიტყო 2015 წლის 10 მაისს, ხოლო შეცილება განახორციელა იმავე წლის 17 აგვისტოს, ანუ ერთწლიანი ვადის გასვლამდე.
21. ამრიგად, 2015 წლის 17 აგვისტოს წერილის მიღებიდან მოპასუხეს არ გააჩნია ნაჩუქარი ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, სსკ-ის 529-ე მუხლის მეორე ნაწილის, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა („პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“) და 979-

ე მუხლის პირველი ნაწილის („უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიღებ-
მა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის
სანაცვლო ანაზღაურების სახით“) საფუძველზე გაჩუქებული ქონება ისევ
გამჩუქებლის საკუთრებად უნდა იქნეს აღრიცხული და დასაჩუქრებელმა
ნაჩუქარი ქონება უნდა დაუბრუნოს მჩუქებელს.

22. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გა-
ღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი
გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფ-
ლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-
გან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები
შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც მხა-
რეებმა გასწიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმო-
ებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო
სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვე-
ტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კო-
დექსის 529-ე მუხლის მეორე ნაწილით, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“
ქვეპუნქტით, 979-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 386-ე, 389-ე, 397-ე, 372-ე, 243-244-ე, 249-ე მუხლე-
ბით და

გ ა დ ა ნ წ ყ ვ ი ტ ა :

1. ეთერი მ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2016 წლის XXXXXX გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი
გადაწყვეტილება;
3. სარჩელი დაკმაყოფილდეს. მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გა-
მოთხოვნილი იქნას ბინა, მდებარე----- და დაუბრუნდეს ეთერის მფლო-
ბელობაში. ბინა, საჯარო რეესტრში ეთერის საკუთრებად აღირიცხოს.
4. მოპასუხემ დაფაროს მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები

სრულად. 5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლეები: 1. XXX

2. XXX

ISBN 978-9941-8-2195-0



9 789941 821950